More than two decades have passed since a prominent American economist, the Nobel prize winner in economics, Professor Paul Krugman, published an article with an intriguing title, “A Country Is Not a Company,” detailing the fundamental difference between a country and a company according to which the first is closed system, and the other – open (Krugman, 1996). This article discusses a number of visible examples of the principle difference between an economist’s thinking style and a manager’s thinking style.

The goal for the rulers of the state is to increase the well-being of its population, to achieve sustainable economic development and inclusive economic growth. As for the company, its determinant is the increase of profit and/or the value of the company itself. This is the principle difference between the goals of the state and the company and the criteria for evaluating success (Papava, 2018).

Given that state and company have different goals, the answers to these questions are simple: Of course, high-level government positions require the appointment of professional economists, and managers’ place is in business only.

Although it has been a long time since Professor Krugman’s article was published, it has not lost its relevance and it must surely be read by heads of state, politicians, journalists, economists, and students of economics.

Thanks to the editorial office of the journal *Economics and Business*, Paul Krugman’s article has now become available in Georgian, and I am sure it will enable readers to pay close attention to many of the interesting aspects of economist’s profession.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ჩარჩოპირობების ძირითად საზოგადოებრივ ფასეულობებთან შესაბამისობის პრობლემა

რევაზ გველესიანი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
revaz.gvelesiani@tsu.ge

ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების არსებითი შემადგენელი ნაწილია რეალობის დაშორება სასურველი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან. ამ პრობლემის დაძლევის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ძირითად საზოგადოებრივ ფასეულობებთან (თავისუფლება, სამართლიანობა, უსაფრთხოება, პროგრესი) ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისა და მათ განსახორციელებლად მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობა. სწორედ ეს განსაზღვრავს როგორც ეკონომიკურ პოლიტიკაში მიღებული გადაწყვეტილებების რაციონალურობას, ასევე მათ პრაქტიკაში განხორციელების ეფექტიანობას.

საკვანძო სიტყვები: ძირითადი საზოგადოებრივი ფასეულობები, ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა, ეკონომიკური წესრიგის ჩარჩოპირობები, ეკონომიკური ინტერესები, ინტერესთა კონფლიქტები .

შესავალი

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის შესახებ არსებული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ კეთილდღეობის თეორია არ იძლევა სრულყოფილ საფუძველს პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტაციისათვის. რაც შეეხება სრულყოფილი კონკურენციის თეორიულ ანალიზს, მას ის უპირატესობა გააჩნია, რომ კონკურენციული ეკონომიკისათვის რეკომენდაციების ნათელი ჩარჩოპირობები მოგვცეს. საინტერესოა ვიცოდეთ (ამავე დროს მნიშვნელოვანიც), თუ რამდენად მისაღებია პოზიტიური ეკონომიკის დებულებები სახელმწიფოს ეკონომიკური აქტივობის „ოპტიმალური“ სიდიდის დასადგენად.

ისტორიული განვითარების პროცესში სახელმწიფოს წვლილი პოზიტიურ ეკონომიკაზე დაყრდნობით და სხვა ქვეყნებთან შედარების საფუძველზე უნდა შევაფასოთ. სხვადასხვა ეკონომიკური წესრიგის გამოკვლევის პროცესში ეს საკითხი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. უმეტესი ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკური სისტემების მსხვრევის შემდეგ განსხვავებულ სისტე-

მათა შედარების შესაძლებლობა მეტნაკლებად გაქრა. ამავე დროს საბაზრო ეკონომიკური წესრიგის უპირატესობის დასამტკიცებლად რეკომენდაციათა ჩარჩოები აღარ არსებობს. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეკონომიკური ლიბერალიზმი და ეკონომიკურ წესრიგში ინდივიდუალურ ეკონომიკურ ინტერესებზე ორიენტაცია, როგორც საყოველთაო პარადიგმა, ისე დამკვიდრდა.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის მიზანი

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის, როგორც ეკონომიკაში თვისებრივი ცვლილებების განმსაზღვრელის მიზანია დაადგინოს ჩარჩოპირობები კერძო და სახელმწიფოს ეკონომიკური აქტივობისათვის და შეუსაბამოს ის სოციალურ-ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ პროცესებს [Streit, 2005, გვ.26-30; 49-53]. ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის განხილვა მოითხოვს უფრო მეტ დიფერენცირებას, რომელიც შეესაბამება ეკონომიკური საზოგადოების კერძო ჯგუფებად დაყოფას, მის სტრუქტურას (კერძო საოჯახო მეურნეობები, დარგები, ინტერესთა წარმომადგენლობები, სოციალური დანესებულებები და ა.შ.) და ასევე სახელმწიფო ინსტიტუციებს იმისათვის, რომ ჩარჩოპირობების სპეციფიკური მნიშვნელობის გაგება შეეძლოს. ვისაც სურს გაატაროს წესრიგის ეფექტიანი პოლიტიკა, ის უნდა იცნობდეს ეკონომიკური სუბიექტების შესაბამისი კატეგორიებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ჩარჩოპირობებს.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა შინაგანად წინააღმდეგობრივია, რომელიც არსებობს კონკურენციულ და სოციალურ წესრიგს შორის. კონკურენციული წესრიგი ორიენტირებულია წარმატების მიღწევის პრინციპზე, სოციალური წესრიგი კი – მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების კრიტერიუმებზე (რაც, ნაწილობრივ მაინც, წარმატების პრინციპს ეწინააღმდეგება). ასე, რომ ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაში, ერთი მხრივ, სახელმწიფო ცდილობს სოციალური წესრიგის ფორმირებას და მისი საზღვრების გაფართოებას, ხოლო მეორე მხრივ, ბაზარი მონოდებულია დაამკვიდროს ფუნქციონირებისუნარიანი კონკურენციული წესრიგი და უზრუნველყოს მისი განხორციელება. სწორედ სახელმწიფო (სოციალური წესრიგი) და კერძო (კონკურენციული წესრიგი) ეკონომიკური აქტივობისათვის შესაბამისი სივრცეების დადგენას და მათ შორის რაციონალური საზღვრის „დანესებას“, მენარმეობის განვითარების სტრატეგიის თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. იმ ქვეყნებში, სადაც აღნიშნული სივრცეები და საზღვრები სწორადაა „დადგენილი“, ეკონომიკური სუბიექტები (მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოები) დიდ წარმატებებს აღწევენ ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე შესაბამისი სემენტების „დაპყრობით“ და ლიდერი საწარმოების პოზიციის ხანგრძლივად შენარჩუნებით (გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. 2018, 12).

ეკონომიკური წესრიგის ჩარჩოპირობები ზოგჯერ ეკონომიკური აქტივობისათვის თავისუფალ სივრცეს წარმოშობს, ასეთ შემთხვევაში არსებული ჩარჩოპირობები არასასურველად აღიქმება, ანუ, თუ სახელმწიფო კერძო

ეკონომიკურ აქტივობას საკანონმდებლო ველისაგან თავისუფალ სივრცეს უტოვებს, მაშინ შეიძლება ჩრდილოვანი ეკონომიკა წარმოიქმნას. წესრიგის ჩარჩოპირობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის, რომლის მიზანია გრძელვადიანი ეკონომიკური კავშირების დამყარება საზღვარგარეთულ ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფებთან, რაც ხანგრძლივი დროით ამკვიდრებს უცხოელთა ეკონომიკურ ინტერესებს მოცემულ ქვეყანაში. ასეთი ვითარება ხშირად წარმოშობს ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტს (ადგილობრივ და უცხოელ ინტერესთა ჯგუფებს შორის). კონფლიქტების სათავე ყოველთვის არაეფექტიანი წესრიგის პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ, რომელიც, სამწუხაროდ, ყალიბდება მოკლევადიან პერიოდებში მისაღებ სარგებელზე ორიენტირებით.

ეკონომიკური წესრიგი და სამართლებრივ-საკანონმდებლო სისტემა ყოველთვის ორიენტირებული უნდა იყოს ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებსა და მიზნებზე. სწორედ ამიტომ ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა მიისწრაფვის მიაღწიოს შესაბამისობას საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემასა და ეკონომიკური წესრიგის ჩარჩოპირობების ფორმირებას შორის. ამით ნათელი ხდება, რომ წესრიგის პოლიტიკა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ზემოქმედების მიღწევასთან დაკავშირებით ინსტრუმენტულ ხასიათს ატარებს და სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში იგი არსებითად განსხვავებულია (გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. 2018, 11).

ეკონომიკური წესრიგის ჩარჩოპირობების ფორმირების დროს, რაც უფრო მეტად არის გათვალისწინებული საბაზრო კოორდინაციის თვითრეგულირების უნარი, მით უფრო მცირდება შემთხვევითი ინტერვენციების საფრთხე. უპირატესობა ენიჭება თანმიმდევრულ, გრძელვადიანსა და ფრთხილ ეკონომიკურ პოლიტიკას. განსაკუთრებულ სიფრთხილეს უნდა ვიჩინოებდეთ, როდესაც ვცდილობთ ეკონომიკური წესრიგის ჩარჩოპირობების დადგენას საბაზრო კოორდინაციის თვითრეგულირების გაუმჯობესების მიზნით.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ჩარჩოპირობების ფორმირების საფუძველი

ძირითადი საზოგადოებრივი ფასეულობების (თავისუფლება, სამართლიანობა, უსაფრთხოება, პროგრესი) რა გამოწვევების წინაშე დგას ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა? ძირითადი საზოგადოებრივი ფასეულობების რა მოთხოვნები უნდა გაითვალისწინოს მან ეკონომიკური წესრიგის ჩარჩოპირობების ფორმირების დროს?

თავისუფლება. მიზანშეწონილია ეკონომიკურ პოლიტიკასთან მიმართებით თავისუფლების ორი ასპექტი გამოვყოთ. ინდივიდუალური ასპექტის შემთხვევაში აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ნების თავისუფლება და მოქმედების თავისუფლება. საზოგადოებრივი ასპექტი კი მოითხოვს კონფლიქტის, ძალაუფლებისა და სამართლის ფენომენტა ნათელყოფას.

მოქმედების თავისუფლებას, ნების თავისუფლებისაგან განსხვავებით, თავისი საზღვრები გააჩნია. კერძოდ: შესაძლებლობა ყოველთვის მოქცეულია ბუნების მიერ დადგენილ **ობიექტურ** და **გარე საზღვრებში**, რომელთა დარღვევა შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია მათი გონივრული გამოყენება; **სუბიექტური საზღვრები** ბუნებრივ საზღვრებზე უფრო ვიწროა და მას ბუნებრივი (ფიზიკური და ფსიქიკური) შესაძლებლობები და ინდივიდის მიერ თავისთვის დაწესებული ზნეობრივი ნორმები ადგენს; **საზოგადოებრივი საზღვრები** ინდივიდებს შორის ურთიერთობას ეხება და მას ძალაუფლება, ზნეობა და კონვენციები – უპირველეს ყოვლისა კი – სამართალი ადგენს. ისინი განსაზღვრავენ ადამიანებს შორის ურთიერთობის თავისუფლებას და საზოგადოებაში მათი მოქმედების შესაძლებლობებს (გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. 2018. 43-44).

სწორედ ამ საზღვრებში წარმოიშობა ინდივიდუალური მოქმედების თავისუფლება, როგორც უამრავი წერტილის ერთობლიობა, სადაც ერთმანეთს კვეთენ შიდა და გარე თავისუფლება, **რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ეკონომიკური წესრიგის ჩარჩოპირობების ფორმირების დროს.**

მოქმედების თავისუფლების რეალიზება საზოგადოებაში იმიტომაც არის პრობლემური, რომ ამა თუ იმ ინდივიდის მოქმედება თუ უმოქმედობა ზეგავლენას ახდენს სხვა ინდივიდებზე. ერთი ინდივიდის თავისუფლება სხვათა თავისუფლების შეზღუდვად გვევლინება. საზოგადოების არსებობას საფრთხე ემუქრება, როცა ინდივიდები მოქმედების აბსოლუტურ თავისუფლებას ესწრაფვიან. ამიტომაც, საზოგადოებრივი ასპექტით აუცილებელი ხდება თავისუფლების გარკვეულწილად შეზღუდვა. ჯონ სტიუარტ მილი (Mill, 1859,75) აღნიშნავდა: „ერთადერთი თავისუფლება იმსახურებს ჭეშმარიტი თავისუფლების სახელს, როცა ჩვენ ისე ვეძიებთ საკუთარ კეთილდღეობას, რომ ამით სხვებს არ ვართმევთ იმის შესაძლებლობას, რათა მათაც ეძიონ თავიანთი კეთილდღეობა“.

ინდივიდუალურ თავისუფლებასთან დაკავშირებით აუცილებელია საზოგადოების თითოეულმა წევრმა გააცნობიეროს და გაითვალისწინოს, რომ მათი ინტერესების განხორციელება ყოველთვის ინვესს სხვა ინდივიდების ინტერესთა შეზღუდვას. ეს მოთხოვნა უკავშირდება ინტერესთა კონფლიქტს და მისი მართვის, ან დაძლევის პრობლემას. კონფლიქტები მაშინ წარმოიშობა, როდესაც ერთმანეთს კვეთენ თავისუფლად მოქმედ ინდივიდთა ინტერესების სფეროები. შეიძლება გამოვყოთ კონფლიქტის მართვის ორი ზოგადი შესაძლებლობა (Boulding, 1958/64, 117):

- პრევენციის გზით შევამციროთ მოსალოდნელი კონფლიქტის საფრთხე. იგულისხმება ზეგავლენის სფეროების გამიჯვნა ექსკლუზიური უფლებების (ან შესაძლებლობების) გაუქმების (ან განეიტრალების) შედეგად;
- წარმოშობილი კონფლიქტები კი ვმართოთ კომპრომისის, ზნე-ჩვეულებათა, კონვენციის თუ პოზიტიური სამართლის ინსტრუმენტების გამოყენებით.

როგორც უკვე ითქვა, საზოგადოებრივი ურთიერთობა უნდა გავიგოთ, როგორც თავისუფლების გარკვეულწილად შეზღუდვა. მაგრამ მეორე მხრივ, ბუნდოვანია ის, თუ რა ზომითაა შესაძლებელი საკუთარი ნების განხორციელება; ამის გასარკვევად საჭიროა ძალაუფლების მაქს ვებერისეულ განსაზღვრებაში (Weber, 1921/2002. 28) ჩანვდომა: „ძალაუფლება სხვა არაფერია, თუ არა ნებისმიერი შესაძლებლობა, რომ წინააღმდეგობის მიუხედავად განახორციელო საკუთარი ნება და მნიშვნელობა არ აქვს იმას თუ რას ეფუძნება ასეთი შესაძლებლობა“ .

ამ ასპექტით ძალაუფლება უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც კონტინუუმი, ანუ მთლიანობა (მაგ. Dahl, 1963, 62), რომლის ერთ მხარეს უნდა მოვიაზროთ ავტონომიური ინდივიდი მოქმედების მთელი თავისი შეუზღუდავი თავისუფლებით, მეორე მხარეს კი – სრული ჰეტერონომია, ანდა ბატონობა, რომელსაც სხვები ახორციელებენ.

საზოგადოებრივ ურთიერთობებში ჩართული ინდივიდი შეიძლება სხვისი ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდეს; სწორედ ამგვარი შესაძლებლობა რეალიზდება ძალადობად, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ძალაუფლების უკიდურესი ფორმა. ძალადობა წარმოიშობა მაშინ, როცა ინდივიდი ცდილობს თავისი შესაძლებლობა იმისათვის გამოიყენოს, რომ სხვა ინდივიდს განსაზღვრული ქმედება ჩაადენინოს; თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას მოძალადე აღწევს იმით, რომ ძალადობის პოტენციურ მსხვერპლს არწმუნებს, თითქოს ამით თავს დააღწევს სხვა სახიფათო და საზიანო მოქმედების შესაძლებლობებს (Hayek, 1960, 134).

ჯონ სტიუარტ მილის განსაზღვრებიდან ცხადია, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობებში ერთმანეთთან შეუთავსებელია კერძო ძალადობის აქტები და მოქმედების თავისუფლება. სამართლის ფუნქცია მოქმედების თავისუფლების უზრუნველყოფა უნდა ყოფილიყო. კანტის სიტყვებით (Kant, 1790/1993, 390), „სამართალი არის იმ პირობების ერთიანობა, რაც შესაძლებელს ხდის იმას, რომ ერთი ინდივიდის თვითნებობა თავისუფლების საყოველთაო კანონის თანახმად, თავსებადი იყოს სხვა ინდივიდების თვითნებობასთან“ ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე, რა თვისებები უნდა ჰქონდეს სამართალს, რომ ის თავისუფლების უზრუნველყოფის გარანტიად (წესად) გამოდგეს? უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ თითოეული ინდივიდის თვითნებობა (ნების თავისუფლების განხორციელება იმის გათვალისწინების გარეშე, ვის მიმართაც ის ხორციელდება) საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში თანაბარმნიშვნელოვნად იყოს მიჩნეული.

საზოგადოებრივი ასპექტით ისმის კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა შეიქმნას ასეთი, პიროვნული გარემოებებისა და სპეციფიკური სიტუაციებისაგან დამოუკიდებელი, ანუ ფორმალური სამართალი, როგორც კოლექტიური სიმდიდრე. ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს დამოკიდებულია სახელმწი-

ფოსა და მის პოლიტიკურ სისტემაზე. სახელმწიფო აყალიბებს, აღიარებს და ახორციელებს იმ წესებს, თანაბრად რომ უზრუნველყოფენ ყველა ინდივიდის მოქმედების თავისუფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მოქალაქეები, ციცირონის სიტყვებით რომ ვთქვათ – კანონებს უნდა ემსახურობდნენ, თუკი მათ თავისუფალ არსებებად ყოფნა სურთ. თანაბარი პირობების შექმნა სოციალური სახელმწიფოებრიობის პრინციპი და ის მექანიზმია, რითაც სახელმწიფო ბაზარზე ორიენტირებულ ეკონომიკურ წესრიგს აკონტროლებს.

სამართლიანობა. „სამართლიანობა იდეალის პროტესტია (Sartori, 1987/97, 337). იდეალის წვდომა ადვილია, რადგან იგი რეალობისგან აშკარად განსხვავდება, მაგრამ ის „ხელიდან გვისხლტება“ როგორც კი შევეცდებით პროტესტი კონსტრუქტივულ (ოპერაციონალურ) ძირითად ფასეულობებთან თავსებად და რეალიზებად მოვლენად ვაქციოთ, რომელიც აუცილებელია საზოგადოების ფორმირებისათვის“.

სამართლიანობის შესახებ შეხედულებები შეიძლება სხვადასხვა მიმართულებად დაიყოს იმის მიხედვით, თუ როგორია მათი ორიენტაცია, კერძოდ:

- სამართლიანობა, როგორც ნორმა, რომლითაც ფასდება სხვა ინდივიდებისადმი დამოკიდებულება (მოპყრობა). ამ შემთხვევაში სამართლიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად თავსებადია სამართლიანობის ნორმების შესახებ ინდივიდების წარმოდგენები და შეხედულებები საზოგადოებრივ ურთიერთობებთან (**ქცევის სამართლიანობა**).

- სამართლიანობა, როგორც ნორმა, რომლითაც ფასდება ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის ურთიერთქმედების შედეგები და მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა. ამ შემთხვევაში სამართლიანობა დამოკიდებულია ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის პოზიციებისა და მოქმედების შედეგების განაწილებაზე (**განაწილების სამართლიანობა**) [გველესიანი, გოგორიშვილი, 2018, გვ.52]. **როგორც ქცევის, ასევე განაწილების სამართლიანობამ ასახვა უნდა ჰპოვოს ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო -პირობებში.**

საზოგადოების რეგულირების პრობლემა ერთი ინსტრუმენტის – სამართლის/კანონის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. ამ შემთხვევაში სამართლიანობის მიზანი ორ განზომილებაში (მახასიათებლით) – ქცევისა და განაწილების სამართლიანობის სახით – წარმოგვიდგება. ეს საკითხი ადვილად მოგვარდებოდა, თუ ამოსავალ პუნქტად მიზანდამოკიდებულებათა ემპირიულ ანალიზს მივიჩნევდით. ამ შემთხვევაში ეს განზომილებები ერთმანეთს შეავსებდნენ (ჰარმონია); თუ ინსტრუმენტს (კანონს) ერთ მახასიათებელს (მაგ., ინდივიდებისადმი მოპყრობას) მივუყენებდით, ის – სამართლიანობის კრიტერიუმის თანახმად – მეორე მახასიათებელსაც წაადგებოდა. პრობლემა მაშინ იჩენს თავს, როცა ერთ მახასიათებელზე ორიენტირება მეორეს დაგვათმობინებს და აუცილებელი გახდება კომპრომისის დაშვება. საქმეს გააადვილებდა ემპირიული ანალიზის შედეგების გამოყენება, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპრომისი ვერ იქნება გრძელვადიანი და ამიტომაც საბოლოოდ მოგვინებს სამართლიანობის ერთი

მხასიათებლის დათმობა. ამ შემთხვევაში დილემად გვექცეოდა კომპრომისის გზით მოსაგვარებელი კონფლიქტი. სამივე შესაძლებლობა – ჰარმონია, კომპრომისის გზით მოსაგვარებელი კონფლიქტი და დილემა – ყოველთვის წარმოადგენს ხოლმე საზოგადოებრივი დისკუსიების საგანს, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, თავისუფლებისა და სამართლიანობის ურთიერთდამოკიდებულებაზე დაიყვანება.

სოციალურ სამართლიანობას განსაზღვრული შინაარსი გააჩნია, იდეალს გამოხატავს და თანამედროვე საზოგადოებრივი წესრიგის იმ ნაკლზე მიუთითებს, გადაუდებელ გამოსწორებას რომ საჭიროებს (Hayek, 2003, 217). აქედან გამომდინარე, სასურველია იმ ჯგუფური პრივილეგიების ძიება სახელმწიფოს მხრიდან, კონკურენციის შეზღუდვებს რომ ემყარება. სწორედ ამის გამოა, რომ ასეთმა მოთხოვნამ მყარად დაიმკვიდრა ადგილი ინტერესთა ჯგუფების ფუნქციონირებაში და რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ეკონომიკური წესრიგის ჩარჩოპირობების ფორმირების დროს.

ამჟამად, რომ როცა საქმე ეხება თავისუფლებისა და სამართლიანობის, როგორც საზოგადოების ძირითადი ფასეულობების სოციალური სამართლიანობის კრიტერიუმად გამოყენებას, კანონი არ არის საკმარისი ინსტრუმენტი მათ შორის წარმოშობილი კონფლიქტის მოსაგვარებლად (გველესიანი რ. 2017, 15). სახელმწიფო ძალაუფლების სახით კონცენტრირებული ძალადობა არსობრივ საფრთხეს უქმნის თავისუფლებას. ა. ჰამილტონმა ყოველივე ეს მოკლედ ასე გამოხატა: „ვის ხელშიც არის ცხოვრებისათვის აუცილებელი საშუალებები, ადამიანის ნებაზეც იგი ბატონობს“ (Hamilton, 1961, 472).

დასავლური კეთილდღეობის სახელმწიფო მიზნად ისახავს თავისუფლებაზე და სამართლიანობას შორის კომპრომისს, მაგრამ, ერთი მხრივ, პოლიტიკური ნების ქმნადობის დემოკრატიული მეთოდები არ იძლევა ამგვარი კომპრომისის მყარი ვარაუდის შესაძლებლობას. პირიქით, პოლიტიკურ კონკურენციაში სოციალურად დაფუძნებული პრივილეგიების ინსტრუმენტად გამოყენება საფრთხეს უქმნის როგორც მატერიალურ, ისე ფორმალურ სამართალს (გველესიანი რ. 2017, 17).

როგორც ჩანს, ერთი მხრივ, ეკონომიკურ თავისუფლებასა და სოციალურ სამართლიანობას შორის კომპრომისი მყარია. ამასთან, გამორიცხული არ არის, რომ საქმე დილემასთან გვექონდეს. მეორე მხრივ, უნდა შემოწმდეს – შეიძლება თუ არა ისე შეიცვალოს ინსტიტუციური პირობები, რომლებშიც პოლიტიკური ნების ქმნადობის პროცესი მიმდინარეობს, რომ შესაძლებელი გახდეს გრძელვადიანი კომპრომისი. ამგვარი შემოწმების საგანი კი სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური სისტემა. მთავარი ვარაუდი ის იქნებოდა, რომ შეუზღუდავი დემოკრატიის პირობებში შეუძლებელია თავისუფლების დამაკმაყოფილებლად უზრუნველყოფა (Hayek, 1979, 128). სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს რეალიზაციის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს ვარაუდი თავისუფლებასა და სოციალურ სამართლიანობას შორის კომპრომისზეც ვრცელდება.

უსაფრთხოება. უსაფრთხოება შეიძლება განისაზღვროს, როგორც „თავისუფლების გამო შიშის არქონა“ (Giersch, 1961/90, 83). უსაფრთხოებას ყველაზე დიდ საშიშროებას უქმნის როგორც ეკონომიკურ თავისუფლებასა და სოციალურ სამართლიანობას შორის არსებული, ასევე ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე კონფლიქტები. მათი მიზეზი ისაა, რომ

- საზოგადოებრივი ურთიერთდამოკიდებულების პირობებში თვითრეალიზება, როგორც წესი, ზღუდავს სხვის თავისუფლებას;
- ინდივიდების მიერ გაკეთებული შეფასებები, როგორც მოვლენათა შინაარსის, ისე მათი იერარქიის შესახებ, არღვევს აქამდე არსებულ ცალკეულ ნორმას;
- ისტორიული განვითარების პროცესში ინდივიდების შეფასებები დამოუკიდებელ მიზნებად გვევლინება და მოქმედების სტიმულს იძლევა, რაც ყოველთვის შეიცავს კონფლიქტის შესაძლებლობას (Streit, 2005, 256).

კონფლიქტის იძულებითი მოგვარების პროცედურა არაკონსტიტუციური ქმედებაა. კონფლიქტის მოგვარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია: **მშვიდობიანი დარწმუნება**, რაც გულისხმობს ინტერესთა კოლიზიაში ერთი ან მეორე პოზიციისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას; **კომპრომისი** იმ შემთხვევაში, როცა ურთიერთდაპირისპირებული მიზნები ადვილად მისაღწევ და ძნელად მისაღწევ მიზნებად იყოფა და **კომპენსაციები** იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს განუყოფელ მიზნებთან, რასაც შედეგად მოჰყვება განსხვავებული მიზნების სწრაფი, ან თანდათანობითი განხორციელება (Tuchtfeldt, 1971a, 32).

ზოგჯერ საკმარისია **კონფლიქტების დეპერსონალიზება**, რომ მათ სიმწვავე დაკარგონ და უსაფრთხოებას საშიშროება აღარ შეუქმნის. ეკონომიკურ სფეროში ასეთი დეპერსონალიზება ხორციელდება სოციალური ტექნიკის ან/და კონკურენციის მეშვეობით. ამით ვლინდება მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფუნქცია. კონფლიქტების დეპერსონალიზება იმ შემთხვევაში ფუნქციონირებს, თუ კონკურენცია, როგორც წესრიგის პრინციპი, მისი შედეგებით საზოგადოდ მისაღებია ცალკეული ინდივიდისათვის და როგორც კონკურენტები (კარტელისაკენ სწრაფვა), ასევე სახელმწიფო (მოქმედების შეზღუდვა) ცდილობენ გამოკვეთონ თავიანთი საზოგადოებრივი ფუნქციები (Streit, 2005, 257). **კონფლიქტებისადმი ასეთმა მიდგომამ ასახვა უნდა ჰპოვოს ეკონომიკური წესრიგის ჩარჩოპირობებში.**

პროგრესი. რამდენად შესაძლებელია ეკონომიკურ თავისუფლებას, სოციალურ სამართლიანობასა და ეკონომიკურ უსაფრთხოებას შორის არსებული კონფლიქტების აღმოფხვრა, ან თუნდაც მინიმუმამდე დაყვანა ეკონომიკური პროგრესის მეშვეობით?

პროგრესი ორი თვალსაზრისით არის ყველასთვის მნიშვნელოვანი, ის წარმოადგენს შემეცნებითი მიღწევებისა და სიახლეების შეფასებას და ამავე დროს გვიჩვენებს დროის მსვლელობაში რამდენად ახლოს ვიმყოფებით წინასწარ დასახულ მიზანთან.

მინც რა დამოკიდებულება არსებობს პროგრესსა და მოქმედების თავისუფლებას შორის? შეუძლებელია ბუნების კანონების დარღვევა, რაც შესაძლებელი მოვლენის ობიექტურ საზღვრებს წარმოადგენს, მაგრამ მათი მეცნიერული ძიება აფართოებს ადამიანის მოქმედების თავისუფლების მანამდე არსებულ შესაძლებლობებს. ეკონომიკური თვალსაზრისით პროგრესი დაკავშირებულია ინოვაციის ფენომენთან. ბაზარი ღიაა ინოვაციისათვის (სამეწარმეო ინოვაციები), რადგან მათი მეშვეობით ბაზრის მდგომარეობა უმჯობესდება (ინოვაციური პროცესები). მოთხოვნის კუთხით როგორც ერთი, ისე მეორე უზრუნველყოფის შესაძლებლობათა გაუმჯობესებას ნიშნავს (გველესიანი რ. 2017, 20).

ეკონომიკურ პროგრესსა და სოციალურ სამართლიანობას შორის არსებული კონფლიქტების წარმოშობის სათავე შესაძლებელია იყოს კონკურენციის არასწორი გაგება. სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით, მეცნიერული პროგრესის მიღწევების საფუძველზე მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებული პოზიციები კორექტივებს საჭიროებს. მაგრამ მეორე მხრივ, ასეთი კორექტივი შეასუსტებდა, ან გააუქმებდა ყოველგვარი ინოვაციის სტიმულს. ამ შემთხვევაში საზოგადოება იმაზე ღარიბი იქნებოდა, ვიდრე უნდა ყოფილიყო. მეცნიერული პროგრესის შედეგების ამგვარ „სოციალიზებას“ მხედველობიდან რჩება ის, რომ მათი მიღწევის პროცესს სწორედ კონკურენცია აღძრავს და აძლიერებს (გველესიანი რ. 2017, 20).

პროგრესის შედეგად გამოწვეული ცვლილებები **რეორიენტაციისა და ახალ სიტუაციებთან შესაბამისობის** მოთხოვნაა. ამგვარი **შესაბამისობის დაყოვნება** კი **კონფლიქტებს წარმოშობს**. ეკონომიკაში არსებობს კოლიზიის შესაძლებლობა: უსაფრთხოების მიზანთან მიმართებით და სოციალური სამართლიანობის მიზანთან დამოკიდებულებით, რადგან შესაბამისობის ტვირთი არათანაბრადაა გადანაწილებული და სრულიად არ არის გათვალისწინებული მეცნიერული პროგრესის სასარგებლო შედეგების განაწილება (Streit, 2005, 262). ყოველივე ეს კი მხოლოდ აფერხებს ეკონომიკური წესრიგის მრავალმხრივი და სრულყოფილი ჩარჩოპირობების ფორმირებას გრძელვადიანი პერიოდისათვის. **ამიტომ, საჭიროა მისი გათვალისწინება ეკონომიკური წესრიგის ჩარჩოპირობების ფორმირების დროს.**

დასკვნა

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდა განვითარებად ქვეყნებში ძალიან ძნელია ეფექტიანი წესრიგის პოლიტიკის ჩამოყალიბება. ეს განპირობებულია სწორედ სახელმწიფოებრიობის არსებობასთან დაკავშირებული ცოდნის, გამოცდილებისა და მართვის მეთოდების დეფიციტით.

წესრიგის პოლიტიკაში განსაკუთრებული პრობლემები იქმნება მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან ადგილი აქვს მიზანთა დაქსაქსულობას. სა-

ბაზრო ეკონომიკური წესრიგის ფარგლებში წინა საფეხურზე ყოველთვის რესურსების ოპტიმალური ალოკაცია დგას, მაგრამ მხოლოდ მასზე დაყრდნობით საზოგადოებრივ განვითარებას ვერ უზრუნველვყოფთ. თუკი საბაზრო ეკონომიკური წესრიგი ნამდვილად შეესაბამება თავისუფლების, სამართლიანობისა და უსაფრთხოების მიზნებს, მაშინ სახელმწიფომ განაწილებისა და გადაწვევის პოლიტიკა ცალკე არ უნდა გამოყოს. და თუ ეს მაინც ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მიზანთა კონფლიქტების გადაჭრა ორიენტირებული იქნება არამხოლოდ წესრიგის პოლიტიკის კონცეფციაზე, არამედ კვლავინდებურად ინტერესთა პოლიტიკური გავლენითა და ძალაუფლების შენარჩუნების პოლიტიკით მოხდება.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაში განსაკუთრებული ადგილი კონკურენციულ წესრიგს უკავია. ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი მზარდი გლობალიზაციით კონკურენციის ეროვნულ პოლიტიკას ართულებს. ლიბერალიზაციით საერთაშორისო აღიარების მქონე სანარმოებს გაუადვილდათ ეროვნული ზედამხედველობის ორგანოების ჩარევისაგან თავის დაღწევა. თუმცა, სანარმოთა სულ უფრო მზარდ გლობალურ აქტივობას დღემდე აკლია წესრიგის მრავალმხრივი ჩარჩოპირობები, რადგან ბაზარზე შეღწევა კონკურენციის შემზღუდავი მოქმედებით ისევე შეიძლება გაძნელდეს, როგორც პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკით, ან კარტელთა ორგანოების გაძლიერებული საერთაშორისო თანამშრომლობით. ამიტომ საჭიროა გრძელვადიანი პერიოდისათვის ეკონომიკური და, მაშასადამე, კონკურენციული წესრიგის მრავალმხრივი და სრულყოფილი ჩარჩოპირობების შემუშავება.

ლიტერატურა:

- Boulding, K.E. (1958), *Principles of Economic Policy*, 4th printing, Englewood Cliffs, 1964, p.117.
- Giersch, H. (1961), *Allgemeine Wirtschaftspolitik (Erster Band: Grundlagen)*, unveränderter Nachdr., Wiesbaden, 1990, S.83.
- Gvelesiani R. (2016), *Individuals and Economic Groups Interests and Behaviour in the Economic and Political Decision-Making Process*, *European Journal of Business Research (EJBR)*, IABE, Volume 16, №1., ISSN: 1945-2977, University of Pisa, Italy, Editor: Johannes Kepler University Linz, Austria, p. 97-103.
- Gvelesiani R. (2017), *The Problem of Considering Possible Consequences of the Consistent Reforms in the Economic-Political Decisions*, *Review of Business Research (RBR)*, Volume 17, №2, , ISSN: 1546-2609, University of Sassari, Italy, Editor: University of Osijek, Croatia, p.19-24.
- Gvelesiani R. (2017), *Possibilities of Implementing the Practical Economical Politics Rationally*, *European Journal of Business Researchtm (EJBR)*, Volume 17, №2, ISSN: 1945-2977, dx.doi.org/10.18374/EJBR-17-2.3, New York Institute of Technology, USA, editor-in-chief: Professor Christine Duller, Johannes Kepler University Linz, Austria, p.25-30.

- გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. (2018), გადანყვეტილებების მიღების ტექნოლოგია ეკონომიკურ პოლიტიკაში, თბილისი, გვ. 11; 12; 43-44; 52.
- გველესიანი რ., (2017), ძირითად საზოგადოებრივ ფასეულობათა შორის არსებული წინააღმდეგობები და მათი დაძლევის პრობლემა, „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი X, №1, თბილისი, გვ. 14-24.
- გველესიანი რ. (2018), სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციის დამოკიდებულება ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან, „ეკონომისტი“, №3, ტომი XIV, ISSN: 1987-6890, თბილისი, გვ.26-34.
- გველესიანი რ. (2016), ეკონომიკური წესრიგის სპეციფიკური ჩარჩოპირობების ფორმირების პრობლემა, I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ მასალები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, გვ.163–166.
- Hamilton, A., J. Madison und J. Jay (1787-1788), The Federalist Papers, hrsg. v. C. Rossiter, New York 1961, p.472.
- Hayek F.A. (1979), Law, Legislation and Liberty, Volume III – The Political Order of a Free People, Chicago, London, Wiederabdruck in: Vanberg, V. (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. B4, Recht, Gesetzgebung und Freiheit, Tuebingen 2003, S.128.
- Hayek F.A. (2003), Rechtsordnung und Handelsordnung, in: Streit, M. E. (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. A4, Rechtsordnung und Handelsordnung, Tuebingen, S. 217.
- Kant I. (1781, 1788, 1790), Die drei Kriterien in ihrem Zusammenhang mit dem Gesamtwerk, Jubilaeumsausgabe anlaessl. Des 125-jaehrigen Bestehens d. philosophischen Bibliothek, Hmaburg, 1993, S. 390.
- Mill J.S. (1859), On Liberty; in ders.: Utilitarianism, Liberty, Representative Government, neuausgabe, hrsg. v. H. B. Acton, London 1972, p. 75.
- Sartori G. (1987), The Theory of Democracy Revisited, 2 Bde., Chatham, N. J., Sonderausgabe Darmstadt 1997, S. 337.
- Streit M. E. (2005), Theorie der Wirtschaftspolitik, 6. Auflage, Stuttgart, S.26-30; 49-53; 257; 262.
- Tuchtfeldt E. (1971a), Moral Suasion in der Wirtschaftspolitik; in E. Hoppmann(Hrsg.): Konzertierte Aktion – Kritische Beitragee zu einem Experiment, Frankfurt am Main, S. 32.

References:

- Boulding, K.E. (1958), Principles of Economic Policy, 4th printing, Englewood Cliffs, 1964, p.117.
- Giersch H. (1961), Allgemeine Wirtschaftspolitik (Erster Band: Grundlagen), unveraenderter Nachdr., Wiesbaden, 1990, S.83. (in German)
- Gvelesiani R. (2016), Individuals and Economic Groups Interests and Behaviour in the Economic and Political Decision-making Process, European Journal of Business Research (EJBR), IABE, Volume 16, №1., ISSN: 1945-2977, University of Pisa, Italy, Editor: Johannes Kepler University Linz, Austria, p. 97-103.
- Gvelesiani R. (2017), The Problem of Considering Possible Consequences of the Consistent Reforms in the Economic-Political Decisions. Review of Business research (RBR), Volume

- 17, №2, ISSN: 1546-2609, University of Sassari, Italy, Editor: University of Osijek, Croatia, p.19-24.
- Gvelesiani R. (2017), Possibilities of Implementing the Practical Economical Politics Rationally. *European Journal of Business Research (EJBR)*, Volume 17, №2, ISSN: 1945-2977, dx.doi.org/10.18374/EJBR-17-2.3, New York Institute of Technology, USA, editor-in-chief: Professor Christine Duller, Johannes Kepler University Linz, Austria, p.25-30.
 - Gvelesiani R., Gogorishvili I. (2018), gadawyvetilebis mirebis teqnoqia ekonomikur politikashi. *Tbilisi*, gv. 11-12; 43-44. [Decision Making Technology in Economic Policy, *Tbilisi*, pp. 11-12; 43-44; 52. (in Georgian).
 - Gvelesiani R. (2017), ziritad sazogadoebriv faseulobata shoris arsebuli cinaagmdgebebi da mati dazlevis problema. “ekonomika da biznesi” X, №1, gv. 14-24. [The Contradictions between Core Social Values and the Problem of Overcoming Them, *Economics and Business*, Volume X, No. 1, *Tbilisi*, pp. 14-24.] (in Georgian).
 - Gvelesiani R. (2018). socialuri sabazro ekonomikis koncefciiis damokidebuleba ziritad sazogadoebriv girebulebtan. “ekonomisti”, №3, tomi XIV, ISSN: 1987-6890, gv.26-34. [The Relationship between the Concept of the Social Market Economy and the Basic Social Values] *Economist*, No. 3, Volume XIV, ISSN: 1987-6890, *Tbilisi*, pp.26-34. (in Georgian).
 - Gvelesiani R. (2016). ekonomikuri cesrigis specifikuri charcho-pirobebis formirebis problema, I saertashoris samecniero konferenciis “globalizaciis gamocvevebi ekonomikasa da biznesshi” masalebi; gamomcemloba “univesali,” *Tbilisi*, gv. 163-166. [The Problem of Forming Specific Framework Conditions of Economic Order. Proceedings of the 1st International Scientific Conference “Globalization Challenges in Economics and Business”, “Universali,” *Tbilisi*, pp.163–166. (in Georgian).
 - Hamilton, A., J. Madison und J. Jay (1787-1788), *The Federalist Papers*, hrsg. v. C. Rossiter, New York 1961, p.472.
 - Hayek F.A. (1979), *Law, Legislation and Liberty*, Volume III – The Political Order of a Free People, Chicago, London, Wiederabdruck in: Vanberg, V. (Hrsg.), *Hayek Gesammelte Schriften Bd. B4, Recht, Gesetzgebung und Freiheit*, Tuebingen 2003, S.128.
 - Hayek F.A. (2003), *Rechtsordnung und Handelsordnung*, in: Streit, M. E. (Hrsg.), *Hayek Gesammelte Schriften Bd. A4, Rechtsordnung und Handelsordnung*, Tuebingen, S. 217. (in German)
 - Kant I. (1781, 1788, 1790), *Die drei Kriterien in ihrem Zusammenhang mit dem Gesamtwerk*, Jubilaeumsausgabe anlaessl. Des 125-jaehrigen Bestehens d. philosophischen Bibliothek, Hmaburg, 1993, S. 390. (in German).
 - Mill J.S. (1859), *On Liberty*; in ders.: *Utilitarianism, Liberty, Representative Government*, neuausgabe, hrsg. v. H. B. Acton, London 1972, p. 75.
 - Sartori G. (1987), *The Theory of Democracy Revisited*, 2 Bde., Chatham, N. J., Sonderausgabe Darmstadt 1997, S. 337.
 - Streit M. E. (2005), *Theorie der Wirtschaftspolitik*, 6. Auflage, Stuttgart, S.26-30; 49-53; 257; 262. (in German).
 - Tuchtfeldt E. (1971a), *Moral Suasion in der Wirtschaftspolitik*; in E. Hoppmann(Hrsg.): *Konzertierte Aktion – Kritische Beitrage zu einem Experiment*, Frankfurt am Main, S. 32. (in German).

The Problem of Compliance of the Framework Conditions of the Policy of Economic Order with the Basic Social Values

Revaz Gvelesiani

Professor of Iv. Javakhishvili

Tbilisi State University

revaz.gvelesiani@tsu.ge

An essential component of economic policy problems is the divorce between reality and the desired socio-economic situation. In order to overcome this problem, the necessary condition is to comply with the basic public values (freedom, justice, security, progress) of the economic policy objectives and the decisions taken to implement them. This is what determines both the rationality of economic policy decisions and the effectiveness of their implementation in practice.

The economic order and legal-legislative system must always be focused on the core public values and goals. This is why economic order policy strives to achieve consistency between the public value system and the formation of framework conditions of economic order. This makes it clear that order politics is of instrumental nature in achieving socio-political goals and it is fundamentally different in different socio-economic systems (Gvelesiani, Gogorishvili, 2018, 11).

The more the ability to self-regulate market coordination is expected during the formation of framework conditions of economic order, the less the risk of random interventions. Priority is given to consistent, long-term and cautious economic policies. Particular caution should be exercised when trying to establish the framework conditions of economic order with the aim of improving self-regulation of market coordination.

Keywords: key public values, economic order policy, framework conditions of economic order, economic interests, conflicts of interest

JEL Codes: A13, A14, A19

„პოლიტიკური ქოუზის თეორემის“ შეუსრულებლობის შესახებ

ინგა ბალარაჯიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
inga.balarajshvili@tsu.ge

სტატიაში, ნეონსტიტუციონალურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, გაანალიზებულია „ქოუზის თეორემის“ რეალიზაციის დაბრკოლებები პოლიტიკაში: პოლიტიკური ტრანსაქციური ხარჯები, ეფექტიანი წესების შექმნისთვის მოტივაციის არარსებობა, ინსტიტუციური ცვლილებები როგორც „კრეატიული ნგრევა“, მხარეებს შორის ნდობის არარსებობა, პრეფერენციების პრობლემა, ინსტიტუციურ ცვლილებათა „დროითი ჰორიზონტი“. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია სანდო გარანტიების (ვალდებულებების) პრობლემაზე, როგორც ერთ-ერთ გადაულახავ წინააღმდეგობაზე. თამაშთა თეორიის გამოყენებით, ნაჩვენებია, რომ სხვადასხვა ძალაუფლების მქონე აქტორებს არ შეუძლიათ ურთიერთხელსაყრელ შეთანხმებამდე მისვლა. დადგენილია, რომ მოცემულ შეზღუდვათა ერთობლიობა ხელს უშლის „პოლიტიკური ქოუზის თეორემის“ შესრულებას და პარეტო-გაუმჯობესების მიღწევას. პოლიტიკაში ყოველთვის რჩება ხელიდან გაშვებული ალტერნატიული ინსტიტუციური შესაძლებლობები.

საკვანძო სიტყვები: ინსტიტუტები, პოლიტიკური ქოუზის თეორემა, რწმენა, სოციალური კონფლიქტი, ტრანსაქციური ხარჯები, ვალდებულებების პრობლემა.

ეკონომიკური ინსტიტუტები და ქცევის მოდელები წარმოადგენს აშკარა თუ არააშკარა შეთანხმების, ეკონომიკური და პოლიტიკური აგენტების კოლექტიური მოქმედებების შედეგს. აქედან გამომდინარეობს კითხვა: რა პირობებში შეიძლება მიღწეულ იქნეს პარეტო-ეფექტიანი პოლიტიკური შეთანხმება საზოგადოებრივ აგენტებს შორის ეკონომიკური ინსტიტუტების შექმნის შესახებ? სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესრულებადია თუ არა „პოლიტიკური“ ქოუზის თეორემა (Acemoglu 2003), რომელიც ვარაუდობს ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების თავისუფალ და ნებაყოფლობით გაცვლას და შედეგად – ეფექტიან ინსტიტუტებს.

როგორც რ. ქოუზის „სანყისი“ თეორემის შემთხვევაში, ამგვარი კოლექტიური მოქმედებების (უფლებამოსილებების გაცვლის) საფუძველია კოლექ-

ტიური სარგებლიანობის ზრდა, რაც შეიძლება განაწილდეს საზოგადოების წევრებს შორის და გაზარდოს მათი ინდივიდუალური სარგებლიანობა, ან მოახდინოს ეკონომიკური და პოლიტიკური „დაზარალებულების“ კომპენსირება. ამგვარად, ცვლილებები ინსტიტუტსა და ქცევის მოდელებში, როგორც პარეტო-გაუმჯობესება, საერთო ინტერესია.

დავუშვათ, არსებობს რალაც არაეფექტიანი ინსტიტუციური სტრუქტურა (საკუთრების უფლებები, შემოსავლების განაწილება და სხვ.). როგორც აღინიშნავენ ჯ. ბრენანი და ჯ. ბიუქენენი, ეს ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს ერთი მდგომარეობა მაინც, რომლის მიღწევა შეიძლება ცვლილებების გზით, რომელიც ზიანს არავის მოუტანს, იქნება ურთიერთხელსაყრელი და რომელსაც დაეთანხმებოდა ყველა მხარე (Бреннан, Бьюкенен 2005, 240). მ. ოლსონი ამის შესახებ წერს, „წარმოვიდგინოთ ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც წუხან იმაზე, რომ შედეგი არ არის ეფექტიანი, ან რაციონალური ჯგუფისთვის, ე.ი. ეს შედეგი არ ამაქსიმუმებს აგრეგირებულ, ანუ ერთობლივ რეალურ შემოსავალს თუ იმათ კეთილდღეობას, ვინც შედის ამ ჯგუფში... აქედან უნდა გამომდინარეობდეს გარიგების (ქოუზიანური კონტრაქტის) შესაძლებლობა, რომლის შედეგადაც მოგება ჯგუფისათვის ოპტიმალურ შედეგზე გადასვლიდან განაწილებული იქნება ყველას შორის, ასე რომ, ჯგუფის და მისი ყველა წევრის მდგომარეობა გაუმჯობესდება (Олсон 2012, 92). სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა არსებობდეს პოტენციურად შესაძლებელი პარეტო-გაუმჯობესება.

რატომ არ მოქმედებენ ერთობლივად ეკონომიკური და პოლიტიკური აგენტები ინსტიტუციური სტრუქტურის გაუმჯობესებისა და საერთო მოგების მისაღებად? რა უშლის ხელს „ქოუზის თეორემის“ რეალიზაციას პოლიტიკაში?

ქოუზის თეორემის პარადოქსულობა: სამყარო ნულოვანი ტრანსაქციური ხარჯებით

„ქოუზის თეორემა“ XX საუკუნის ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი მთავარი პარადოქსიაა. უდიდესი ევრისტიკული პოტენციალის გამო, ის გამოიყენებოდა ობიექტთა ფართო სპექტრის ანალიზისთვის (Андреев 2003), და წარმოშვა ქოუზიანიზმის (Coaseanism) მეცნიერული მიმდინარეობა, გახდა ახალი ინსტიტუციონალური ეკონომიკური თეორიის საფუძველი და, ფაქტობრივად, „მეორე სუნთქვა“ გაუხსნა ინსტიტუციონალიზმს ნეოკლასიკურ მეინსტრიმთან კონკურენციაში. მაგრამ, ამასთან ერთად, გამოიწვია დღემდე შეუწყვეტელი პოლემიკა და უამრავი ინტერპრეტაცია, თავისი არაერთმნიშვნელოვანი და წინააღმდეგობრივი შინაარსის (ბალარჯიშვილი 2005, 153-154) როგორც განვითარების, ასევე დამახინჯების მიმართულებით. ვინაიდან თვითონ რ. ქოუზს თავისი თეორემის ფორმულირება არ მოუცია, „როდესაც ამის გაკეთებას სხვები ცდილობენ, ის ან მცდარ გამონათქვამად, ან ტავტოლოგიად გადაიქცევა“ (Кутер 2004, 61). თვით რ. ქოუზი თავის თეორემას აფასებდა

როგორც ერთ-ერთ საფეხურს დადებითი ტრანსაქციური ხარჯების მქონე ეკონომიკის ანალიზისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ „ქოუზის თეორემა“ გამიზნული იყო კონკრეტული თეორიული ამოცანის გადნყვეტისთვის, მას მიანერეს ნორმატიული ფუნქცია და გადაიტანეს ყოფით სფეროში, ეკონომიკურ პოლიტიკასა და სამეურნეო პრაქტიკაში. რ. ქოუზი აღწერდა ჰიპოთეტურ სამყაროს ნულოვანი ტრანსაქციური ხარჯებით, მაგრამ სწორედ ეს სამყარო გახდა პროპაგანდის ობიექტი ქოუზიანელების მიერ, როგორც საბაზრო ეკონომიკის მიზნობრივი ორიენტირი. „თეორემა ამტკიცებს, რომ როდესაც საკუთრების უფლებები ზუსტადაა განსაზღვრული და ტრანსაქციური ხარჯები ნულის ტოლია, ბაზრის მონაწილეები ახორციელებენ თავიანთ ტრანსაქციებს იმგვარად, რომ ყველაზე ეფექტიანი შედეგი მიიღონ“ (Glaeser, Johnson and Shleifer 2001, 853). ასეთი ინტერპრეტაციით „ქოუზის თეორემა“ ბაზრის „უხილავი ხელის“ კონცეფციის მკაცრად ფორმულირებულ ვარიანტად გადაიქცევა. ამასთან ერთად, ე. ბერტრანი აჩვენებს, რომ თეორემა, თავისი არსით, ეკონომიკური პოლიტიკისთვის რაიმე დასკვნებს არ ვარაუდობს (Bertrand 2008, 22). არსებითად, თეორემა „უშუალოდ მიმართული იყო ლიბერალური ეკონომისტებისადმი, რომლებმაც ის შეაფასეს როგორც იმ ფაქტის დადასტურება, რომ ექსტერნალიები სახელმწიფოს ჩარევას არ საჭიროებენ“ (Butler and Garnett 2003, 135). ამით იცვლება წარმოდგენა სახელმწიფოზე საბაზრო ეკონომიკაში: „ღამის დარაჯიდან“ იგი ტრანსფორმირდება „ქოუზიანურ კანონმდებლად“ (Harris 2002, 1194), რომლის ფუნქცია ნათელი და ზუსტი ნესების შექმნაა ტრანსაქციათა განხორციელების ხარჯების შესამცირებლად. თუ რ. ქოუზი საუბრობდა დაბალი ტრანსაქციური ხარჯების „სასურველობის“ შესახებ და თავის თეორემას მხოლოდ „რბილ“ ნორმატიულ ინტერპრეტაციას აძლევდა, დ. ნორტმა ჩამოაყალიბა მისი „მკაცრი“ ვერსია, თავისებური „იმპერატივი“ ეკონომიკური პოლიტიკისთვის: „ეფექტიანი ბაზრები აღმოცენდება რეალურ სამყაროში მაშინ, როდესაც საკმარისად ძლიერია კონკურენცია, რათა არბიტრაჟმა და ეფექტიანმა (ინფორმაციულმა) უკუკავშირებმა შეძლონ სისტემის მდგომარეობის მიახლოება ქოუზის პირობებთან, რომელიც ვარაუდობს ნულოვან ტრანსაქციურ ხარჯებს და ბაზრის მონაწილეებს იმ ხელსაყრელი გაცვლის რეალიზების საშუალება მისცენ, რომელიც გამომდინარეობს ნეოკლასიკური თეორიიდან“ მის რადიკალურ-ლიბერალურ ვარიანტში (Hopt 2004, 709). ამგვარად, „ქოუზის თეორემა“ ორიგინალური თეორიული კონსტრუქციიდან გადაიქცა „დე-ფაქტო“ ნორმატიულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ მოდელად. სწორედ ამ პარადიგმულ სტატუსში ვითარდება იგი დღემდე.

„ქოუზის თეორემა“ ახდენს „იდეალური სტატიკური სამყაროს ვერბალურ მოდელირებას, რომელშიც ხახუნი არ არსებობს“ (Hopt 2004, 708). ცხადია, „ასეთ სამყაროში ინსტიტუტები, რომლებიც ეკონომიკურ სისტემას ქმნიან, არავის არაფრისთვის სჭირდება“ (Koyz 2007, 19), რადგან „ინსტიტუტებს მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ არანულოვანი ტრანსაქციური ხარჯების პირობებში“ (Менар

2005, 117). მაგრამ რეალურ ეკონომიკურ სამყაროში ტრანსაქციური ხარჯები არასდროს უდრის ნულს. მით უმეტეს, რომ ისინი არამწარმოებლური ხარჯებია და ყოველთვის „იძულებითი ხასიათი აქვთ... არავის სურს მათი გაღება, რადგან ისინი მხოლოდ დაბრკოლებაა უფლებების ეფექტიანად გაცვლისათვის“ (Дементьев 2005, 112).

„პოლიტიკური ქოუზის თეორემა“ და მისი მოდიფიკაციები

ისლანდიელმა ეკონომისტმა ტ. ეგერტსონმა ჩამოაყალიბა „განზოგადებული ქოუზის თეორემა“: ეკონომიკური ზრდა და ქვეყნის განვითარება, ძირითადად, არ არის დამოკიდებული არსებული მთავრობის ტიპზე, თუ ტრანსაქციური ხარჯები ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში ნულის ტოლია. მაგრამ, როდესაც ტრანსაქციური ხარჯები დადებითია, მაშინ ძალაუფლების განაწილება ქვეყნის შიგნით და მისი კანონშემოქმედი ორგანიზაციების ინსტიტუციონალური სტრუქტურა განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია (Eggertsson 1990). მაშასადამე, ინსტიტუციური ხარჯების არარსებობის შემთხვევაში, „თამაშის წესების“ ოპტიმალური ნაკრები ჩამოყალიბდებოდა ყველგან და ყოველთვის, რადგან ნებისმიერი „მოძველებული“ ინსტიტუტის შეცვლა ახლით, უფრო ეფექტიანით, არაფერი „ელირებოდა“.

პოლიტიკურ სფეროში „ქოუზის თეორემის“ გაფართოებული ვერსიის ფორმულირება შეიძლება შემდეგნაირად (ბ. ვირას განმარტება): „თუ პოლიტიკური უფლებების განაწილება, როგორცაა საარჩევნო უფლებები, ლობისტური შესაძლებლობები და ა.შ., მოცემულ კონსტიტუციურ ჩარჩოებშია, ოპტიმალური ინსტიტუციონალური შედეგი მიღწეული იქნება იმ პირობით, რომ არ არსებობს პოლიტიკური ტრანსაქციური ხარჯები, და ეს შედეგი არ არის დამოკიდებული პოლიტიკური უფლებების თავდაპირველ განაწილებაზე“ (Vira 1997, 770). ამგვარად, ივარაუდება, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსაქციების შედეგად, საზოგადოება ირჩევს ისეთ პოლიტიკურ ხაზს და ინსტიტუტებს, რომლებიც ამაქსიმიზებენ საზოგადოებრივ კეთილდღეობას, დამოუკიდებლად იმისგან, თუ ვინ ფლობს პოლიტიკურ ძალაუფლებას. ამ მიდგომის თანახმად, პოლიტიკური და ინსტიტუციური განსხვავებები არ არის ქვეყნების განსხვავებული ეკონომიკური შედეგების ძირითადი მიზეზი, ვინაიდან საზოგადოებები ირჩევენ, ყოველ შემთხვევაში, სუბოპტიმალურად მაინც, მათი პირობების შესაფერის პოლიტიკას და ინსტიტუტებს.

პოლიტიკური „ქოუზის თეორემის“ მომხრეები აქცენტს აკეთებენ იმაზე, რომ მესამე მხარის როლში გამოსვლა და სამართალდაცვის (ინფორსმენტის) განხორციელება შეუძლია არამართო სახელმწიფოს, არამედ სხვა ორგანიზაციებსა და ინდივიდებსაც (მაგალითად, ეკლესიას ან მაფიას) (Barzel 2002). ეს ქმნის სამართალდაცვის ბაზარს, რომელიც აძლიერებს მოქალაქეთა პოზიციებს (მოლაპარაკების ძალას) სახელმწიფოსთან.

ქოუზის თეორემის მოდიფიკაციას წარმოადგენს რწმენაში განსხვავებების თეორია (theories of belief differences). ამ თეორიის თანახმად, სხვადასხვა ქვეყანა ირჩევს სხვადასხვა პოლიტიკურ ხაზს ძალიან განსხვავებული შედეგებით, ვინაიდან მათ კეთილგანმზრახველ ლიდერებს სხვადასხვა მრწამსი აქვთ იმის შესახებ, თუ რომელი პოლიტიკაა ოპტიმალური საზოგადოებისთვის. შედეგად ქვეყნები, რომლებშიც ამომრჩევლებმა, ან ლიდერებმა აირჩიეს ოპტიმალური ეკონომიკური პოლიტიკა, ვითარდებიან, ხოლო ისინი, ვინც შეცდნენ – ჩამორჩებიან. ისევე, როგორც პოლიტიკური „ქოუზის თეორემის“ შემთხვევაში, პოლიტიკა, რომელიც სრულიად აშკარად დამანგრეველია, არ რეალიზდება, ამიტომ ამ მიდგომას უწოდებენ მოდიფიცირებულ „პოლიტიკურ ქოუზის თეორემას“.

დ. ნორტი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ინდივიდები, რომლებიც აყალიბებენ პოლიტიკას, შეზღუდულად რაციონალური აქტორები არიან, მოქმედებენ არასრული ინფორმაციის საფუძველზე და გადაამუშავენ ამ ინფორმაციას საკუთარი იდეოლოგიური წარმოდგენების პრიზმაში (იდეოლოგიის ცნებაში დ. ნორტი გულისხმობს სუბიექტურ მენტალურ მოდელებს, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები ხსნიან გარემომცველ სამყაროს) (Hopt 1993, 73,76-78). მასასადამე, ამ აქტორებს შეუძლიათ სტაბილურად არაეფექტიანი გადაწყვეტილებების კვლავწარმოება. ის აღნიშნავს, რომ „ტრანსაქციური ხარჯების არსებობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბაზრებზე ხსნის საკუთრების არაეფექტიანი უფლებების არსებობას, ხოლო იმ მოთამაშეთა სუბიექტური მოდელების არასრულყოფილებამ, რომლებიც ცდილობენ გაერკვნენ მათ წინაშე მდგომ რთულ პრობლემებში, შეიძლება გამოიწვიოს ამ არაეფექტიანი საკუთრების უფლებების სიმყარე“ (Hopt 1997, 128).

სოციალური კონფლიქტის თეორიის თანახმად, საზოგადოებები ირჩევენ სხვადასხვა პოლიტიკურ ტრაექტორიას, ზოგჯერ მოქალაქეთათვის კატასტროფულს, რადგან ეს გადაწყვეტილებები მიიღება პოლიტიკოსების, ან პოლიტიკურად გავლენიანი ჯგუფების მიერ, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საკუთარი და არა საზოგადოებრივი კეთილდღეობის მაქსიმიზაციით. სოციალური კონფლიქტის თეორიის უკიდურეს ვერსიად შეიძლება ჩაითვალოს მ. ოლსონის „მკვიდრი ბანდიტის“ მოდელი, რომელშიც ეგოისტური ინტერესებით მოქმედი „მმართველი“ აღწევს მონოპოლიას ძალადობის გამოყენებაზე. ამის შედეგად ყალიბდება სტიმულების სისტემა („ყოველსომცველი ინტერესი“), რომელიც აიძულებს მას განახორციელოს საზოგადოებრივად ეფექტიანი პოლიტიკა. ამგვარად, „სოციალური კონფლიქტის თეორია“ არ გულისხმობს აუცილებლად საზოგადოებრივად არაეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას, ის მხოლოდ აქცენტს აკეთებს მთელი საზოგადოებისა და პოლიტიკურად გავლენიანი ჯგუფების ინტერესებს შორის მკვეთრ განსხვავებაზე .

ამგვარად ისევე, როგორც ეკონომიკაში, „პოლიტიკური ქოუზის თეორემის“ სამყაროც შესაძლებელია დაბალი ტრანსაქციური ხარჯების და სამართალდაცვის (ინფორსმენტის) ბაზარზე კონკურენციის სიტუაციაში: სწორედ კონკურენცია ქმნის წონასწორობას, რომლის ფარგლებშიც თითოეული კონკრეტული გა-

რანტიისთვის (ინფორსერისთვის) არახელსაყრელია წესების დარღვევა, რადგან ეს გამოიწვევს კლიენტების დაკარგვას მომავალში. „სოციალური კონფლიქტის თეორიის“ სამყარო, პირიქით, წარმოიშობა მაღალი ტრანსაქციური ხარჯების და ძალადობის მაღალი მონოპოლიზაციის სიტუაციაში. პარადოქსულია, მაგრამ საზოგადოებრივად ოპტიმალური სწორედ ეს უკიდურესი წერტილებია: სამართალდაცვის სრულად კონკურენტული ბაზრის პირობებშიც და ამ ბაზარზე მონოპოლიის პირობებშიც საზოგადოება მოგებულია.

რატომ არ სრულდება ქოუზის თეორემა პოლიტიკაში

„პოლიტიკური ქოუზის თეორემის“ რეალიზაციის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი პოლიტიკური ტრანსაქციური ხარჯებია: უფლებამოსილებათა ოპტიმალური განაწილების ძიების ინფორმაციული ხარჯები; მოლაპარაკებათა წარმართვის ხარჯები; გადაწყვეტილებათა მიღების, ოფიციალური განკარგულებების გამოცემის ხარჯები; სისტემის ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაციის ცვლილების ხარჯები; „გადასვლის ხარჯები“ (ჯ. ბიუქენენის და ჯ. ბრენანის მიხედვით) – წესების შეცვლა მოითხოვს ხარჯებს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური თამაშის ყველა მონაწილისთვის: ახალი უფლებამოსილებების შესწავლის ხარჯები, საკადრო ცვლილებები, ახალ ინსტიტუციურ გარემოში ქცევის სტრატეგიის ცვლილებასთან დაკავშირებული ინფორმაციული ხარჯები და ა.შ.

მხარეებს (ყოველ შემთხვევაში, ერთ მხარეს მაინც) შეიძლება არ აინტერესებდეთ საერთო მოგება, რამდენადაც არსებობს კერძო მოგების მიღების შესაძლებლობა საერთოს გარეშე. საქმე ეხება შემოსავლის მაქსიმიზაციის ალტერნატიული გზების (ეკონომიკური და პოლიტიკური რენტის) არსებობას, რომლის წყაროა ასიმეტრია ძალაუფლების განაწილებაში. რენტის წყაროდ შეიძლება გადაიქცეს, აგრეთვე, ინფორმაციის ასიმეტრიაც. დაქვემდებარებულ მხარეს შეუძლია თავისი შემოსავლის გაზრდა საკუთარი საქმიანობის შესახებ დამახინჯებული ინფორმაციის მიწოდების მეშვეობით. „როდესაც მსჯელობა უკვე არსებული წესის ცვლილებაზე... ის წესი, რომელიც წარმოშობს შედეგების ყველაზე უმჯობეს ნაკრებს, არა აუცილებლად დომინირებადი აღმოჩნდება... თუ არსებობს სტაბილური და მოთმენადი წესები, საზოგადოებამ შეიძლება არ სცადოს მათი შეცვლა“ (Бреннан, Бьюкенен, 2005, 36).

ინსტიტუციური ცვლილებები წარმოადგენს „კრეატიულ ნგრევას“. ინსტიტუტების ეფექტიანობის ზრდას შეიძლება მოჰყვეს შემოსავლის, ძალაუფლების, საკუთრებაში პოზიციის დაკარგვა ცალკეული ეკონომიკური და პოლიტიკური აგენტების მიერ. ეს ინვესს პოტენციური „ნაგებულების“ წინააღმდეგობას ინსტიტუციური ცვლილებებისადმი. „ნებისმიერი ეკონომიკური ცვლილება, რომელიც შეარყევს ელიტების პოლიტიკურ ძალაუფლებას, დიდი ალბათობით, გრძელვადიან პერიოდში გამოიწვევს ეკონომიკური რენტის შემცირებას. ამიტომ, ელიტები შეიძლება შეენინააღმდეგონ ეკონომიკური

ინსტიტუტების ცვლილებას, რომელიც სტიმულს მისცემდა ეკონომიკურ ზრდას“ (Acemoglu, Johnson and Robinson, 2005, 41–42). აქვე უნდა აღინიშნოს პრეფერენციების პრობლემაც. ფასეულობები არსებობს როგორც კოლექტიურ, ასევე ინდივიდუალურ დონეზე. ძალაუფლების ფლობის ინდივიდუალური მოტივაცია არ შემოიფარგლება იმით, რომ ძალაუფლება მისი მფლობელისთვის მხოლოდ გარკვეული მიზნის მიღწევის (მაგალითად, რენტული შემოსავლების მიღების) საშუალებაა. ძალაუფლებისადმი მოტივაცია დაკავშირებულია იმასთანაც, რომ ძალაუფლება „დოვლათია“ თავისთავად და, ამიტომ, შეიძლება იყოს საბოლოო მიზანიც.

„პოლიტიკური ქოუზის თეორემის“ რეალიზაციას ხელს უშლის მხარეებს შორის ნდობის პრობლემაც. ისინი არ არიან დარწმუნებულნი, რომ საზოგადოებრივი დოვლათის ნაზრდიდან საკუთარ წილს მიიღებენ. სხვაგვარად, ეს ნიშნავს რწმენის არარსებობას, რომ საზოგადოების სარგებლიანობის ფუნქციის მაქსიმიზაცია დადებითად იმოქმედებს სარგებლიანობის ინდივიდუალურ ფუნქციაზე.

ინსტიტუციურ ცვლილებათა შინაარსზე გავლენას ახდენს გადანყვეტილებათა მიღების დროითი ჰორიზონტის „სიდიდე“. როგორც ჯ. კეინზი აღნიშნავდა, გრძელვადიან პერსპექტივაში „ჩვენ ყველა მიცვალებულები ვართ“. ვინაიდან არსებობს განსხვავება დროში ინსტიტუციური ცვლილებების ხარჯებსა და ამ ცვლილებებიდან მიღებულ სარგებლობას შორის, არ არსებობს მოტივაცია ინსტიტუციური ცვლილებებისადმი, რომელიც ეფექტს გრძელვადიან პერიოდში იძლევა.

ყველაზე მთავარი პრობლემაა ის, რომ არ არსებობს საზოგადოებრივი ურთიერთობების რომელიმე მხარის სასარგებლოდ საზოგადოებრივი შემოსავლის ნაზრდის განაწილების „სანდო“ მექანიზმები. საქმე ეხება ვალდებულებების შესრულების მაიძულებელი მექანიზმის (მესამე მხარის) არარსებობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენადაც არ არსებობს მიღებული სარგებლიანობის გადანაწილების გარანტია, არ არსებობს ინსტიტუტების სრულყოფის სტიმულებიც. ვინაიდან ეს პრობლემა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დაბრკოლებად მიგვაჩნია, მასზე უფრო დეტალურად შევჩერდებით.

სანდო გარანტიების (ვალდებულებების) პრობლემა (Credible Commitment Problem)

როგორც დ. ასემოგლუ აღნიშნავს, იმ მოსაზრების „მომხიბვლელობის“ მიუხედავად, რომ ინდივიდები და ინდივიდთა ჯგუფები მიისწრაფიან ეფექტიანი ეკონომიკური შედეგების მიღწევისკენ, არსებობს „პოლიტიკური ქოუზის თეორემის“ თეორიული და ემპირიული შეზღუდვები. ჯერ ერთი, პოლიტიკური სფეროსთვის დამახასიათებელია ალებულ ვალდებულებათა შესრულების პრობლემა, მეორე, „პოლიტიკური ქოუზის თეორემა“ არაფერს ამბობს ეკონო-

მიკური (და თვით პოლიტიკური) ინსტიტუტების გავლენის შესახებ ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგებზე (Acemoglu, Johnson and Robinson 2005, 31).

„სოციალური კონფლიქტის თეორიის“ მიხედვით, ამ მიდგომის მთავარი ამოცანაა განისაზღვროს - კონკრეტულად რომელი ტრანსაქციური ხარჯები უშლის ხელს „პოლიტიკური ქოუზის თეორემის“ რეალიზაციას (Acemoglu 2003, 620-652). სხვაგვარად რომ ვთქვათ, რატომ არ შეუძლიათ პოლიტიკოსებს და პოლიტიკურად გავლენიან ჯგუფებს შეთანხმდნენ საზოგადოების დანარჩენ ნაწილთან კეთილდღეობის მმაქსიმიზებელი პოლიტიკის შესახებ? ამის მიზეზია პრობლემა, რომელიც ჩადებულია თვით სამართალდაცვის (ინფორსმენტის) ცნებაში და რომელიც არ იძლევა სანდო გარანტიების მიღწევის შესაძლებლობას. კონტრაქტი გარანტსა და სხვა აქტორებს შორის არ შესრულდება, რადგან გარანტს არ შეუძლია მისცეს სანდო გარანტია ძალის არგამოყენებაზე შეთანხმების დარღვევის, ან მისი პირობების შეცვლის მიზნით. მაშასადამე, პოლიტიკური ძალაუფლების განაწილება ქმნის „ვალდებულებების პრობლემას“ (commitment problem), რომელიც ანგრევს, საზოგადოებრივი კეთილდღეობის თვალსაზრისით, ეფექტიანი შედეგის მიღწევის პოტენციალს.

პრობლემის ფორმალიზება შესაძლებელია თამაშთა თეორიის მეშვეობით. გარანტის პრობლემის გადასაწყვეტად გამოიყენება ნემის წონასწორობა: მოთამაშეთა სტრატეგიულ არჩევანთა პროფილი ნემის წონასწორობას წარმოადგენს მაშინ, თუ არცერთ მოთამაშეს არა აქვს სტიმული, შეცვალოს თავისი სტრატეგია მეორე მოთამაშისგან დამოუკიდებლად. ინსტიტუტების „დიზაინის“ ამგვარი მეთოდოლოგია საჭიროა იმისათვის, რომ რაიმე საზოგადოებრივი მიზნით შემუშავებული წესები თავსებადი აღმოჩნდეს მოთამაშეთა სტიმულებთან. (Hurwicz 1993, 51-67). ტერმინი „მასტიმულირებელი თავსებადობა“ (incentive compatibility) მნიშვნელოვანია იმ სიტუაციის აღწერისთვის, როდესაც გარე ინფორსმენტი (წესების შესრულების იძულება) შეუძლებელია, ან მეტისმეტად ხარჯიანია: ინსტიტუტის ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის აუცილებელია, რომ აქტორები თვლიდნენ, რომ მათივე ინტერესებშია წესების დაცვა.

ისტორიულად ჩამოყალიბდა ინსტიტუტებისადმი, როგორც წონასწორობისადმი, ორი ძირითადი მიდგომა. პირველის მიხედვით კონვენციონალური ქცევა მყარდება თავისთავად, მესამე მხარის მიერ იძულების, ანუ „შეგნებული დიზაინის“ გარეშე. კონვენციის ევოლუციასთან ერთად, აგენტები ცვლიან განსაზღვრულ ნიშნებს (გარემოს აღქმას, უპირატესობებს, უნარებს) ევოლუციური შერჩევის ზეგავლენით. რ. სუგდენი აღნიშნავს, რომ „კანონს შეუძლია ასახოს ქცევის კოდი, რომელიც მოსახლეობის დიდმა ნაწილმა საკუთარ თავს დააკისრა“ (Sugden 1989). მეორე მიდგომა გულისხმობს წონასწორობის უფრო რთულ კონცეფციას – ნემის წონასწორობას თანმიმდევრულ თამაშებში (Greif 1998, 80-84; Milgrom P., North D., Weingast B., 1990, 1-23; Greif A., Milgrom P., Weingast B. 1994, 745-776; Calvert 1995, 57-93). ამ მიდგომით გადამწყვეტ როლს ასრულებს მოთამაშეთა მოლოდინები, ანუ რწმენა (belief). მოცემულ წონასწორობაში ბევრი მდგომარეობა არ რეალიზდება არა იმიტომ, რომ დახურულია

რალაც გარე ბარიერებით, არამედ მოთამაშეთა სტრატეგიული გათვლების გამო, რაც მათ მოცემული გზის არჩევის საშუალებას არ აძლევს. ეს გათვლები დაკავშირებულია მათ რაციონალურ მოლოდინებთან სხვა მოთამაშეთა რწმენის შესახებ.

ვ. ტამბოვცევი გვთავაზობს ნორმების სპონტანური წარმოშობის შემდეგ სქემატურ მოდელს: ინდივიდები, რომლებიც აკვირდებიან სხვა ინდივიდების ქცევას, აგებენ მათი ქცევის გადანყვეტილების მიღებისათვის აუცილებელ პროგნოზებს. თუ ასეთი პროგნოზი არაერთხელ მართლდება, ინდივიდს უყალიბდება მოლოდინი სხვისი (სხვების) ქცევის მიმართ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის უკვე ფლობს არამართო პროგნოზს, როგორც ასეთს, არამედ იმის რწმენასაც, რომ მისი პროგნოზი ყოველთვის სწორი იქნება. „დარწმუნებულობა – წმინდა ფსიქოლოგიური მდგომარეობაა, მაგრამ შეზღუდულად რაციონალური ინდივიდებისთვის იგი ისევე მნიშვნელოვანია გადანყვეტილების მისაღებად, როგორც უტყუარი ცოდნა“ (Тамбовцев 2011, 88).

მოცემული იდეის ილუსტრირება შესაძლებელია სავაჭრო გილდიის მოდელით (Greif A., Milgrom P., Weingast B., 1994, 745-776). თამაში მიმდინარეობს ვაჭართა ჯგუფსა და ქალაქის მმართველს შორის. ვაჭრობის განვითარებისთვის, ქალაქმა უნდა დაიცვას ჩამოსული ვაჭრები და მათი საკუთრება. თამაშის პირველ ეტაპზე მმართველი ჰპირდება ვაჭრებს უსაფრთხოებას ქალაქში ვაჭრობის სტიმულირების მიზნით, რაც ზრდის ორივე მხარის (როგორც ვაჭართა, ასევე მმართველის) კეთილდღეობას. მეორე ეტაპზე დგება ვაჭართა მიერ განხორციელებული სვლის დრო – ისინი იღებენ გადანყვეტილებას ივაჭრონ თუ არა ქალაქში. მესამე ეტაპზე, თუ ვაჭრობა დაწესდა, მმართველს უჩნდება თავისი დაპირების დარღვევის სტიმული, რაც მას გაცილებით მეტი მოგების მიღების საშუალებას მისცემს, ვიდრე შეთანხმების დაცვა. თამაში რომ სასრული ყოფილიყო, ეს გამოიწვევდა ვაჭრების მიერ ვაჭრობაზე უარის თქმას მმართველის მოქმედების გათვალისწინებით. სწორედ ამაში მდგომარეობს **სანდო გარანტიების (ვალდებულებების) პრობლემა (credible commitment)** – მმართველის მიერ დაპირებების დარღვევის სტიმული და მისი მხრიდან მყარი გარანტიების მიცემის უუნარობა (იმ ძალის არარსებობის გამო, რომელიც აიძულებდა შეთანხმების შესრულებას) ინვესტს იმას, რომ ყველა მონაწილისთვის ხელსაყრელი მდგომარეობა (ვაჭრობა) ვერ მიიღწევა.

მოცემული სიტუაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც „პატიმრების დილემის“ ვარიანტი. თუმცა, თამაშის განმეორებადობა საშუალებას იძლევა შეიქმნას მმართველის მხრიდან გარანტიების სიმყარის უზრუნველყოფის მექანიზმი – ორგანიზაცია (გილდია). ირჩევს შემდეგ სტრატეგიას: ის ვაჭრობს ქალაქში მოცემულ პერიოდში, ოღონდ, იმ პირობით, რომ არც ერთი მისი ნევრი არ იქნება გაძარცვული მმართველის მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გილდია აორგანიზებს ბოიკოტს. ბოიკოტის შედეგად მმართველი კარგავს ვაჭრობიდან მთელ მომავალ მოგებას. ამის გამო მმართველისთვის ოპტიმალუ-

რი ხდება შემდეგი სტრატეგია: ის არ ძარცვავს ვაჭრებს მანამდე, სანამ გილდია არ გამოაცხადებს ბოიკოტს. როგორც კი ბოიკოტი ცხადდება, მმართველი ძარცვავს ნებისმიერ ვაჭარს. ამგვარად, განმეორებად თამაშებში შეთანხმების დარღვევის სტრატეგია არახელსაყრელია მმართველისთვის, რაც მის გარანტიებს სარწმუნოს ხდის და უზრუნველყოფს ვაჭრობის განვითარებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სტრატეგიათა ასეთი პროფილი წარმოადგენს თანმიმდევრულსვლიანი თამაშების წონასწორობას.

ამ მაგალითში, სავაჭრო გილდია და მისი მოსალოდნელი როლი ბოიკოტის ორგანიზებაში, შეიძლება განვიხილოთ როგორც კონტრაქტის შესრულების იძულების სარწმუნო მექანიზმი. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ ორგანიზაციები, რომლებსაც დ. ნორტი აღწერდა როგორც მოთამაშეებს ინსტიტუტების წონასწორობის თეორიაში, აღინერება როგორც ინსტიტუტის ნაწილი. ინსტიტუტები – ადამიანთა ურთიერთქმედების არატექნოლოგიური შეზღუდვები – შედგება ორი ურთიერთდაკავშირებული ელემენტისგან: კულტურული მრწამსისგან (ე.ი. იმისგან, თუ როგორ ქცევას ელიან სხვებისგან ინდივიდები სხვადასხვა გარემოებებში) და ორგანიზაციებისგან (ადამიანთა ენდოგენური კონსტრუქტები, რომლებიც ცვლიან თამაშის წესებს). ისინი იმყოფებიან წონასწორობაში და არ საჭიროებენ გარეშე აღმსრულებელს (Greif 1994, 943). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოცემული მიმართულების ფარგლებში, გარანტი არ გამოირიცხება განხილვიდან. ის, უბრალოდ, ეგზოგენური ცვლადად ენდოგენურ ცვლადად გადაიქცევა.

სანდო გარანტიების პრობლემის ყველაზე ცნობილი მაგალითია „პატიმრების დილემა“. თითოეული მოთამაშისთვის დომინანტური სტრატეგია „აღიარებაა“, რადგან ეს უზრუნველყოფს მეტ მოგებას, მიუხედავად იმისა, თუ როგორ გადანყვეტილებას მიიღებს მეორე მოთამაშე. ცხადია, რომ თუ მოთამაშეები შეძლებდნენ სანდო გარანტიების მიღწევას და არც ერთი „არ აღიარებდა“, ისინი მიაღწევდნენ ოპტიმალურ შედეგს, მაგრამ ეს შეუძლებელია. სიტუაციის პარადოქსია ის, რომ მაშინაც კი, თუ ორივე მოთამაშე „ერთგულია“ (არ მისცემს ჩვენებას თანამონაწილის წინააღმდეგ, თუ ის არ აძლევს ჩვენებას მის წინააღმდეგ), და იცნობს მეორე მოთამაშის ტიპს (იცის, რომ ის არ აღიარებს დანაშაულს, თუ პირველ მოთამაშე არ აძლევს ჩვენებას მის წინააღმდეგ), მათ ისევ რჩებათ აღიარების სტიმულები (ცხრილი 1).

სანდო გარანტიების პრობლემას, რომელიც ასოცირდება „პოლიტიკური ქოუზის თეორემასთან“, ორი კომპონენტი აქვს. ჯერ ერთი, გარანტს არ შეუძლია სარწმუნო დაპირების გაცემა – რომ არ გამოიყენებს ძალაუფლებას მანამდე, სანამ მასზე უარი არ უთქვამს. მეორეც, თუ გარანტი უარს ამბობს ძალაუფლებაზე, მოქალაქეებს არ შეუძლიათ დაპირდნენ, რომ პატივს სცემენ მისი საკუთრების უფლებებს, რადგან ყოფილი გარანტი უკვე აღარ ფლობს პოლიტიკურ ძალაუფლებას ამ დაპირებათა შესრულების იძულების განსახორციელებლად.

„სანდო გარანტიების პრობლემა“ „პატიმრების დილემაში“

ცხრილი 1

მოთამაშის ტიპი	A მოთამაშე	B მოთამაშე
	„მე არ მივცემ ჩვენებას B-ს წინააღმდეგ, თუ ის არ მისცემს ჩვენებას ჩემ წინააღმდეგ“ = (მე „ერთგული“ მოთამაშე ვარ)	„მე არ მივცემ ჩვენებას A-ს წინააღმდეგ, თუ ის არ მისცემს ჩვენებას ჩემ წინააღმდეგ“ = (მე „ერთგული“ მოთამაშე ვარ)
რწმენა მეორე მოთამაშის ტიპის შესახებ	„მე მჯერა, რომ B არ მისცემს ჩვენებას ჩემ წინააღმდეგ, თუ მე არ მივცემ ჩვენებას მის წინააღმდეგ“ = (ის „ერთგული“ მოთამაშის ტიპია)	„მე მჯერა, რომ A არ მისცემს ჩვენებას ჩემ წინააღმდეგ, თუ მე არ მივცემ ჩვენებას მის წინააღმდეგ“ = (ის „ერთგული“ მოთამაშის ტიპია)
რწმენა მეორე მოთამაშის რწმენის შესახებ (belief)	„მაგრამ იცის B-მ, რომ მე არ მივცემ ჩვენებას მის წინააღმდეგ? თუ ის გამცემად მთვლის, მისცემს ჩვენებას. მაშინ მეც უნდა მივცე ჩვენება, რათა არ მივიღო პატიმრობის მაქსიმალური ვადა“ = „მე მნამს, რომ მეორე მოთამაშე თვლის, რომ მე „გამცემი“ ვარ“	„მაგრამ იცის A-მ, რომ მე არ მივცემ ჩვენებას მის წინააღმდეგ? თუ ის გამცემად მთვლის, მისცემს ჩვენებას. მაშინ მეც უნდა მივცე ჩვენება, რათა არ მივიღო პატიმრობის მაქსიმალური ვადა“ = „მე მნამს, რომ მეორე მოთამაშე თვლის, რომ მე „გამცემი“ ვარ“
არჩეული სტრატეგია	ჩვენების მიცემა	ჩვენების მიცემა
შედეგი	იღებს პატიმრობას (პარეტო-არაოპტიმალური შედეგი)	იღებს პატიმრობას (პარეტო-არაოპტიმალური შედეგი)

წყარო: შედგენილია სტატიის ავტორის მიერ

მაგალითისთვის განვიხილოთ სიტუაცია ჰიპოთეტურ ქვეყანაში. დავუშვათ, პრეზიდენტის მიერ გატარებული პოლიტიკით უკმაყოფილო 100 ათასზე მეტი ადამიანი შეიკრიბა ქვეყნის მთავარ მოედანზე. პრეზიდენტი ჰპირდება მთელ რიგ დათმობაზე წასვლას (მაგალითად, გარკვეული რეპრესიული კანონების გაუქმებას, ზოგიერთი ჩინოვნიკის განთავისუფლებას თანამდებობიდან ან თვით ვადამდელი არჩევნების ჩატარებასაც კი). თუ პროტესტანტები მიცემულ დაპირებებს დაუჯერებენ და დაიშლებიან, პრეზიდენტს ვერაფერი შეუშლის ხელს დაარღვიოს პირობა: დააპატიმროს საპროტესტო მოძრაობის აქტივისტები და გააგრძელოს რეპრესიული პოლიტიკა. იციან რა ეს, პროტესტანტებს არ სჯერათ დაპირებების და აგრძელებენ საპროტესტო აქციებს. დავუშვათ, რომ ამ სიტუაციაში პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას, უარი თქვას ხელისუფლებაზე იმ პირობით, რომ არ დაექვემდებარება სისხლის სამართლებრივ დევნას და ოპოზიცია მისცემს მას ასეთ დაპირებას. მაგრამ მას

შემდეგ, რაც ის გადადგება, პრეზიდენტს არ შეუძლია ამ დაპირების შესრულება: ვერაფერი დააბრკოლებს ახალ ხელისუფლებას, დაარღვიოს ის. ამ სიტუაციაში პარეტო-ოპტიმალური შედეგი (კომპრომისი ოპოზიციასა და პრეზიდენტს შორის) მიუღწეველი აღმოჩნდება (ცხრილი 2).

ამავე დროს, აღწერილი მაგალითის პესიმიზმის მიუხედავად, იმის გამო, რომ მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთქმედება განმეორებადია, შესაძლებელი ხდება ისეთი ვალდებულებების წარმოშობა, რომელიც დაფუძნებულია რეპუტაციასა და კონტრაგენტის მომავალი საპასუხო მოქმედების მუქარაზე, რაც შესაძლებელს ხდის ოპტიმალური ან სუბოპტიმალური შედეგის მიღწევას მაინც.

„სანდო გარანტიების პრობლემა“ „პოლიტიკურ ქოუზის თეორემაში“

ცხრილი 2

მოთამაშის ტიპი	პროტესტანტები	პრეზიდენტი
	„ჩვენ დავიშლებით, თუ პრეზიდენტი დაპირებებს შეასრულებს“ (მე „ერთგული“ მოთამაშე ვარ)	მე შევასრულებ დაპირებებს, თუ ისინი დაიშლებიან (მე „ერთგული“ მოთამაშე ვარ)
რწმენა მეორე მოთამაშის ტიპის შესახებ	„ჩვენ გვჯერა, რომ პრეზიდენტი შეასრულებს დაპირებებს, თუ დავიშლებით“ = (ის „ერთგული“ მოთამაშის ტიპია)	„მე მჯერა, რომ ისინი დაიშლებიან, თუ მე შევასრულებ დაპირებებს“ = (ის „ერთგული“ მოთამაშის ტიპია)
რწმენა მეორე მოთამაშის რწმენის შესახებ (belief)	„მაგრამ იცის პრეზიდენტმა, რომ ჩვენ არ დავსჯით გადადგომის შემდეგ? თუ ის მოლაღატედ გვთვლის, არ შეასრულებს დაპირებებს და გააგრძელებს რეპრესიულ პოლიტიკას“ = („მე მწამს, რომ მეორე მოთამაშე თვლის, რომ მე „მოლაღატე“ ვარ“)	„მაგრამ იციან მოქალაქეებმა, რომ მე დაპირებებს შევასრულებ? თუ ისინი მოლაღატედ მთვლიან, მე არ უნდა გადავდგე და მიტინგი დავშალო“ = „მე მწამს, რომ მეორე მოთამაშე თვლის, რომ მე „მოლაღატე“ ვარ“
არჩეული სტრატეგია	არ შეწყვიტონ პროტესტი	არ გადადგეს
შედეგი	პროტესტის ესკალაცია (პარეტო-არაოპტიმალური შედეგი)	რეპრესიული პოლიტიკის ესკალაცია (პარეტო-არაოპტიმალური შედეგი)

წყარო: შედგენილია სტატიის ავტორის მიერ

ამგვარად, პოლიტიკური „ქოუზის თეორემა“ აღმოჩნდება უტოპია. სხვადასხვა ძალაუფლების (როგორც ძალადობის გამოყენების უნარის) მქონე აქტორებს არ შეუძლიათ ურთიერთხელსაყრელ შეთანხმებამდე მისვლა.

დასკვნა

„პოლიტიკური“ ქოუზის თეორემა“ ვარაუდობს ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების თავისუფალ და ნებაყოფლობით გაცვლას და შედეგად – ეფექტიან ინსტიტუტებს. მაშასადამე, არსებობს კოოპერაციული თამაშის შესაძლებლობა ეკონომიკურ აგენტებს შორის ერთობლივი მოგების მისაღებად (რომელ მაჩვენებლებში გამოიხატება ეს მოგება, ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს).

„პოლიტიკური ქოუზის თეორემის“ რეალიზაციას ხელს უშლის რამდენიმე დაბრკოლება: – პოლიტიკური ტრანსაქციური ხარჯები (უფლებამოსილებათა ოპტიმალური განაწილების ძიების ინფორმაციული ხარჯები; მოლაპარაკებათა წარმართვის ხარჯები; სისტემის ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაციის ცვლილების ხარჯები და ა.შ.); – მხარეებს (ყოველ შემთხვევაში, ერთ მხარეს მაინც) შეიძლება არ აინტერესებდეს საერთო მოგება, რამდენადაც არსებობს კერძო მოგების (ეკონომიკური და პოლიტიკური რენტის) მიღების ალტერნატიული შესაძლებლობა. მისი წყაროა ასიმეტრია ძალაუფლების განაწილებაში; – ინსტიტუციური ცვლილებები „კრეატიული ნგრევაა“. ინსტიტუტების ეფექტიანობის ზრდას შეიძლება მოჰყვეს შემოსავლის, ძალაუფლების, ან საკუთრებაში პოზიციის დაკარგვა ცალკეული ეკონომიკური და პოლიტიკური აგენტის მიერ, რაც იწვევს პოტენციური „ნაგებულების“ წინააღმდეგობას ინსტიტუციური ცვლილებებისადმი; – მხარეებს შორის ნდობის პრობლემა, ანუ იმ რწმენის არარსებობა, რომ საზოგადოების სარგებლიანობის ფუნქციის მაქსიმიზაცია დადებითად იმოქმედებს სარგებლიანობის ინდივიდუალურ ფუნქციაზე; – ვალდებულებების პრობლემა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ არ არსებობს საზოგადოებრივი შემოსავლის ნაზრდის განაწილების, ვალდებულებების შესრულების „სანდო“ მექანიზმები; – ფასეულობების (პრეფერენციების) პრობლემა. ძალაუფლება მისი მფლობელისთვის არამხოლოდ გარკვეული მიზნის მიღწევის (მაგალითად, რენტული შემოსავლების მიღების) საშუალებაა. ის „დოვლათია“ თავისთავად და, ამიტომ, შეიძლება საბოლოო მიზანიც იყოს; – ინსტიტუციურ ცვლილებათა „დროითი ჰორიზონტი“. განსხვავება დროში ინსტიტუციური ცვლილებების ხარჯებსა და ამ ცვლილებებით მიღებულ სარგებლობას შორის, ასუსტებს მოტივაციას ინსტიტუციური ცვლილებებისადმი, რომელიც ეფექტს გრძელვადიან პერიოდში იძლევა.

მოცემულ შეზღუდვათა ერთობლიობის შედეგად, რომელთაგან ბევრი გადაულახავი ხასიათისაა, ქოუზის თეორემა პოლიტიკაში არ სრულდება. მაშასადამე, ყოველთვის რჩება ხელიდან გაშვებული ალტერნატიული ინსტიტუციური შესაძლებლობები.

ლიტერატურა:

- ბალარჯიშვილი ი. (2005). ინსტიტუციური ეკონომიკა და განუსაზღვრელობის შემცირების ეფექტები. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 283 გვ.
- Acemoglu D. (2003). Why not a political Coase theorem? Social conflict, commitment, and politics // *Journal of Comparative Economics*. – No. 31. – P. 620-652.
- Acemoglu D., Johnson S., Robinson J. (2004). Institutions as the fundamental cause of long-run growth // Working Paper 10481. National Bureau of economic research. Issued in May, (<http://www.nber.org/papers/w10481>)
- Barzel Y. (2002). *A Theory of the State. Economic Rights, Legal Rights and the Scope of the State*. – Cambridge.
- Bertrand, E. (2008). The Three Roles of the «Coase Theorem» in Coase’s Works. Proposal for the History of Public Economics Conference (Paris, 11–13 December, 2008). (<http://www.pgpe.cnrs.fr/documents/pagehpe/papers/bertrand.pdf>)
- Butler, M.R. and Garnett, R.F. (2003). Teaching the Coase Theorem: Are We Getting It Right? // *American Economic Journal*. Vol. 31. No. 2.
- Calvert R. L. (1995). Rational actors, equilibrium, and social institutions. In Knight and Sened. P. 57-93.
- Coase R. (1960). The problem of social costs // *Journal of Law and Economics*. – No. 3(1).
- Eggertson T, (1990). *Economic behavior and institutions*. Cambridge: Cambridge University Press.
- Glaeser, E., Johnson, S. and Shleifer, A. (2001). Coase versus the Coasians // *The Quarterly Journal of Economics*. Vol. 116. No. 3.
- Greif A. (1994). Cultural beliefs and organization of the organization of society: a historical and theoretical reflection on collectivist and individual societies // *Journal of Political Economy*. No.102.
- Greif A. Historical and comparative institutional analysis // *American Economic Review*. – 1998. – No. 88. – P. 80-84;
- Greif A., Milgrom P., Weingast B. (1994). Coordination, Commitment, and Enforcement: The Case of the Merchant Guild. *Journal of Political Economy*, Vol. 102, No. 4. Aug., pp. 745-776.
- Harris, S.D. (2002). Coase’s Paradox and the Inefficiency of Permanent Strike Replacements // *Washington University Law Quarterly*. Vol. 80.
- Hurwicz L. (1993). Toward a framework for analyzing institutions and institutional change. In Bowles et al. – P. 51-67.
- Milgrom P., North D., Weingast B. (1990). The Role of Institutions in the Revival of Trade: the Law Merchant, Private Judges, and the Champagne Fairs // *Economics and Politics*. No. 2. – P. 1-23;
- Stigler G. (1966). *The Theory of Price*. – New York.
- Sugden R. (1989), Spontaneous order. *The Journal of Economic Perspectives*, Vol. 3, No. 4. P. 85-97.

- Vira B. (1997). The Political Coase Theorem: Identifying Differences Between Neoclassical and Critical Institutionalism // *Journal of Economic Issues*. – No. 3. P. 761-780.
- Андреев В. (2003). Постсоветская приватизация в свете теоремы Коуза // *Вопросы экономики*. № 12. P. 120-136.
- Бреннан Дж., Бьюкенен Дж. (2005). Причина правил. Конституционная политическая экономия. М.: Издательство «Экономическая школа».
- Дементьев В.В. (2012). Институты, поведение, власть. Донецк: ДонНТУ. – 310 с.
- Коуз Р.Х. (2007). Фирма, рынок и право. М.: Новое издательство.
- Кутер Р.Д. (2004). Теорема Коуза // *Экономическая теория* / под ред. Дж. Итуэлла, М. Милгейта, П. Ньюмена. М.: ИНФРА-М.
- Менар К. (2005). Экономика транзакционных издержек: от теоремы Коуза до эмпирических исследований // *Институциональная экономика: учебник* / под общ. ред. А. Олейника. М.: ИНФРА-М. (in russian)
- Норт Д. (1993). Институты и экономический рост: историческое введение // *THE-SIS*. – Т. 1. – Вып. 2.
- Норт Д. (1997). Институты, институциональные изменения и функционирование экономики. – М.: Начала.
- Норт Д.К. (2004) Экономическая деятельность в масштабе времени: [Нобелевская лекция] // *Мировая экономическая мысль*. – Т. V. – М.: Мысль. С. 707–724.
- Олсон М. (2012). Власть и процветание. Перерастая коммунистические и капиталистические диктатуры. М.: Новое издательство.
- Тамбовцев В. Л. (2011). Возникновение институтов: методолого-индивидуалистический подход // *Вопросы экономики*. - № 11.

References:

- Acemoglu D. (2003). Why not a Political Coase Theorem? Social Conflict, Commitment, and Politics // *Journal of Comparative Economics*. – No. 31. – P. 620-652.
- Acemoglu D., Johnson S., Robinson J. (2004). Institutions as the Fundamental Cause of Long-run Growth // Working Paper 10481. National Bureau of Economic Research. Issued in May, (<http://www.nber.org/papers/w10481>)
- Andreev V. (2003). Postsovetskaya privatizacia v svete teoremi kouza. Voprosi ekonomiki № 12, pp. 120-136. [Post-Soviet Privatization in the Light of the Coase Theorem. *Economic Issues* № 12, pp. 120-136.] (In Russian.)
- Balarjishvili I. (2005). instituciuri ekonomika da ganusazgvrelobis shemcirebis efeqtebi [Institutional Economics and the Effects of Reducing Uncertainty.] Tbilisi, tbilisi universitetis gamomcemloba [Tbilisi, Publishing of Tbilisi University,] p. 283 (in Georgian.)
- Barzel Y. (2002). A Theory of the State. Economic Rights, Legal Rights and the Scope of the State. Cambridge: Cambridge University Press.
- Bertrand, E. (2008). The Three Roles of the «Coase Theorem» in Coase’s Works. Proposal for the History of Public Economics Conference (Paris, 11–13 December, 2008). (<http://www.pgppe.cnrs.fr/documents/pagehpe/papers/bertrand.pdf>)

- Brennan, G., Buchanan, J. (2005). Prichina pravil: konstitutsionnaia politicheskaiia ekonomia M.: Izdatelstvo “*Ekonomicheskaya shkola*”. [The Reason of Rules: Constitutional Political Economy M.: Publishing House “*Economic School*.” (In Russian).
- Butler, M.R. and Garnett, R.F. (2003). Teaching the Coase Theorem: Are We Getting It Right? // *American Economic Journal*. Vol. 31. No. 2.
- Calvert R. L. (1995). Rational Actors, Equilibrium, and Social Institutions. In Knight and Sened. pp. 57-93.
- Coase R. H. (1960). The Problem of Social Costs // *Journal of Law and Economics*. – No. 3(1).
- Coase R.H. (2007). *Firma, rinok i pravo* M.: Novoe izdatelstvo [Firm, Market and Law. M.: New Publishing] (In Russian.)
- Cooter R.D. (2004). Teorema Kouza. *Ekonomicheskaiia teoria* [Coase Theorem. Economic Theory,] / by ed. J. Itwell, M. Milgate, P. Newman. M. : INFRA-M. (In Russian.)
- Dementiev V.V. (2012). *Instituti, povedenie, vlasts Donetsk: DonNTU*. 310 p. [Institutions, Behavior, Power.] (In Russian.)
- Eggertson T, (1990). *Economic Behavior and Institutions*. Cambridge: Cambridge University Press.
- Glaeser, E., Johnson, S. and Shleifer, A. (2001). Coase Versus the Coasians // *The Quarterly Journal of Economics*. Vol. 116. No. 3.
- Greif A. (1994). Cultural Beliefs and Organization of Society: a Historical and Theoretical Reflection on Collectivist and Individual Societies // *Journal of Political Economy*. No.102.
- Greif A. *Historical and Comparative Institutional Analysis* // *American Economic Review*. – 1998. – No. 88. – P.p. 80-84;
- Greif A., Milgrom P., Weingast B. (1994). Coordination, Commitment, and Enforcement: The Case of the Merchant Guild. *Journal of Political Economy*, Vol. 102, No. 4. Aug., pp. 745-776.
- Harris, S.D. (2002). Coase’s Paradox and the Inefficiency of Permanent Strike Replacements // *Washington University Law Quarterly*. Vol. 80.
- Hurwicz L. (1993). Toward a Framework for Analyzing Institutions and Institutional Change. In Bowles et al. – P. 51-67.
- Menard, C. (2005). *Ekonomika transaktsionnih izderzhkek: ot teoremi Kouza do empiricheskikh issledovani* *Institutsionalnaya ekonomika: uchebnik* ed. A. Oleynik. M.: INFRA-M. [Economics of Transaction Costs: from the Coase Theorem to Empirical Research. under total. *Institutional Economics: a textbook*] (in Russian).
- Milgrom P., North D., Weingast B. (1990). The Role of Institutions in the Revival of Trade: the Law Merchant, Private Judges, and the Champagne Fairs // *Economics and Politics*. No. 2. – P. 1-23;
- North D. (1993). *Instituti i ekonomicheskii rost: istoricheskoe vvedenie* [Institutions and Economic Growth: A Historical Introduction] THESIS. - T. 1. - Vol. 2. (in Russian).
- North D. (1997). *Instituti, institutionalnie uzmeneniya I funktsionirovanie ekonomiki* [Institutions, institutional changes and economic Performance.]. - M.: Beginning. (in Russian).

- North D. (2004). Ekonomicheskaya deyatelnost v masshtabe vremeni: Nobelevskaya lektsiya [Economic activity in time scale: Nobel lectur.] Vol. 5. M.: Thought, pp. 707-724. (in Russian).
- Olson, M. (2012). Vlast i protsvetanie. Pererastaya kommunisticheskie i kapitalisticheskie diktaturi. M.: Novoe izdathelstvo [Power and prosperity. Outgrowing communist and capitalist dictatorships.] M.: New Publishing. (in Russian).
- Stigler G. (1966). The Theory of Price. – New York. Macmillan Publishing Company.
- Sugden R. (1989), Spontaneous Order. The Journal of Economic Perspectives, Vol. 3, No. 4. P. 85-97.
- Tambovtsev V.L. (2011). Vozniknovenie bnstitutov: metodologo-individualisticheskii podhod Voprosi ekonomiki № 11. [The emergence of institutions: Methodological and individualistic approach , Economic Issues № 11.] (in Russian).
- Vira B. (1997). The Political Coase Theorem: Identifying Differences Between Neoclassical and Critical Institutionalism // Journal of Economic Issues. – No. 3. pp. 761-780.

About the Failure of Political Coase Theorem

Inga Balarjishvili

Associate Professor

of Iv. Javakhishvili Tbilisi State University

inga.balarjishvili@tsu.ge

Economic institutions and behavior models are endogenous variables and represent an obvious or non-obvious agreement (contractual process), the result of the collective actions of economic and political agents. From this follows the question: under what conditions can be achieved Pareto-effective political agreement among the social agents about the creation of economic institutions? In other words, does political Coase theorem work or not, which suggests free and voluntary exchange of economic and political rights and consequently, effective institutions.

As in the case of Coase “starting” theorem, the basis for such collective actions (exchange of powers) is to increase the collective benefit or public wealth. This gain can be distributed among the members of the public and may increase their individual benefits or compensate economic and political “victims.” Thus, changes in institutions and behavior models, as Pareto-improvement, are common interest. This means that the creation of effective rules, through the voluntary agreements between the parties, is conceptually possible.

In terms of game theory, this means that there is a possibility of cooperative play between economic and political agents, when the joint actions of the parties can create an institution, which results in overall profit (in which indicators this profit is expressed, in this case, does not matter).

Analysis involves certain pre-requisites, specifically: - there is some ineffective institutional structure (property rights, distribution of income, etc.); - there is a more effective

institutional model (pareto-improvement);- there is no principal obstacle to presenting this institutional model as a political project; - parties (politicians, asset owners, scientists, etc.) have sufficient qualifications and experience to create a new institutional model.

Why do not economic and political agents work together to improve institutional structure and gain profit? What hinders the realization of the Coase theorem in politics?

Expenses incurred by public agents for changing institutional structure, i.e. obstacles to the realization of the “political Coase theorem” are:

- **Political transaction costs:** the costs for optimal distribution of power; the costs of conducting negotiations; the costs of changing the formal and informal organization of the system; “Transition costs” (changing the rules requires expenses for all socio-economic and political players) etc. In the absence of these expenses, the optimal set of “rules of the game” would be established everywhere and always, since replacing any “outdated” institution with a new one, with more effective one, would “cost” nothing;

- **Absence of motivation for creating effective rules.** Parties (at least on one side) may not be interested in overall profit, as there are alternative ways of making private profit (economic and political rent). Its source is asymmetry in the distribution of power. The rent source can also become asymmetric information;

- **Institutional changes are “creative destruction.”** Increasing effectiveness of institutions may result in the loss of income, power and ownership by individual economic and political agents. This results in potential “losers” resistance to institutional changes;

- **The problem of trust between the parties.** This means absence of belief that that maximizing the functionality of the public benefit will positively affect the individual function of benefits;

- **The problem of credible promises.** There are not “reliable” mechanisms for the distribution of the gain of social income in favor of any of the parties. It is about the absence of a coercive mechanism (third party) for the fulfillment the obligations. In other words, as there is no guarantee of redistribution of benefits, there are no incentives for perfection of institutions;

- **Problems of preferences.** Power for its owner is not just an opportunity to achieve goal (for example, receiving rental income). It is a “wealth” in itself, and therefore it can be the ultimate goal;

- **“Time horizons” of institutional changes.** The difference in time between the cost of the institutional changes and the benefits derived from these changes weakens the motivation of institutional changes, which gives the effect in the long term.

Thus, according to the political “Coase theorem,” people can always negotiate and exchange powers. But as a result of the combined constraints, many of them are of insurmountable nature, Coase theorem does not work in politics; i.e. always remain missed alternative institutional capabilities. Rational, maximized behavior can not overcome all costs, which are necessary for the establishment of effective institutions.

Keywords: institutions, political Coase theorem, belief, social conflict, transaction costs, commitment problem.

JEL Codes: D60, D72, D78

მაოთხე ინდუსტრიული რევილუსია – უბაღლესი განათლების უნივერსიტეტის განვითარების განხორციელება

ინეზა გაგნიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ineza.gagnidze@tsu.ge

მსოფლიოში აღიარებული კვლევითი ცენტრები, მეოთხე ინდუსტრიული რევილუსიის მოლოდინში, ეკონომიკის განვითარების განსაკუთრებით სწრაფ ტემპებს პროგნოზირებენ. ვარაუდობენ, რომ სამუშაოთა გარკვეულ ნაწილს ჩაანაცვლებს ხელოვნური ინტელექტი. ასევე მოსალოდნელია სრულიად ახალი სამუშაო ადგილების გაჩენა, ხოლო იმ სამუშაოებისთვის, რაც მომავალშიც დარჩება, უნარ-ჩვევების განახლება განსაკუთრებით აქტუალური იქნება.

უდავოა, რომ საქართველოს მასშტაბის ქვეყანა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში „ამინდსა“ და ტენდენციებს ვერ განსაზღვრავს, მიუხედავად იმისა, რომ უნდა შეინარჩუნოს პირობებში განვითარების სწორი ვექტორის შერჩევა. ამ ფონზე, ვფიქრობთ, სხვა შესაძლებლობებთან კომბინაციაში უნდა განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები, რაც ინკლუზიურ ზრდასა და არაელასტიკური მოთხოვნის პროდუქტების წარმოებაზე იქნება აქცენტირებული.

იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს სიახლეების დანერგვა, საერთაშორისო ბაზრებზე ახალი ნიშის მოპოვება და რეგიონში ეკონომიკური ლიდერობა, ვფიქრობთ, აუცილებელია საქართველოს რეგიონებში არსებულ უნივერსიტეტებში გაჩნდეს სივრცეები „ცოდნის სამკუთხედისა“ და „სამმაგი სპირალის“ მოდელის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. ასეთია სამეწარმეო უნივერსიტეტები, რომლებსაც აქვთ ბიზნეს-ინკუბატორები, ფაბლაბები, სპინ-ოფები, ტექნოლოგიის ტრანსფერის ოფისები, საპატენტო და სალიცენზიო ოფისები, საკონსულტაციო და სატრენინგო ცენტრები და სხვა ისეთი სტრუქტურები, რაც ხელს უწყობს ახალი იდეების კომერციალიზაციას, ცხოვრების მანძილზე სწავლების პროცესს (LLL), დისტანციურ სწავლებას, ინტერნეტკურსების ორგანიზებასა და სხვა. ვფიქრობთ, ასეთ უნივერსიტეტებთან მუდმივი კავშირი ბიზნესს მინიმალური დანაკარგებით შეაძლებინებს გარდაუვალ ცვლილებებთან ადაპტაციას. საკვლევ საკითხებს გავაანალიზებთ უცხოეთის საუკეთესო პრაქტიკის გაცნობის საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია, ინოვაციური განვითარება, სამენარმო უნივერსიტეტი, ბიონარმოება, ბიოტექნოლოგიური კვლევები, მინერალური წყლები, სამკურნალო მცენარეები.

შესავალი

თანამედროვე პერიოდში მსოფლიო ეკონომიკა შედის სწრაფი განვითარების ახალ ფაზაში, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას უწოდებენ. ეს პროცესი უკავშირდება ხელოვნური ინტელექტის შექმნას, რაც ინდივიდებს ჩაანაცვლებს მრავალ სამუშაო ადგილზე.

სხვადასხვა კვლევითი ორგანიზაციის ანგარიშებში ნავარაუდევია, რომ:

✓ „2022 წლისთვის ახალი პროფესიების წილი დასაქმებულთა 16%-დან გაიზრდება 27%-მდე (11%-იანი ზრდა), იმ პირობებში, როცა არსებული სამუშაოების წილი 31%-დან შემცირდება 21%-მდე (10%-იანი შემცირება)“ (WEF FJR 2018, viii).

✓ „პროფესიების მოსალოდნელი ცვლილებების ფონზე 2022 წლისთვის დასაქმებულთა 54%-ს დასჭირდება უნარების განახლება და ახალი უნარების შექმნა. მათ შორის მესამედისთვის აუცილებელი იქნება 6 თვეზე მეტი ხანგრძლივობის დამატებითი ტრენინგი“ (WEF 2014, 26)

✓ „2016 წლის ოქსფორდის უნივერსიტეტისა და Citi-ს (ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფინანსური ინსტიტუტი) ერთობლივი კვლევის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნებში სამუშაო ადგილების 57% ავტომატიზაციის რისკის ქვეშაა. Financial Times-ის 2016 წლის გამოშვებაში აღნიშნული იყო, რომ 2000-2010 წლებში აშშ-ში გამქრალი სამუშაო ადგილების მთლიანი რაოდენობის 85% ახალმა ტექნოლოგიებმა ჩაანაცვლა. ინგლისის ბანკის შეფასებით, უახლოეს 20 წელიწადში სამუშაოების 2/3 ავტომატიზებული იქნება“ (Nuttall 2018);

✓ თუ მთავრობები არ მოემზადებიან ახალი ცვლილებებისთვის, 2050 წლისთვის უმუშევრობის დონე G-20 ქვეყნებში გაიზრდება 24%-მდე (ან მეტად) (Daheim and Wintermann 2016, 9).

ასეთი ნახტომისებური ცვლილებების მოლოდინში, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ხელმძღვანელი კ. შვაბი და მისი თანაავტორი ს. ზაჰიდი, მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად მთავრობებს 10 რჩევას აძლევენ, კერძოდ:

1. კონკურენტუნარიანობა არ არის ფუფუნება;
2. ადამიანებში ინვესტირება სასარგებლოა სოციალური და ეკონომიკური შედეგებისთვის;
3. გლობალიზაცია მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის პირობებში უფრო მეტია, ვიდრე თავისუფალი ვაჭრობა;
4. ღია ეკონომიკამ ყურადღება უნდა მიაქციოს სოციალურ დაცვას;
5. ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირება ეფუძნება კვლევასა და განვითარებას;

6. ტექნოლოგიები დიდი ეკონომიკური ნახტომის შესაძლებლობას იძლევა, თუმცა, კომბინაციაში სხვა ფაქტორებთან ერთად;
7. სახელმწიფო ინსტიტუტებს კვლავ დიდი მნიშვნელობა ენიჭება;
8. მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურისა და საფინანსო სისტემის სრულყოფა;
9. მუდმივი გარდაქმნების დროს საჭიროა მუდმივი სიჩქარეც;
10. თანასწორობის, მდგრადობისა და ზრდის ერთობლივად მიღწევა შესაძლებელია, თუმცა, მოითხოვს აქტიურ და შორსმჭვრეტელ მართვას“ (Schwab and Zahidi, 2018).

ავტორებმა თითოეული რჩევა დეტალურად ახსნეს, რითაც ჩანს, რომ განათლების სისტემას და განსაკუთრებით კი ეფექტიანი მოდელის უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებს, შეუძლია ზემოჩამოთვლილი რჩევების უმეტესობაზე (ათიდან შვიდ მათგანზე) დადებითი ზეგავლენის მოხდენა. ამის გამო, ვფიქრობთ, სხვათა გვერდით, აუცილებელია საქართველოში დაიწყოს საუნივერსიტეტო მოდელის ცვლილებისთვის აქტიური მოქმედება.

განათლების სისტემის გამონვევები ციფრულ ერაში

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ერთ-ერთი შეფასებით „დანყებითი კლასების მოსწავლეთა 65%-ის მომავალი სამუშაო ადგილები ჯერჯერობით უცნობია“ (WEF FJ 2016, 3). ეს პროგნოზი უდავოდ მეტყველებს იმაზე, რომ თანამედროვე პერიოდში განათლების სისტემა უპრეცედენტო გამონვევების წინაშე დგას.

მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის მოსალოდნელი ცვლილებებისა და შედეგების ამსახველ ანგარიშებში ჩამოთვლილია ის უნარები, რაც საჭირო იქნება ახალ პირობებში სამუშაო ადგილების შესანარჩუნებლად და დასაქმების უზრუნველსაყოფად. ცხრილში (1) ჩამოთვლილია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მკვლევართა მიერ შემოთავაზებული 2018-2022 წლებში შრომის ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი 10 უნარ-ჩვევა.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 10 ყველაზე მოთხოვნადი უნარ-ჩვევიდან, რაც აქცენტირებული იყო 2018 წელს, 2022 წლისთვის ისევ აქტუალური იქნება რვა მათგანი, ოღონდ შეცვლილია მათი რიგითობა უპირატესობების მიხედვით. პირველი-მესამე ადგილები უკავია „ანალიტიკურ აზროვნებასა და ინოვაციას“, „აქტიურ სწავლებასა და სწავლების სტრატეგიებს“ და „კრეატიულობას, ორიგინალურობასა და ინიციატივიანობას“.

მომავალში მოთხოვნადი ყველა ზემოაღნიშნული მიმართულებით უნარების გამომუშავება საქართველოს ყველა ასაკის მოქალაქისთვის განათლების სისტემის უახლესი გამონვევაა, რომელიც სწავლების ახალი მიდგომების დანერგვით უნდა განხორციელდეს. სამწუხაროდ, საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტების მოდელი სათანადო საკანონმდებლო და სტრუქტურული ცვლილების გარეშე ვერ უპასუხებს ახალ გამონვევებს. ცვლილებების აუცილებლობას ის ფაქტიც მოითხოვს, რომ ქვეყანას მიზნად აქვს დასახული სა-

განმანათლებლო ჰაბის ფუნქციის შესრულება კავკასიისა და წინა აზიის რეგიონისთვის. ცნობილია, რომ საქართველოში სწავლის მსურველ უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. შესაბამისად, ამ კონკურენტული უპირატესობის შესანარჩუნებლად აუცილებელია უნივერსიტეტის ეფექტიან მოდელზე გადასვლა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშის მიხედვით შრომის ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი 10 უნარ-ჩვევა 2018-2022 წლებში

ცხრილი 1

მოთხოვნადი 2018 წელს	მოთხოვნადი 2022 წლისთვის	შემცირდება მოთხოვნა 2022 წლისთვის
ანალიტიკური აზროვნება და ინოვაცია	ანალიტიკური აზროვნება და ინოვაცია	მექანიკური შრომა, გამძლეობა და სიზუსტე
კომპლექსური პრობლემის გადაწყვეტა	აქტიური სწავლება და სწავლების სტრატეგიები	მეხსიერება, ვერბალური, აუდიტორული და სივრცითი შესაძლებლობები
კრიტიკული აზროვნება და ანალიზი	კრეატიულობა, ორიგინალურობა და ინიციატივიანობა	ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვა
აქტიური სწავლება და სწავლების სტრატეგიები	ტექნოლოგიური დიზაინი და პროგრამირება	ტექნოლოგიის მონტაჟი და ტექნიკური უზრუნველყოფა
კრეატიულობა, ორიგინალურობა და ინიციატივიანობა	კრიტიკული აზროვნება და ანალიზი	კითხვა, წერა, მათემატიკური და აქტიური მოსმენის უნარი
დეტალების შემჩნევა, საიმედოობა	კომპლექსური პრობლემის გადაწყვეტა	პერსონალის მართვა
ემოციური ინტელექტი	ლიდერობა და სოციალური გავლენა	ხარისხის კონტროლი და უსაფრთხოება
მსჯელობა, პრობლემის გადაჭრა და იდეურობა	ემოციური ინტელექტი	კოორდინირება და დროის მენეჯმენტი
ლიდერობა და სოციალური გავლენა	მსჯელობა, პრობლემის გადაჭრა და იდეურობა	ვიზუალური, აუდიტორული და სიტყვით გამოსვლის უნარი
კოორდინირება და დროის მენეჯმენტი	სისტემების ანალიზი და შეფასება	ტექნოლოგიის გამოყენება, მონიტორინგი და კონტროლი

წყარო: WEF FJR 2018, 12

2022 წლისთვის მოთხოვნად უნართა შორის გაჩნდება „ტექნოლოგიური დიზაინის და პროგრამირების“ და „სისტემების ანალიზისა და შეფასების“ ცოდნა. ცხრილის მესამე სვეტში ჩამოთვლილია ის უნარები, რასაც ხელოვნური ინ-

ტელექტი უზრუნველყოფს და შესაბამისად შემცირდება მათ ფლობაზე მოთხოვნა. მოთხოვნის შემცირება ნავარაუდევია „კითხვის, წერის, მათემატიკური და აქტიური მოსმენის უნარზე“, თუმცა ეს სწორად უნდა იქნეს გაგებული. აქ იგულისხმება ის, რომ ეს უნარები დასაქმების დროს ვერ იქნება გადამწყვეტი და თავისთავად არის ყველა მოთხოვნადი უნარის საფუძველი.

ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა 2016 წელს გამოაქვეყნეს ანგარიში, 700-მდე პროფესიის შესწავლის საფუძველზე დასახელებულია ისინი, რომლებიც „0.66%-ზე დაბალი ალბათობით შეიძლება ჩაანაცვლოს ხელოვნურმა ინტელექტმა. მათ შორის პირველ ოცდაათეულშია: აღდგენითი (რეკრეაციული) პროფილის თერაპევტები, ქირურგები, ორთოდონტები და პროტეზისტები; მექანიკური დანადგარების პირველი რიგის ზედამხედველები, დამმონტაჟებლები და შემკეთებლები; საგანგებო სიტუაციების მენეჯმენტის დირექტორები; სოციალური მუშაკები; მეხანძრეები და პრევენციის პირველი რიგის ზედამხედველები; დიეტოლოგები; ქორეოგრაფები; სკოლის პედაგოგები, განათლების ადმინისტრატორები; დიზაინერები და ა.შ.“ (Nuttall 2018, 7-8).

მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერთა მოსაზრებები წარმატებული საუნივერსიტეტო მოდელის შესახებ

წარსულში უნივერსიტეტები ძირითად ყურადღებას უთმობდნენ სწავლების პროცესს, შემდგომ, XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე, სამეცნიერო კვლევა გადაიქცა უნივერსიტეტების ლეგიტიმურ ფუნქციად. ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე უნივერსიტეტების მისიის ევოლუციამ გახსნა სამეცნიერო მენარმეობის ახალი შესაძლებლობები. ცოდნის არაფორმალური გადაცემა (კონსულტაციების, ტექნიკური შესწავლის, პუბლიკაციების და სხვა საშუალებებით), შეიცვალა ტექნოლოგიების მენეჯმენტის ოფიციალური მექანიზმებით, საკუთრების უფლებების დაცვის სისტემით (პატენტები, ლიცენზიები, სასარგებლო მოდელები და ა.შ.). ცხრილში (2) მოცემულია უნივერსიტეტების მისიის ცვლილება აკადემიური რევოლუციების შესაბამისად (Martini and Rossi 2010, 450-451).

წარმოების მოთხოვნა ეფექტიან ტექნოლოგიებზე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს უნივერსიტეტებში არსებულ კვლევით ჯგუფებთან, ტექნოლოგიის გადამცემ ოფისებთან, ინკუბატორებთან პირდაპირი დაშვების გზით.

ზოგადად, სამეწარმეო უნივერსიტეტების ჩამოყალიბების გზით განათლებისა და მეცნიერების ბიზნესთან სისტემური კავშირის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი, რაც როგორც ცხრილიდან 2-დან ჩანს, ხელ უწყობს სამეწარმეო კომპეტენციის გამომუშავებას ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად.

უნივერსიტეტების მისიის ცვლილება პირველი და მეორე აკადემიური რევოლუციის შედეგად

ცხრილი 2


სასწავლო ფუნქციის უნივერსიტეტი		კვლევითი უნივერსიტეტი		სამენარმეო უნივერსიტეტი
პირველი მისია	▶	მეორე მისია	▶	მესამე მისია
აღიარებულ სწავლებათა შესახებ ცოდნის შენარჩუნება და გავრცელება		სწავლებასთან ერთად კვლევა უნივერსიტეტის ლეგიტიმური ფუნქციაა		სამეცნიერო ცოდნის ტრანსფორმაციის გზით სამენარმეო კომპეტენციის გამომუშავება ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური კეთილდღეობის ამაღლების ხელშესაწყობად

თანამედროვე მიდგომით, მენარმეობა „გამჭოლი საკვანძო კომპეტენციაა, რომლის გამოყენება შეუძლია ცალკეულ პირებსა და ჯგუფებს, მათ შორის ორგანიზაციებს, ცხოვრების ყველა სფეროში. მენარმეობა არის – როცა მოქმედებ არსებული შესაძლებლობების და იდეების გამოყენებით და გადააქცევ სხვებისთვის ღირებულებად. ღირებულება, რომელიც შეიქმნება, შესაძლოა იყოს ფინანსური, კულტურული ან სოციალური“ (ბაქიგალუპო და სხვები 2016, 14). ათი წლის წინ ევროკომისიამ ინიციატივისა და მენარმეობის უნარი იმ რვა ძირითად კომპეტენციას შორის შეიყვანა, რომელიც ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებას ესაჭიროება. სამენარმეო კომპეტენცია სამი ურთიერთდაკავშირებული კომპეტენციის სფეროსგან შედგება: „იდეები და შესაძლებლობები“, „რესურსები“ და „მოქმედებად გადაქცევა“. სწორედ ამ კომპეტენციის გამომუშავებით შეძლებენ უნივერსიტეტები (საგანამანათლებლო ინსტიტუტები) იმ უნარების გათავისებას მოქალაქეებისთვის, რომლებიც ჩამოთვლილია ცხრილში 1 და აუცილებელია მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის პირობებში.

საუნივერსიტეტო მოდელის ცვლილების პროცესი მსოფლიოში აქტიურადაა დაწყებული, რაზეც მიუთითებენ აღიარებული მეცნიერები – აუდრეტჩი (Audretsch, 2014), ეცკოვიჩი და ზოუ (Etzkowitz and Zhou, 2008), ფარსი და სხვები (Farsi et al., 2012), დი ფატა და სხვები (Di Fatta et al., 2018) რასმუსენი და რაითი (Rasmussen and Wright, 2015), მეიერსი და პრუტი (Meyers & Pruthi, 2011), გუერერო და სხვები (Guerero et al., 2014), შარელი და სხვები (Sciarelli et al., 2019), ვაალი და ჩაჩაგე (Waal and Chachage, 2011) და სხვები.

ამერიკელი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ სამენარმეო უნივერსიტეტებში ყალიბდება „სამმაგი სპირალის“ მოდელი („უნივერსიტეტი-წარმოება-მთავრობა“). სწორედ ამ ურთიერთობის ეფექტიანი ფორმირების შედეგია პატენტები, რაც ასახულია ნახაზზე. საუნივერსიტეტო სივრცეში პატენტების შექმნა კი უზრუნველყოფს ბიზნესს ყველა საჭირო უნარის მქონე სამუშაო ძალით. ახალი ცოდნა სწრაფად გადადინდება განათლებაში და ხდება ინსპირაცია ახალი იდეებისთვის.

პატენტი, როგორც სამმაგი სპირალის
 („უნივერსიტეტი-წარმოება-მთავრობა“) სამგანზომილებიანი
 ურთიერთქმედების შედეგი (Leydesdorff 2012, 8)



ნახაზზე წარმოდგენილია პატენტი, როგორც „უნივერსიტეტი-წარმოება-მთავრობა“ (სამმაგი სპირალის) ეფექტიანი ურთიერთქმედების ფორმირების შედეგი. ლეიდესდორფის მიხედვით, „პატენტები განიხილება, როგორც სოციალური კოორდინაციის სამი მექანიზმის პოზიცია: 1) სიმდიდრის გენერირება ბაზარზე წარმოების მიერ; 2) მთავრობის მხრიდან საკანონმდებლო კონტროლი; და 3) ახალი პროდუქტების წარმოება სამეცნიერო სივრცეში. მაშინ როცა, პატენტი არის საშუალოდ მაჩვენებელი მეცნიერებისა და ტექნოლოგიისთვის, იმავდროულად ის ეკონომიკისთვის მიწოდებული სიახლეა“ (Leydesdorff 2012, 8).

სამენარმო უნივერსიტეტი სისტემურად ზემოქმედებს ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებაზე. ამ უნივერსიტეტში დაპატენტებული გამოგონება ახალი ბიზნესის დაწყებას და/ან უკვე არსებული ბიზნესის ფუნქციონირებას აუმჯობესებს. შედეგად ბიზნესს უყალიბდება კვლევასა და განვითარებაში თანხის დაბანდების კულტურა. ის მუდმივად ცდილობს იქონიოს კავშირი უნივერსიტეტთან და ორიენტირებული იყოს ინოვაციურ განვითარებაზე. აქ უკვე საქმიანობის ახალი ტალღა წარმოიქმნება, რისი საბოლოო შედეგი კვლავ სავაჭრო ნიშანი, ან პატენტი. ამ პროცესის გააქტიურების ხელშეწყობა ძალიან მნიშვნელოვანია. ეკონომიკის განვითარების ინტერესები მთავრობას აიძულებს ფონდები გამოჰყოს კვლევისთვის, რაც ეხმარება, როგორც ბიზნესს, ასევე უნივერსიტეტებს. აღნიშნული პროცესები ხელს უწყობს სისტემის ფორმირებას, სადაც სამენარმო უნივერსიტეტი ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებას უზრუნველყოფს.

საუნივერსიტეტო მოდელის ცვლილების აუცილებლობა საქართველოში

ევროკომისიის კომუნიკაციაში აღნიშნულია, რომ „უმაღლესი განათლების ინსტიტუტებს შეუძლია ეკონომიკა განავითარონ თავისი განლაგების რეგიონებში. მათ შეუძლია იმოქმედონ, როგორც ცოდნის ქსელის ცენტრი, ან ადგილობრივი კლასტერის წევრი“ (COM 2011, 8). განათლების ეკონომიკის ევროპელი ექსპერტების ქსელის 2014 წლის ანგარიშის შესაბამისად, „2009 წელს ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ უნივერსიტეტდამთავრებულთა 71% ბიზნესს იწყებდა იმ რეგიონში, სადაც დაიბადნენ, ხოლო თუ უნივერსიტეტიც ახალგაზრდების მშობლიურ რეგიონში იყო, მაშინ ეს მაჩვენებელი 87%-მდე იზრდებოდა“ (EENEE 2014, 45-46). აღნიშნული მიუთითებს უნივერსიტეტის ეფექტიანი მოდელის ფუნქციონირების საუკეთესო შედეგებზე, რაც რეგიონის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობასა (Gagnidze 2016, 189) და ადგილობრივი კადრების დენადობის შემცირებას უზრუნველყოფს. სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ, რომ საქართველოს რეგიონების ეკონომიკის გამოცოცხლება უნივერსიტეტების ეფექტიანი მოდელის ფორმირებაშია.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის 2018 წლის ანგარიშში მაჩვენებლები შეცვლილია თითქმის 1/3-ით და ეძღვნება მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას. ახალ ინდექსში #6 მდგენელია „უნარები“, სადაც განათლების ყველა საფეხურის შეფასებაა თავმოყრილი (შენიშვნა: წინა წლებში #5 მდგენელი იყო უმაღლესი განათლება და ტრენინგები). #6 მდგენელის საერთო შეფასების მიხედვით, საქართველოს პოზიცია 45-ე ადგილია, თუმცა, ეს მიღწეულია მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლების ხარჯზე, კერძოდ: „დანყებით კლასებში მოსწავლეებისა და მასწავლებლების თანაფარდობის მაჩვენებელი“ – მე-2 პოზიცია; „სწავლების წლების ხანგრძლივობა“ – 17; სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა – 52. ამ მდგენელის სხვა მაჩვენებლებში საქართველოს პოზიციები არასახარბიელოა და მიუთითებს მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება-გატარების აუცილებლობაზე. ეს მაჩვენებლებია: „სწავლების პროცესში კრიტიკული აზროვნება“ – 92 პოზიცია, „ციფრული უნარები მოსახლეობაში“ – 101, „უნარების მქონე ინდივიდთა მოძიების სიმარტივე“ – 111, „კურსდამთავრებულთა უნარები“ – 123, „პროფესიული ტრენინგის ხარისხი“ – 131, „პერსონალის ტრენინგის მასშტაბი“ – 112.

ჩამოთვლილ მაჩვენებელთა არასახარბიელო შედეგი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ცვლილებებია განსახორციელებელი, კერძოდ, აუცილებლად მიგვაჩნია კურსდამთავრებულთათვის მეტი პრაქტიკული უნარების გამომუშავების აუცილებლობა, რაც მხოლოდ სამენარმეო უნივერსიტეტში არსებულ ბიზნეს-ინკუბატორებში, ტექნოლოგიის ტრანსფერის ოფისებში, ფაბლაბებში, საუნივერსიტეტო ლიცენზიებით მომუშავე სპინოფებში სტუდენტთა სტაჟირება/დასაქმებით და სხვა

მსგავსი აქტივობითაა შესაძლებელი. ცვლილებებს საჭიროებს სწავლების მეთოდები და სტრატეგია.

ანალიზის გაღრმავების მიზნით ცხრილში (3) განვიხილავთ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის 2008-2017 წლების ანგარიშებში საქართველოს პოზიციას ინოვაციურობის ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის 2008-2017 წლების ანგარიშებში საქართველოს პოზიცია ინოვაციურობის ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით

ცხრილი 3

მაჩვენებლები	წლები										
	2008-2009	2009-2010	2010-2011	2011-2012	2012-2013	2013-2014	2014-2015	2015-2016	2016-2017	2017-2018	2018
გამოკვლევული ქვეყნების რაოდენობა, სულ	134	133	139	142	144	148	144	140	138	137	140
მათ შორის საქართველოს პოზიცია	90	90	93	88	77	72	69	66	59	67	66
ადგილობრივი მიმწოდებლების რაოდენობა	131	130	137	138	137	136	138	137	132	129	-
კლასტერების განვითარების დონე	91	85	98	102	116	116	112	120	122	127	117
კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე	121	124	132	124	125	128	126	127	123	122	-
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი	113	123	119	117	125	124	119	119	118	127	-
მეცნიერთა და ინჟინერთა ხელმისაწვდომობა	84	96	122	120	124	126	122	113	115	125	-
პატენტების რაოდენობა	44	65	72	65	60	62	65	60	59	70	72

ცხრილში ასახული შედეგები ადასტურებს ინოვაციურობის შესაძლებლობების მიხედვით საქართველოს არასახარბიელო პოზიციებს. ქვეყნის ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობის პოზიცია (66-ე ადგილი) თითქმის 2-ჯერ უკეთესია ინოვაციურობის მაჩვენებლებთან შედარებით. მაგალითისთვის თუ განვიხილავთ „კლასტერების განვითარების დონის“ მაჩვენებელს

(117-ე ადგილი), თავისი შინაარსით ის არის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამთავრობო, საბანკო, ბიზნეს-სექტორსა და მედიას შორის ურთიერთკავშირის სიხშირის მაჩვენებელი, ვინაიდან სწორედ ისინი წამოადგენენ კლასტერის მთავარ მოქმედ მხარეებს (Solvell 2009, 15-17).

ცხრილში მოცემული მაჩვენებლების გაუმჯობესება შესაძლებელია უნივერსიტეტებში სამეწარმეო მოდელის ფორმირებით, ვინაიდან ასეთი უნივერსიტეტები არის კლასტერის მხარეებს შორის ეფექტიანი დიალოგის სივრცე (Gagnidze 2018a, 189). ასეთ უნივერსიტეტებთან მიერთებული კვლევითი ინსტიტუტების ინფრასტრუქტურაც უმჯობესდება სახელმწიფოსთან ერთად დაფინანსებაში ბიზნესის მონაწილეობით, ვინაიდან ბიზნესი იღებს იმ პროდუქტს, რაც მოთხოვნადია ბაზარზე და იზრდება პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების რაოდენობაც. აღნიშნულს ადასტურებს მრავალი ქვეყნის გამოცდილება (Vesperi and Gagnidze 2018, 210).

უნივერსიტეტებში სიცოცხლის მანძილზე სწავლების, სხვადასხვა პერიოდულობის კომპლექსური ან თემატური ტრენინგების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, ქვეყანა შედეგს უფრო იაფად და სწრაფად იღებს, ვიდრე ცალკეული ფირმისთვის სხვადასხვა პროგრამით დაფინანსებული ტრენინგების შემთხვევაში. ამის მიზეზი ისაა, რომ სპეციალისტები ცოტაა, ამასთან, განათლების სისტემაში არსებული ცოდნა მრავალ სტუდენტზე სწრაფად ვრცელდება, ხოლო ერთ კომპანიაში დახარჯული თანხებით მიღებული ცოდნა მხოლოდ ამ კომპანიის თანამშრომლებს შორის რჩება.

სამეწარმეო უნივერსიტეტების ფორმირება საქართველოში რეგიონებში, როგორც ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი წყარო

უდავოა, რომ საქართველოს მასშტაბის ქვეყანა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში განსაკუთრებულ წვლილს ვერ შეიტანს. ასევე რთულია ზემოაღწერილ პირობებში განვითარების სწორი ვექტორის შერჩევა. ამ ფონზე აუცილებელია განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც ინკლუზიურ ზრდასა და ისეთი პროდუქტების წარმოებაზე გაკეთდება, რაც მოთხოვნადი იქნება მომავალშიც.

ვფიქრობთ, სწორი არჩევანის გასაკეთებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს რამდენიმე გარემოება:

1. ხელი შეეწყოს ისეთი დარგების/საგანმანათლებლო ინსტიტუტების/პროგრამების შექმნა-განვითარებას, რომლებიც განაპირობებენ განვითარებულ ქვეყნებში შექმნილი ახალი ტექნოლოგიების ათვისებისა და დანერგვის შესაძლებლობას საქართველოში;

2. საქართველოს კონკურენციული უპირატესობების გამოვლენით, აქცენტი გაკეთდეს არაელასტიკური მოთხოვნის პროდუქტების სამეცნიერო

კვლევაზე, არსებულის გაუმჯობესებასა და ახალი პროდუქტების შემუშავებასა და წარმოებაზე;

3. ზემოჩამოთვლილი მიმართულებების განსახორციელებლად ხელი შეეწყოს სათანადო სამენარმეო ეკოსისტემის ფორმირებას.

საქართველო	ქართული	მართლმადიდებელი (83,4%); მუსულმანი (10,7%)
ალბანეთი	ალბანური	მუსულმანი (70); ქრისტიანი (30)
მაკედონია	მაკედონიური	ქრისტიანი (65%); მუსულმანი (33%); სხვა (2%)
მონტენეგრო	მონტენეგრული	ქრისტიანი (78%); მუსულმანი (18%)
სერბეთი	სერბული	ქრისტიანი (92%); მუსულმანი (3%)
თურქეთი	თურქული	მუსულმანი (98%); ქრისტიანი (2%)
ბოსნია და ჰერცეგოვინა	ბოსნიური, ხორვატიული, სერბული	ქრისტიანი (46%); მუსულმანი (40%)
კოსოვო	ალბანური, სერბული	მუსულმანი (96%); ქრისტიანი (4%)

წყარო: CAGE

მეორე ცხრილში წარმოდგენილია ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნებისა და საქართველოს ჰუმანური განვითარებისა და კანონის უზენაესობის ინდექსები. ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით, 2018 წელს საქართველო 70-ე ადგილზეა მსოფლიოს 189 ქვეყანას შორის და მისი მაჩვენებელია 0,78. ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნებიდან საქართველო უსწრებს ჩრდილოეთ მაკედონიასა და ბოსნია ჰერცეგოვინას (77-ე ადგილი). მართალია, კოსოვოს მონაცემები ცნობილი არაა, მაგრამ საქართველო სავარაუდოდ ასევე უსწრებს მას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ქვეყნებიდან საქართველოსთან ახლოსა სერბეთი (67-ე ადგილი).

კანონის უზენაესობის კრიტერიუმების მიხედვით, საქართველოს უკეთესი მაჩვენებელი აქვს, ვიდრე ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს. აღსანიშნავია, რომ საქართველო აღნიშნულ რეიტინგში მსოფლიოს 126 ქვეყანას შორის 41-ე ადგილს იკავებს. თურქეთში, სერბეთსა და ალბანეთში კანონის უზენაესობის მაჩვენებელი დაბალია. კანონის უზენაესობის გლობალურ ინდექსში ლიდერობენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები: დანია, ნორვეგია, ფინეთი, შვედეთი და ნიდერლანდები.

საქართველოსა და ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნების ჰუმანური განვითარების და კანონის უზენაესობის ინდექსები

ცხრილი 2

ქვეყანა	ჰუმანური განვითარების ინდექსი (2018)	კანონის უზენაესობის ინდექსი (2019)
საქართველო	70 ადგილი (0,780)	0,61 (41 ადგილი)
ალბანეთი	68 (0,785)	0,51 (71)
მაკედონია	80 (0,757)	0,54 (56)
მონტენეგრო	50 (0,814)	-
სერბეთი	67 (0,787)	0,50 (78)
თურქეთი	64 (0,791)	0,42 (109)
ბოსნია და ჰერცეგოვინა	77 (0,768)	53 (60)
კოსოვო	-	-

წყარო: World Justice Project. Rule of Law Index 2019. Washington, 2019

UNDP. Human Development Indices and Indicators 2018 Statistical Update, 2018.

ადმინისტრაციული დისტანცია საქართველოსა და ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს შორის ორმხრივი და რეგიონული თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებები ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი საფუძველია. აღნიშნული ქვეყნები ძირითადად გაერთიანებულია ორ საერთაშორისო რეგიონულ ორგანიზაციაში: პირველი, ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (CEFTA) (ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მონტენეგრო, კოსოვო, მაკედონია, სერბეთი) და მეორე, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (ალბანეთი, სერბეთი და თურქეთი).

საქართველოს გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში წარმატებული ინტეგრაციისათვის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას დიდი მნიშვნელობა აქვს (ფუტკარაძე, 2010). აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საქმიანობა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების მიმართულებით. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს: ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან, თურქეთთან, ჩინეთთან, დსთ-ს ქვეყნებთან, ასევე გაფორმებული აქვს ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულება. რაც შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე ახალი ეტაპის დასაწყისად. საქართველოს ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან რაიმე სახის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება არა აქვს, რაც სავაჭრო თანამშრომლობის მასშტაბებს გაზრდიდა.

ადმინისტრაციული დისტანცია CAGE-ის ინდიკატორების მიხედვით

ცხრილი 3

ქვეყანა	ვაჭრობის ბლოკი	ვალუტა
საქართველო	BSEC	GEL ქართული ლარი
ალბანეთი	CEFTA; BSEC	ALL ალბანური ლეკი
მონტენეგრო	CEFTA	EUR ევრო
მაკედონია	CEFTA	MKD ჩრდილოეთ მაკედონიური დინარი
სერბეთი	CEFTA; BSEC	RSD სერბული დინარი
თურქეთი	BSEC	TRY თურქული ლირა
ბოსნია და ჰერცეგოვინა	CEFTA	BAM კონვერტირებადი მარკა
კოსოვო	CEFTA	EUR ევრო

ორმხრივ, რეგიონულ და მრავალმხრივ სავაჭრო ურთიერთობებს და ეკონომიკური ინტეგრაციის წარმატებას მნიშვნელოვნად აფერხებს და ხელს უშლის ქვეყანაში კორუფციის მასშტაბები. ის ზრდის ადმინისტრაციულ დისტანციას ქვეყნებს შორის. ქვეყნებს, რომლებსაც კორუმპირებული ინსტიტუციები და არასათანადო კორუფციის კონტროლი ახასიათებთ, ზოგადად, მსგავს ქვეყნებთან თანამშრომლობას ანიჭებენ უპირატესობას (Ghemawat, 2014).

ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნები აქტიურად არიან ჩართული სავაჭრო ურთიერთობებში, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებთან. საქართველო ასევე შეიძლება მივაკუთვნოთ იმ ქვეყნების ჯგუფს, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში წარმატებით იბრძვის კორუფციის წინააღმდეგ.

საქართველოსა და ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნების შედარება კორუფციის აღქმისა და ეკონომიკის თავისუფლების ინდექსების მიხედვით მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, საქართველოს პოზიცია ერთ-ერთი საუკეთესოა და უკეთესია ყველა ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნასთან შედარებით. 2018 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ გამოქვეყნებულ კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით საქართველოს 58 ქულა აქვს (რეიტინგში 100 ქულა კორუფციის აღქმის ყველაზე დაბალ, ხოლო 0 ქულა – ყველაზე მაღალ დონეს აღნიშნავს) და 41-44-ე ადგილებს იყოფს, ევროკავშირის ქვეყნებთან – ლატვია და ესპანეთი. ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნებიდან კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით საქართველოს მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან: ალბანეთი, კოსოვო, მაკედონია და ბოსნია და ჰერცეგოვინა.

ჩვენ საქართველოსა და ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნების ეკონომიკის თავისუფლების ინდექსის მაჩვენებლები შევადარეთ ერთმანეთს. 2019 წლის კვლევის მიხედვით, საქართველო ევროპის რეგიონის 44 ქვეყანას შორის მე-8 პოზიციაზეა, ხოლო მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის კი 75.9 ქულით, მე-16 პო-

ზიციაზე „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით. აღსანიშნავია, რომ მოცემული ქვეყნების „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ ჩამორჩება მსოფლიოს საშუალო ქულას (60.8 ქულა).

უდავოა, რომ ეკონომიკური თავისუფლება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციას უწყობს ხელს. ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტების დიდი ნაწილი ძირითადად თანხმდება იმაზე, რომ ეკონომიკური თავისუფლება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. ეკონომიკური თავისუფლების დონით საქართველოს მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნები, ასე, მაგალითად, მონტენეგრო (92-ე), ბოსნია და ჰერცეგოვინა (83-ე), სერბეთი (69-ე) და თურქეთი (68-ე ადგილი).

კორუფციის აღქმისა და ეკონომიკის თავისუფლების ინდექსები საქართველოსა და ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებში

ცხრილი 4

ქვეყანა	კორუფციის აღქმის ინდექსი (2018) (ადგილი და ქულა)	ეკონომიკის თავისუფლების ინდექსი (2018) (ადგილი და ქულა)
საქართველო	41-44 (58)	16 ადგილი (75,9)
ალბანეთი	99 (36)	52 (66,5)
მაკედონია	94-98 (37)	33 (71,1)
მონტენეგრო	65-67 (45)	92 (60,5)
სერბეთი	87 (39)	69 (63,9)
თურქეთი	78 (41)	68 (64,6)
ბოსნია და ჰერცეგოვინა	89 (38)	83 (61,9)
კოსოვო	94-98 (37)	51 (67)

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ეკონომიკური და გეოგრაფიული დისტანცია საქართველოსა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებს შორის

საქართველო ესაზღვრება ევროკავშირის კანდიდატ ქვეყანა თურქეთს, რაც აძლიერებს საერთაშორისო ვაჭრობას ამ ქვეყნებს შორის. ტერიტორიული სიახლოვე ქვეყნებს შორის ვაჭრობაში ინვესტორების დროისა და ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებას. თურქეთი უდიდესია ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს შორის ტერიტორიითა და მოსახლეობის რიცხვით და ეკონომიკით.

ცნობილია, რომ სხვა თანაბარ პირობებში, ნებისმიერ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მოცულობა ამ ორი ქვეყნის მსპ-ის პროპორციული და ამ ორ ქვეყანას შორის მანძილის უკუპროპორციულია (კრუგმანი 2018, Balassa 2013).

აღნიშნული ქვეყნები გარდა თურქეთისა ტერიტორიითა და მოსახლეობის რიცხოვნობით, პატარა ქვეყნებია. თურქეთზე მოდის მოსახლეობის 83%-ზე, ფართობის 73%-ზე და მშპ-ის 86%-ზე მეტი. საქართველოზე კი მოდის მოსახლეობის 3,8%, ფართობის 6,6% და მშპ-ს 1,8%.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი ქვეყნების სავაჭრო და ეკონომიკური მაჩვენებლების შედარებით ანალიზს (სილაგაძე 2019, პაპავა 2018, ლალანიძე 2018). მთლიანი სამამულო პროდუქტის (მსპ) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თურქეთს ყველაზე მაღალი მსპ აქვს, ასევე თუ კრიტერიუმად მოსახლეობის ერთ სულზე მსპ-ის მაჩვენებელს ავიღებთ, პირველ ადგილს ისევ თურქეთი იკავებს. ზოგადად, მნიშვნელოვანი განსხვავება ევროკავშირის სხვა კანდიდატი ქვეყნების მოსახლეობის ერთ სულზე მსპ-ის ოდენობაში არაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში აღნიშნულ ქვეყნებში ეკონომიკური მაჩვენებლები მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული.

საქართველოსა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების გეოგრაფიული და ეკონომიკური მაჩვენებლები

ცხრილი 5

ქვეყანა	მოსახლეობა (ათასი კაცი) 2018	ფართობი (კვ კმ)	მანძილი კმ.	მსპ, 2018 (მიმდინარე ფასებში)		გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის (GCI) 2018 (ადგილი და ქულა)
				მლნ აშშ დოლარი	მოსახლეობის ერთ სულზე	
საქართველო	3 720	69 700,0	–	16209	4345	66 (60,9)
ალბანეთი	2 870,3	28748	1927	15059	5254	76 (58,1)
მონტენეგრო	622	13812	1965	5452	8761	71 (59,6)
ჩრდილოეთ მაკედონია	2 077	25220	1789	12672	6084	84 (56,6)
სერბეთი	7 001	77474	1822	50508	7234	65 (60,9)
თურქეთი	80 811	780580	780	766509	9311	61 (61,6)
ბოსნია და ჰერცეგოვინა	3 503	51197	2089	19781	5951	91 (54,2)
კოსოვო	1 799	10887	1842	7900	4281	-

წყარო: მსოფლიო ბანკი (2018); European Union, Eurostat (2019).

საქართველოს მსპ-მა 2018 წელს 16209 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და ის მაღალია კოსოვოსა და ალბანეთთან შედარებით. რაც შეეხება მსპ-ის მოცულობას მოსახლეობის ერთ სულზე, საქართველო მცირედით უსწრებს მხოლოდ კოსოვოს. მოსახლეობის რიცხოვნობით საქართველოსთან ახლოსაა ბოსნია და

ჰერცოგოვინასთან, ხოლო ფართობით – სერბეთთან. ორივე ქვეყნის მსპ და მსპ მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოზე მაღალია. ხოლო სერბეთის მსპ 3,1-ჯერ მაღალია საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, საქართველოსა და ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არ ფიქსირდება. 2018 წელს, რეიტინგში საქართველო 66-ე პოზიციაზე იმყოფებოდა 140 ქვეყანას შორის და მისი სარეიტინგო ქულა შეადგენდა 60,9-ს. საქართველოზე უკეთესი პოზიცია აქვთ თურქეთს (61-ე ადგილი) და სერბეთს (65-ე ადგილი). რაც შეეხება ბოსნია და ჰერცოგოვინას, ის 91-ე და ჩრდილოეთ მაკედონია – კი 84 -ე პოზიციაზეა. ამრიგად, საქართველოსა და ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნების ეკონომიკურ მაჩვენებლებში მნიშვნელოვანი განსხვავებები არ ვლინდება.

დასკვნები და რეკომენდაციები

თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირის წევრობის კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნების რაოდენობა შეადგენს შვიდს. საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება და შემდგომი ინტეგრაცია ნაწილობრივ დამოკიდებულია ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნებისა და ევროკავშირის თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

ევროკავშირის გაფართოება და ახალი წევრი ქვეყნების მიღება ასევე აისახება ევროპის სხვა ქვეყნებისა და ევროკავშირის ურთიერთობებზე. ასე, მაგალითად, ბულგარეთისა და რუმინეთის მიღებას შედეგად მოჰყვა საქართველოსთვის (და არამარტო) ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, ხორვატიის განწევრიანებას – აღმოსავლეთ პარტნიორობა, თავის მხრივ, საქართველოსა და ევროკავშირს შორის მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური თუ სხვა სახის ურთიერთობებია, რაც კიდევ უფრო გაღრმავდება.

ცნობილია, რომ ბოლო პერიოდში ევროკავშირის ერთ-ერთი კანდიდატი ქვეყნის – თურქეთისა და აშშ-ს ურთიერთობები კრიზისში შედის და თუ მისი გადაჭრა ვერ მოხერხდა, ის სავარაუდოდ, იმოქმედებს თურქეთისა და ევროკავშირის, ასევე თურქეთისა და ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნების ურთიერთობებზე; ერთ-ერთი სცენარია, თუ თურქეთი დაშორდება ევროკავშირს, ეს თურქეთის ეკონომიკაზე ნეგატიურად აისახება, გამომდინარე იქიდან, რომ თურქეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ევროკავშირის ქვეყნებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქეთი საქართველოს N1 სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა და თურქეთის ეკონომიკის პრობლემები აისახება საქართველოს ეკონომიკაზე. ჩვენი აზრით, საქართველოს ინტერესებშია თურქეთის ევროკავშირთან კიდევ უფრო დაახლოება და მისი ევროკავშირში განწევრიანება, რაც ნიშნავს რომ საქართველოს ესაზღვრება ევროკავშირის წევრი ქვეყანა ხმელეთით.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ევროპის ქვეყნები, რომლებიც EFTA-ს წევრებია (ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია) მომავალში მიმართონ და მოითხოვონ ევროკავშირში განწევრიანება. ეს ქვეყნები ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკურ ჩართულობას ისწრაფვიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან ევროკავშირის წევრები.

დღეს-ს წევრი ქვეყნებიდან უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ჩართული არიან ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობაში. უკრაინას, საქართველოსა და მოლდოვას ევროკავშირთან გაფორმებული აქვთ ასოცირების ხელშეკრულება. მოლდოვა ასევე არის ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (CEFTA) წევრი.

საქართველოს აქვს პერსპექტივა მიენიჭოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი, ან პოტენციური კანდიდატის სტატუსი. ამის მაგალითია დღეს არსებული ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნები, რომლებმაც სწორი საგარეო პოლიტიკისა და ეკონომიკური რეფორმების შედეგად მიაღწიეს აღნიშნულს. საქართველომ უნდა გამოიყენოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნების გამოცდილება ევროპული ინტეგრაციის გზაზე, თუ როგორ შეძლეს მათ კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოპოვება.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში სავაჭრო შეთანხმებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. ევროკავშირი წარმოადგენს პოლიტიკური ბარიერებისაგან თავისუფალ ერთიან ბაზარს და მას აქვს სხვადასხვა სახის სავაჭრო შეთანხმება საერთაშორისო თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან. საქართველოს აქვს გაფორმებული ასოცირების შეთანხმება ევროკავშირთან, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება თურქეთთან. საქართველოსა და ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნებს შორის ორმხრივი ვაჭრობის გაზრდისათვის სასურველია დაიწყოს მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ CEFTA-სა და მის წევრი ქვეყნებთან.

ცნობილია, რომ CAGE დისტანციის ჩარჩო წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ფართო მრავალგანზომილებიან ჩარჩოს საერთაშორისო ვაჭრობაზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის მნიშვნელობის გასარკვევად (Ghemawat, 2014). კულტურული, ადმინისტრაციული, გეოგრაფიული და ეკონომიკური მსგავსებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ვაჭრობასა და ეკონომიკურ ინტეგრაციაზე.

თურქეთი იმით განსხვავდება სხვა კანდიდატი ქვეყნებისაგან, რომ მასზე მოდის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნების მოსახლეობის 83%-ზე, ფართობის 73%-ზე და მსპ-ის 86%-ზე მეტი, რაც, თავის მხრივ, დიდი პერსპექტივაა ნებისმიერი ქვეყნისათვის. საქართველოს ყველაზე მჭიდრო კავშირი აქვს თურქეთთან, თუმცა, ასევე იკვეთება სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივები ევროკავშირის წევრობის კანდიდატ სხვა ქვეყნებთანაც.

გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნებს შორის კულტურული, ადმინისტრაციული და ეკონომიკური დისტანციის შეცვლას ძალიან დიდი დრო სჭირდება, ხოლო გეოგრაფიული დისტანციის შეცვლა შეუძლებელია.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველა არსებული მსგავსებითა და განსხვავებით, საქართველოსა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარებას პერსპექტივა გააჩნია, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც კანდიდატი ქვეყნები გაერთიანდებიან ევროკავშირში. ფაქტობრივად, ყველა მათგანი პატარა (გარდა თურქეთისა) და ბუბებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყანაა, რომელთათვისაც მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაცია ძალიან მნიშვნელოვანია. ამგვარად, საჭიროა მათი შორის არსებული მსგავსებების გამოყენება, განსხვავებების გათვალისწინება და ეკონომიკური სარგებლის მიღება.

ამრიგად, საქართველოსა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებისა და პოტენციური კანდიდატი ქვეყნების შედარებები გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ დასკვნა: საქართველოს შეუძლია მიაღწიოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს. ასევე, საქართველოსა და ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის არაა. დაბოლოს, საქართველოს სწორი საგარეო და ეკონომიკური პოლიტიკის, ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, შესაძლებელია ქვეყნის მნიშვნელოვანი პროგრესი და ევროკავშირთან თანამშრომლობის სრულიად ახალ ეტაპზე გადასვლა.

ლიტერატურა:

- კრუგმანი პ., ობსტველდი მ., მელიტცი მ. (2018). საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. მეათე გამოცემა. ქართული გამოცემის სამეცნიერო და მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი, ა. სილაგაძე. თბილისი. თსუ გამომცემლობა. გვ. 753.
- მსოფლიო ეკონომიკა. (2008). პროფ. გ. თოდუასა და შ. ვეშაპიძის საერთო რედაქციით. თბილისი.
- გოგობია რ. (2004). შერეული ეკონომიკური სისტემა, არსი, მოდელი, განვითარების ტენდენციები. თბილისი.
- საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ (2019). 10 მითი ევროკავშირის შესახებ. თბილისი.
- პაპავა ვ., სილაგაძე ა. (2018) ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის – “Gross Domestic Product”-ის ქართული სახელწოდების შესახებ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტ. 11, N1.
- ფუტკარაძე რ. (2010). საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები. თბილისი, „უნივერსალი“.
- Balassa B. (2013), The Theory of Economic Integration. Oxford, Routledge.
- Chania M. Putkaradze R. (2018). The Priorities of Georgian Economic Development in Conditions of Globalization. **European Journal of Marketing and Economics**. v. 1, n. 1, p. 63-66, july.

- European Commission. (2019). EU Candidate Countries' & Potential Candidates' Economic Quarterly (CCEQ). 2nd Quarter 2019. Luxembourg: Publications Office of the European Union.
- European Union, Eurostat (2019). Key figures on enlargement countries. Luxembourg: Publications Office of the European Union.
- Gaganidze G. (2018). Foreign Trade of Georgia, Moldova and the Ukraine with the European Union after Signing the Association Agreement. *Ecoforum Journal*, Volume 7, Issue 1(14).
- Ghemawat P. (2001). Distance still matters: the hard reality of global extension. Harvard Business Review Press.
- Ghemawat P. (2011). "World 3.0": Global Prosperity and How to Achieve It, Chapter 3: Borders, Differences, and The Law of Distance. Harvard Business Review Press.
- Ghemawat P. (2013). Differences and the CAGE Distance Framework. Globalization Note Series. University of Navarra.
- Lane D. (2007). Post-Communist States and the European Union. *Journal of Communist Studies and Transition Politics*. 23:4, p. 461-477.
- Miloloža H. (2015). Differences between Croatia and EU Candidate Countries: the CAGE Distance Framework. *Business Systems Research*, Vol. 6, No. 2, pp. 52-62.
- Papava V. (2018). Assessment of Economic Growth in the Post-Communist Members of the European Union and the Eastern Partnership States. GFSIS Expert Opinion 101.
- Putkaradze R. (2015). Historical Aspects of Trade and Economic Relations between Georgia and the European Union. *Zeszyty Naukowe UNIwersytetu Przyrodniczo-Humanistycznego w Siedlcach Seria: Administracja i Zarządzanie*. Scientific Journal, Nr 107, 2015.
- Putkaradze R. (2019). Georgia in the European Union's Eastern Partnership Countries: Historical Aspects and Challenges. *Ecoforum Journal*. Volume 8, Issue 1(18).
- Silagadze A. Zubiashvili T. (2015). Parameters of the European Union and the Post-Soviet Georgia's Economy. *Refereed International Journal of Business and Management Studies (IJBMS)*. pp. 441-448.
- Silagadze A. (2018). Gini Index–Wealth Distribution in the Post-Soviet Countries. *BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES*. vol. 12, N.3.
- Stober E. (2014). CAGE Analysis of China's Trade Globalization. *European Journal of Interdisciplinary Studies*. Vol. 6. Issue . 2014. pp.39-53.

References:

- Putkaradze R (2010). Saqartvelo-evrokavshiris savachro-ekonomikuri urtiertobebi: problemebi da perspeqtivebi. Tbilisi, "universal". [Trade and Economic Relations between Georgia and the European Union: Problems and Perspectives.] Tbilisi (In Georgian).
- Msoflia ekonomika (2008). Prof. G. Toduasa da Sh. Veshapizis redaqtii. [The World Economy, Editors prof. C. Todua, prof. Sh. Veshapidze]. Tbilisi (In Georgian).
- Gogokhia R. (2004). shereuli ekonomikuri sistema, arsi, modeli, ganvitarebis tendenciebi [Mixed Economic System, Essence, Model, Development Trends]. Tbilisi (In Georgia).

- Sainformacio centri natosa da evrokavshiris shesaxeb (2019). 10 miti evrokavshiris shesaxeb. [Information Center on NATO and the EU, 10 Myths about the EU]. Tbilisi (In Georgian).
- Krugmani P. Ofsfelti M. Melitci M. (2018). Saertashoriso ekonomika: teoria da politika. [International Economics: Theory and Policy] Tbilisi (In Georgian).
- Papava V., Silagadze A. (2019). erti sakvanzo ekonomikuri terminis “Gross Domestic Product”-is qartuli saxelcodebis shesaxeb. “ekonomika da biznesi”, N1 [On the Georgian Version of One Key Economic Term “Gross Domestic Product”. “ ekonomika da biznesi”] (In Georgian).
- Balassa B. (2013), The Theory of Economic Integration. Oxford, Routledge.
- Chania M. Putkaradze R. (2018). The Priorities of Georgian Economic Development in Conditions of Globalization. **European Journal of Marketing and Economics**. v. 1, n. 1, p. 63-66, july.
- European Commission. (2019). EU Candidate Countries' & Potential Candidates' Economic Quarterly (CCEQ). 2nd Quarter 2019. Luxembourg: Publications Office of the European Union.
- European Union, Eurostat (2019). Key figures on enlargement countries. Luxembourg: Publications Office of the European Union.
- Gaganidze G. (2018). Foreign Trade of Georgia, Moldova and the Ukraine with the European Union after Signing the Association Agreement. *Ecoforum Journal*, Volume 7, Issue 1(14).
- Ghemawat P. (2001). Distance still matters: the hard reality of global extension. Harvard Business Review Press.
- Ghemawat P. (2011). “World 3.0”: Global Prosperity and How to Achieve It, Chapter 3: Borders, Differences, and The Law of Distance. Harvard Business Review Press.
- Ghemawat P. (2013). Differences and the CAGE Distance Framework. Globalization Note Series. University of Navarra.
- Lane D. (2007). Post-Communist States and the European Union. *Journal of Communist Studies and Transition Politics*. 23:4, p. 461-477.
- Miloloža H. (2015). Differences between Croatia and EU Candidate Countries: the CAGE Distance Framework”. *Business Systems Research*, Vol. 6, No. 2, pp. 52-62.
- Papava V. (2018). Assessment of Economic Growth in the Post-Communist Members of the European Union and the Eastern Partnership States. GFSIS Expert Opinion 101.
- Putkaradze R. (2015). Historical Aspects of Trade and Economic Relations between Georgia and the European Union. *ZeszytyNaukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: AdministracjaiZarządzanie*. Scientific Journal, N107, 2015.
- Putkaradze R. (2019). Georgia in the European Union's Eastern Partnership Countries: Historical Aspects and Challenges. *Ecoforum Journal*. Volume 8, Issue 1(18).
- Silagadze A. Zubiashvili T. (2015). Parameters of the European Union and the Post-Soviet Georgia's Economy. *Refereed International Journal of Business and Management Studies (IJBMS)*. pp. 441-448.
- Silagadze A. (2018). Gini Index–Wealth Distribution in the Post-Soviet Countries. *BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES*. vol. 12, N.3.

- Stober E. (2014). CAGE Analysis of China's Trade Globalization. European Journal of Interdisciplinary Studies. Vol. 6. Issue . 2014. pp.39-53.

ელექტრონული წყაროები: (ბოლო ნახვა 19.08. 2019)

- Electronics Sources: (Last visit 19.08. 2019)
- <https://www.distancefromto.net/countries.php>.
- <https://www.heritage.org/index/ranking>
- <http://www.geostat.ge>.
- <http://www3.weforum.org/docs/GCR2018/05FullReport/TheGlobalCompetitivenessReport2018.pdf>.
- https://europa.eu/european-union/about-eu/countries_en.
- http://hdr.undp.org/sites/default/files/2018_human_development_statistical_update.pdf.
- <http://data.worldbank.org>.
- <https://worldjusticeproject.org/sites/default/files/documents/WJP-ROLI-2019-Single%20Page%20View-Reduced0.pdf>

The EU Candidate Countries and Georgia's Prospects for European Integration

Ramaz Putkaradze

Associate Professor of

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

ramaz.putkaradze@tsu.ge

The article analyzes some comparisons between Georgia and the candidate and potential countries of the EU. Many papers of Georgian and foreign scientists economists have been devoted to the study of trade and economic relations between Georgia and the EU, but less attention has been paid to the research of Georgia and the candidate countries of the EU. The study uses the CAGE distance method, which has not been well studied in Georgian scientific literature.

At present, the number of the EU candidate countries and potential candidate countries is seven. Georgia's convergence with the European Union and its further integration depend in part on deepening cooperation between EU candidate countries and the EU. The enlargement of the European Union and the admission of new member states will also affect relations between other European countries and the EU. Thus, for example, Bulgaria's and Romania's admission has resulted in Georgia's (and not only) European Neighborhood Policy, Croatia's admission to the Eastern Partnership, which in turn has

deepened trade, economic and other relations between Georgia and the EU, which will deepen further.

Georgia has the prospect of being granted EU candidate status or potential candidate status. An example of this is the current EU candidate countries, which have achieved the result of sound foreign policy and economic reforms. Georgia should use the experience of EU candidate countries in the path of European integration in how they have been granted candidate status.

Turkey is one of the countries which is different from other candidate countries. However, 83% of the population, 73% of the area and more than 86% of the GDP of the EU candidate countries is with Turkey, which is a great prospect for any country. Georgia has the closest relationship with Turkey, but prospects for trade and economic cooperation with other EU candidate countries are also emerging. Turkey is Georgia's No. 1 trading partner and the problems of the Turkish economy affect the Georgian economy as well. In our opinion, it is in Georgia's best interest to bring Turkey closer to the European Union with its admission to the EU, thus having an EU member state on the land bordering Georgia.

In all likelihood and contrast, the development of cooperation between Georgia and the EU candidate countries is promising, especially when the candidate countries join the EU. In fact, all of them are small (except for Turkey) and poorly resourced countries for which integration into the world economy is crucial. Thus, it is necessary to exploit the similarities between them, to consider the differences and to derive economic benefits.

Thus, comparisons between Georgia and candidate countries and potential candidate countries of the EU allow us to draw a conclusion: Georgia can achieve EU candidate country status. Moreover, there is no significant difference between the economic indicators of Georgia and the EU candidate countries.

Finally, if Georgia's proper foreign and economic policy and its Association Agreement commitments are fulfilled, the country's significant progress can be made and a whole new level of cooperation with the EU can be reached.

Keywords: Economic integration, EU candidate countries, Georgia, CAGE distance method.

JEL Codes: O19, P51, P

ფინანსები და საბანკო საქმე ✧ აღრიცხვა, აუდიტი
FINANCE AND BANKING ✧ ACCOUNTING, AUDITING

სადაზღვევო კომპანიების გადაზღვევის ფორმების სრულყოფისათვის

ნათო კაკაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტი - პროფესორი
nato.kakashvili@tsu.ge

სტატიაში განხილულია გადაზღვევის არსი, ფორმები და მნიშვნელობა ქართული სადაზღვევო კომპანიებისათვის. სტატიაში ახსნილია გადაზღვევის მნიშვნელობა სადაზღვევო კომპანიების სტაბილურობის შენარჩუნებაში, რადგანაც სადაზღვევო ინდუსტრიის ფუნქციონირება გადაზღვევის გარეშე წარმოუდგენელია. გადაზღვევა დაზღვევის დამოუკიდებელი სახეა. მისი მიზანია შესაძლო ფინანსური ზარალისაგან მზღვეველის დაცვა. სადაზღვევო დაცვის მოცულობა განისაზღვრება გადაზღვევის ხელშეკრულებით. გადაზღვევის მეშვეობით მზღვეველს შეუძლია გაზარდოს თავისი სადაზღვევო პორტფელის მოცულობა, სადაზღვევო კომპანია დაცულია დიდი ზარალის გამომწვევი საფრთხეებისაგან, სადაზღვევო კომპანიას შეუძლია რისკის მთლიანად აღება საკუთარ თავზე და შემდგომ სხვა სადაზღვევო კომპანიების დახმარებით საკუთრივ თავის დაზღვევა. გადაზღვევის მიზანია დაბალანსებული სადაზღვევო პორტფელის შექმნა, ფინანსური მდგრადობისა და სადაზღვევო ოპერაციების რენტაბელობის უზრუნველყოფა.

საკვანძო სიტყვები: გადაზღვევა, ფაკულტატიური გადაზღვევა, ობლიგატორული გადაზღვევა, ფაკულტატიურ-ობლიგატორული გადაზღვევა, ცედენტი, ცესია, ცესიონერი.

გადაზღვევის არსი და ფორმები

გადაზღვევა ოპერაციაა, რითაც მზღვეველი გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე და თითოეული ასეთი ხელშეკრულების თავისებურებების გათვალისწინებით ახორციელებს სადაზღვევო რისკის და მასთან დაკავშირებული ზარალის მთლიან, ან ნაწილობრივ გადაცემას გამამზღვეველი კომ-

პანიისთვის (საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ. მუხლი 2. 1997,6). გადაზღვევა, როგორც რისკმენეჯმენტის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი, დღითიდღე ვითარდება და ახალ ფორმებს იძენს განვითარებულ და განვითარებადი ქვეყნების სადაზღვევო და ფინანსურ ბაზრებზე. გადაზღვევის რეგიონული (გეოგრაფიული) დივერსიფიკაციის ანალიზი საგადაზღვევო პრემიების მიხედვით, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ რისკის შემცირების აღნიშნული ფორმა, რეგიონული თვალსაზრისით, მეტად დივერსიფიცირებულია (კაკაშვილი ნ. 2016, 61-65). დაზღვევის სახეობების მიხედვით სადაზღვევო პრემიები უთანაბროდაა გადანაწილებული. გლობალურად გადაზღვევა ხდება ქონებასთან დაკავშირებულ რისკებზე, რაც ამ სფეროში შესაძლო კატასტროფების მაღალი ალბათობითაა გამომწვეული, რასაც, შესაბამისად, დიდი ზარალი მოჰყვება სადაზღვევო კომპანიისათვის (კაკაშვილი ნ. 2016, 176-183). გადამზღვევი (ხშირად მას ცედენტსაც უწოდებენ) დამზღვევისაგან მიღებული სადაზღვევო პრემიის ნაწილს უხდის გადამზღვეველს (ცესიონერს), როგორც გადასახადს ცესიონერის თანხმობისთვის – აილოს თავის თავზე ვალდებულებების ნაწილი. რისკის გადამზღვეველზე გადაცემას ეწოდება **ცესია**. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევი, ან სხვა მოსარგებლე სადაზღვევო საზღაურის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართავს მხოლოდ მზღვეველს, რომელიც ახორციელებს ანგარიშსწორებას სადაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით. მზღვეველი კი, თავის მხრივ, მოითხოვს გადამზღვეველისგან შესაბამისი კუთვნილი თანხების ანაზღაურებას (შათირიშვილი, ჯ. კაკაშვილი, ნ. 2012, 255-259). მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე გლობალიზაცია იწვევს გადაზღვევის კაპიტალის კონცენტრაციას, იზრდება დიდი გადამზღვეველი კომპანიების რაოდენობა. მსხვილ გადამზღვეველ კომპანიებს შორის გამოირჩევიან: Swiss Re, Munich Re, General Colon Re, Lloyd's სინდიკატი. (კაკაშვილი ნ. 2016, 15-18).

გადაზღვევის საშუალებით შესაძლებელია ისეთი რისკების მინიმიზაცია, როგორიცაა: **შემთხვევითი დანაკარგების რისკი**, რომელიც დაკავშირებულია სადაზღვევო გადასახდელების მერყეობასთან, ბუნებრივ კატასტროფებსა და უბედურ შემთხვევებთან; **ცვლილებების რისკი** - სავალუტო კურსისა და ინფლაციის მერყეობამ შესაძლოა გამოიწვიოს სადაზღვევო კომპანიის გადასახდელების ღირებულების გაზრდის რისკი, ამასთან, ტექნოლოგიურმა განვითარებამ, მოსალოდნელია განაპირობოს ისეთი საფრთხეების წარმოშობა, რომელიც აღარ შეესაბამება დაზღვეულ რისკებს; **შეცდომების რისკი** – არასწორი ვარაუდის გაკეთება სადაზღვევო პრემიების მოსალოდნელ ოდენობასთან დაკავშირებით (King, M. Maneval, A.(2015, 242). ცედენტისა და გადამზღვეველის ერთობლივად აღებული ვალდებულებების ფორმის მიხედვით მიღებულია სადაზღვევო ხელშეკრულებების შემდეგი დაყოფა:

- ფაკულტატიური გადაზღვევა;
- ობლიგატორული გადაზღვევა;
- ფაკულტატიურ-ობლიგატორული (შერეული) გადაზღვევა.

ფაკულტატური გადაზღვევა გულისხმობს გადანყვეტილებას რისკის მიღების თაობაზე. რისკს იღებს მზღვეველი და გადამზღვეველი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აღებულ სადაზღვევო რისკზე. ცედენტი გადაზღვევის აუცილებლობის შემთხვევაში თვითონ წყვეტს, რომელ გადამზღვეველს შესთავაზოს რისკი გადასაზღვევად, ხოლო გადამზღვეველი ატარებს რისკის ანალიზს და თავისი საქმიანობის პრინციპების შესაბამისად წყვეტს მიიღოს თუ არა რისკი - რა საგადასაზღვევო მოცულობის კაპიტალი გასცეს და რა პირობებით (შათირიშვილი, ჯ. კაკაშვილი, ნ. 2012, 255-259.). ფაკულტატური გადაზღვევა წარმოადგენს ორიგინალურ შეთანხმებას, რომლის პირობებშიც გადახდები სადაზღვევო კომპანიასა და გადამზღვეველს შორის ხორციელდება დამოუკიდებელი გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს ყველა აუცილებელ და მნიშვნელოვან ინფორმაციას რისკის შესახებ, რომელიც საშუალებას აძლევს გადამზღვეველს სწორად შეაფასოს რისკი. როგორც წესი, გადასახდელების სიდიდე ფაკულტატურ გადაზღვევაში განისაზღვრება საგადასაზღვევო ბაზარზე არსებული სიტუაციის გათვალისწინებით. ფაკულტატური გადაზღვევის არსია ის, რომ მზღვეველს არ აქვს რისკების გადაზღვევაზე გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებები გადამზღვეველის მიმართ და აქვს თავისუფალი არჩევანი, თუ რომელი ცალკეული რისკის გადაზღვევა შესთავაზოს და რა პირობებით. თავის მხრივ, გადამზღვეველსაც არ აქვს მზღვეველის მიმართ არანაირი ვალდებულება დასაზღვევად რისკის მისაღებად და აქვს სრული თავისუფლება მიიღოს თუ არა რისკი გადაზღვევაზე. ფაკულტატური გადაზღვევის დროს გადაზღვევის პირობები თანხმდება და ხელშეკრულება ფორმდება თითოეული ინდივიდუალური რისკის მიხედვით.

ობლიგატორული გადაზღვევა გულისხმობს, რომ ცედენტი ვალდებულია გადასცეს ვალდებულებების ნაწილი, ხოლო გადამზღვეველი ვალდებულია მიიღოს ყოველი ცესია. ასეთი გადაზღვევის დროს პირობები წინასწარ გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში. რისკების ნაწილის გადაცემა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო თანხა აღემატება მზღვეველის გარკვეულ წინასწარ საკუთარ მონაწილეობას (კაკაშვილი ნ. 2012, 258). ობლიგატორული გადაზღვევა უფრო მეტადაა განვითარებული, ვიდრე ფაკულტატური, პრაქტიკაშიც უფრო მეტად იყენებენ სწორედ ობლიგატორულ გადაზღვევას. ობლიგატორული გადაზღვევის ხელშეკრულება იდება, როგორც წესი, განუსაზღვრელი ვადით. მხარეები იტოვებენ ხელშეკრულების ორმხრივი შეწყვეტის უფლებას წინასწარი შეთანხმების პირობებით. ობლიგატორული ხელშეკრულების მიხედვით სადაზღვევო გადასახდელები განისაზღვრება პროცენტულად სადაზღვევო გადასახდელების თანხიდან, რომელსაც მზღვეველი იღებს პირველადი ხელშეკრულების დადებისას. ობლიგატორული ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კრიტერიუმებიდან და პირობებიდან ერთ-ერთი უმთავრესია მაქსიმალური სადაზღვევო თანხა/ლიმიტი (Treaty Capacity). თუმცა

ეს არ ნიშნავს, რომ ის პოლისი, რომლის სადაზღვევო თანხა/ლიმიტიც აჭარბებს ობლიგატორული ხელშეკრულების ლიმიტს, არ გადაიზღვევა ამ ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაში, გადამზღვეველი პასუხისმგებელია მხოლოდ ხელშეკრულების ლიმიტის ფარგლებში, ან ლიმიტის პროპორციულად (იმის მიხედვით, არაპროპორციულია გადაზღვევა თუ პროპორციული). ობლიგატორული გადაზღვევა უფრო პოპულარული ფორმაა, ვიდრე ფაკულტატური. წინასწარაა განსაზღვრული გადასაზღვევი რისკების მახასიათებლები, გადაზღვევა კი ხდება დაყოვნების გარეშე და პირდაპირი მზღვეველისათვის გარანტირებულია გადაზღვევის დაფარვა.

ფაკულტატურ-ობლიგატორული გადაზღვევას „ღია ხალიჩასაც“ კი უწოდებენ. ამ ფორმის დროს ცედენტს აქვს უფლება გადასცეს გადასაზღვევად არა ყველა, არამედ განსაზღვრული რისკები, ხოლო, თავის მხრივ, გადამზღვეველი ვალდებულია ის მიიღოს. ამ შემთხვევაში ცესიონერი იღებს მეტ რისკს, ანუ მის პორტფელში აღმოჩნდება ცუდი რისკები.

გადაზღვევის კომპანიები დაკავებული არიან ახალი შესაძლებლობების ძიებით და ახალი სტრატეგიების შემუშავებით, რაც დაეხმარება მათ სირთულეების გადალახვაში. გადაზღვევის კომპანიებს ფუნქციონირება უწევთ მაღალი კონკურენციის პირობებში. რისკების დონე, რაც დამახასიათებელია კომპანიებისთვის, იზრდება კონკურენციის ზრდასა და ტარიფების შემცირებასთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ტარიფების შემცირება უფრო მაღალი ტემპებით იყო მოსალოდნელი, ვიდრე ახლანა (კაკაშვილი ნ. 2012,136). ქართული სადაზღვევო კომპანიები ძირითადად იყენებენ ობლიგატორულ გადაზღვევას, ფაკულტატორულ გადაზღვევას კი – აუცილებლობის შემთხვევაში. გადაზღვევის მეთოდებიდან უპირატესობას ანიჭებენ პროპორციულ გადაზღვევას, რადგან სადაზღვევო თანხის ოდენობით პირდაპირ დაკავშირებულია მზღვეველის სადაზღვევო პასუხისმგებლობის სიდიდესთან. საქართველოს სადაზღვევო კომპანიები იყენებენ გადაზღვევის როგორც პროპორციულ, ასევე არაპროპორციულ მეთოდს, თუმცა უპირატესობას ანიჭებენ პროპორციულ გადაზღვევას, რადგან ის სადაზღვევო თანხის ოდენობით პირდაპირ დაკავშირებულია მზღვეველის სადაზღვევო პასუხისმგებლობის სიდიდესთან.

ტექნოლოგიური პროგრესი ხელს უწყობს მზღვეველებს და გადამზღვეველებს წარმატებულად მართონ თავიანთი ბიზნესი, რადგანაც ტექნოლოგიები ეხმარება მათ რისკის შეფასებასა და ანდერრაიტიზმში; ხელს შეუწყობს ცედენტსა და ცესიონერს შორის ინფორმაციის ასიმეტრიულობის შემცირებას; ტექნოლოგიების საშუალებით იოლდება რისკების მონიტორინგი, შესაბამისად, მათი პრევენციაც და ხდება სადაზღვევო პრეტენზიების ეფექტური მოგვარება.

გადაზღვევის ბაზარზე წარმატების მოპოვების პრინციპებია: ოპტიმალურობა და დინამიკურობა. პირველი მათგანი ვლინდება ოპტიმალური რისკისკენ სწრაფვით, ოპტიმალურ დივერსიფიკაციასა და კაპიტალში. დინამი-

კურობა გულისხმობს ცესიონერის შესაძლებლობას მოახდინოს ადაპტაცია, კაპიტალის სწრაფად გადატანის შესაძლებლობა, აქტივების გადანაწილების ადაპტურობა. გადამზღვევლებს შეუძლიათ შექმნან ღირებულება იმის განსაზღვრით, თუ რა ოდენობის რისკის აღება შეუძლიათ მათ საკუთარ თავზე. გადაზღვევის ფორმებიდან ობლიგატორული გადაზღვევა უფრო მისაღებია ცედეტებისთვის, ვინაიდან სადაზღვევო კომპანია ავტომატურ დაზღვევას იღებს რისკების გარკვეულ სახეებსა და მთლიანად სადაზღვევო პორტფელზე და შესაბამისად, უფრო იაფია როგორც ცედეტისთვის, ასევე ცესიონერისთვის, თუმცა, ქართული სადაზღვევო კომპანიები ფაქულტატურ გადაზღვევას ანიჭებენ უპირატესობას. 2016 წელს საქართველოს სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდულმა ჯამურმა პრემიამ შეადგინა 376,62 მლნ ლარი, აქედან გადაზღვევის პრემიამ - 77,28 მლნ ლარი. შესაბამისად, გადაზღვევის პროცენტული მაჩვენებელია 20,5%, 2017 წელს მოზიდული ჯამური პრემია იყო 427,39 მლნ ლარი, ხოლო გადაზღვევის პრემიამ შეადგინა 96,16 მლნ ლარი. გადაზღვევის პროცენტული მაჩვენებელი 2017 წელს გაიზარდა 22,5%-მდე, 2018 წელს მოზიდულმა ჯამურმა პრემიამ შეადგინა 529,59 მლნ ლარი, ხოლო გადაზღვევის პრემია იყო 129,38 მლნ ლარი. შესაბამისად, გადაზღვევის პროცენტული მაჩვენებელი ამ წელს იყო 24,4%. აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, გადაზღვევის პრემიის მატების ტემპი მაღალია, რაც დადებითი ტენდენციაა, რადგან იზრდება სადაზღვევო კომპანიების სტაბილურობა. (2016, 2017, 2018 წლის სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური).

დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურის ანგარიშების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპანიების უმეტესობა აქტიურად მიმართავს გადაზღვევას, თუმცა, გადაზღვევა ხორციელდება არა ყველა სახის დაზღვევაში. ასე, მაგალითად, საპენსიო და სარკინიგზო-სატრანსპორტო სახის დაზღვევაში გადაზღვევის წილი ნულის ტოლია.

გადაზღვევის მნიშვნელობის ზრდას განაპირობებს ფინანსური რისკის მაღალი ხარისხი, რაც დამოკიდებულია არამარტო სტიქიურ უბედურებებზე, არამედ ეკონომიკურ კრიზისებზე, ინფლაციაზე, ქვეყანაში პოლიტიკურ მდგომარეობაზე და სხვა. გადაზღვევისას მოგების ნაწილი პირდაპირი მზღვეველიდან გადამზღვეველზე გადადის. გადაზღვევა წარმოადგენს მზღვეველის „მეორად“ დაზღვევას ისეთი რისკისაგან, რაც აჭარბებს სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობას. გადაზღვევის ბაზარი წარმოადგენს საერთაშორისო ბიზნესს, რადგან მისი ძირითადი მიზანია ალბულები რისკების მეორადი გადანაწილება, რაც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ძირითადად უცხოური კაპიტალის მოზიდვით. გადაზღვევის ბაზარი ყველაზე მეტად ექვემდებარება გლობალიზაციის შერწყმის პროცესებს, რომელიც არის გადამზღვეველების კაპიტალიზაციის ზრდის შედეგი, რათა შესაძლო გახდეს აუცილებელი ფინანსური სახსრების მიწოდების უზრუნველყოფა ბუნებრივი კატასტროფების გადასაზღვევად.

დასასრულ, დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ გადაზღვევის ბაზრის ძირითადი მახასიათებლებია: გადაზღვევის ბიზნესის გეოგრაფიული დივერსიფიკაცია; საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ახალი მომსახურების მიწოდება; ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა გადამზღვეველი კომპანიების ეფექტიანი მართვის ხარჯზე.

ლიტერატურა:

- კაკაშვილი ნ. (2016) გადაზღვევის დივერსიფიკაცია და ფუნქციები. ეკონომიკა და ბიზნესი, ტ. IX. №2. გვ. 176-183. გამომცემლობა „უნივერსალი“.
- კაკაშვილი ნ. (2016) მსოფლიო გადაზღვევის ბაზრები და საქართველო. ბიზნესი და კანონმდებლობა, №4, გვ. 15-18. გამომცემლობა „ივერიონი“.
- კაკაშვილი ნ. (2008) გადაზღვევის ბაზრის განვითარების ტენდენციები. საერთაშორისო ბიზნესი. VI ტ. №1-4. გვ.61-65. საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული. გამომცემლობა „უნივერსალი“.
- კაკაშვილი ნ. (2010). გადაზღვევა და მისი აუცილებლობა ქართული სადაზღვევო კომპანიებისათვის. გლობალიზაცია და ეკონომიკურ-სამართლებრივი პრობლემები. მეორე საერთაშორისო კონფერენცია. შპს „თბილისის უნივერსიტეტი“
- საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ. მუხლი 2. 1997 წ.
- შათირიშვილი, ჯ. კაკაშვილი, ნ. (2012). სადაზღვევო საქმე. გვ. 255-259 გამომცემლობა „ივერიონი“.
- 2016, 2017, 2018 წლის სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.
- King, M. Maneval, A.(2015) “Intoduction to Reinsurance”.
- Guillaume, G. (2015). Insurance Risk Management & Reinsurance.

References:

- Kakashvili N. (2016) “gadazgvevis diversifikacia da funqciebi”, „ekonomika da biznesi“, IX. N2. P. 176-183. [Reinsurance Diversification and Functions] Journ. “Economics and Business”, IX. N 2. P. 176-183. Tbilisi, TSU Publishing (in Georgian).
- Kakashvili N. (2016). msoplio gadazgvevis bazrebi da saqartvelo. “biznesi da kانونmdebloba”, N 4, gv. 15-18. [World Reinsurance Markets and Georgia] Journ. “Business and Legislation”, N4, September-October, P. 15-18, Publishing “Iverioni” (in Georgian).
- Kakashvili N. (2008). “gadazgvevis bazris ganvitarebis tendenciebi.” saertashoriso biznesi, gamomcemloba “universalali.” [“Trends of Reinsurance Market Development.”] International Business. Collection of International Intergovernmental Scientific Works, Volume VI. N1-4, Publishing “Universalali”, (pp. 61-65) (in Georgian).
- Kakashvili N. (2010) “gadazgveva da misi aucilebloba qartuli sadazgvevo kompaniebisatvis.” globalizacia da ekonomikur-samartlebrivi problemebi. Meore saertashoriso konferencia. “tbilisis universiteti” [Reinsurance and its Need for Globalization and Economic-Legal Problems for Georgian Insurance Companies] Second International Conference Ltd “Tbilisi

University” (in Georgian).

- Saqartvelos kanoni dazgvevis shesaxeb. muxli 2.1997. [Law of Georgia on Insurance] Article 2. The year 1997.
- Kakashvili N. (2012) sadazgvevo saqme. Tbilisi. gamomcemloba “Iverioni”, gv.255-259.
- [Insurance Case] Tbilisi: Publishing “Iverioni”. pp. 255-259 (in Georgian).

Reinsurance: The Essence, Forms, and Importance of Financial Stability in Insurance Companies

Nato kakashvili

Assistant Professor of

Iv. Javakishvili Tbilisi State University

nato.kakashvili@tsu.ge

Reinsurance - is an independent form of insurance. Its purpose is to protect the insurer from possible financial loss. Through reinsurance the insurer can increase the volume of its insurance portfolio, the insurance company can protect itself from the dangers of great loss, the insurance company can take on full risk, and subsequently it can insure itself with the help of other insurance companies. Reinsurance can minimize risks such as: **risk of accidental loss, risk of changes, risk of error**. Reinsurance aims at creating a balanced insurance portfolio, ensuring financial sustainability and cost-effective insurance operations. Analysis of regional (geographical) diversification of reinsurance by insurance premiums allows us to conclude that the noted form of risk reduction is highly diversified regionally; insurance premiums are unevenly distributed depending on the forms of insurance. Globally, reinsurance is done on the risks associated with property, which are caused by the high probability of catastrophes in this area, which will consequently result in large losses for the insurance company. The ongoing globalization process in the world economy results in the concentration of reinsurance capital, with the number of large reinsurance companies increasing. The following subdivision of insurance contracts is made according to the form of obligations taken jointly by cedent and the reinsurer:

- Facultative reinsurance
- Obligatory reinsurance
- Facultative-obligatory (mixed) reinsurance

Georgian insurance companies mainly use obligatory reinsurance and facultative reinsurance in case of necessity. Proportional reinsurance takes precedence over reinsurance methods as it is directly related to the magnitude of the insurer’s insurance liability.

The increasing importance of reinsurance is conditioned by the high degree of financial risk that depends not only on natural disasters but also on economic crises, inflation, political processes in the country, and others. During reinsurance, part of the profit is transferred from direct insurer to reinsurer. Reinsurance is the “secondary” insurance of the insurer against

such risk that exceeds the solvency of the insurance company. The reinsurance market is an international business, as its primary purpose is the secondary distribution of risks, which can be secured mainly by attracting foreign capital. The reinsurance market mostly is a subject to the process of globalization merging, which is the result of the increase in the reinsurer's capitalization to enable it to provide the necessary financial resources to reinsure natural disasters.

Keywords: reinsurance, facultative reinsurance, obligatory reinsurance, facultative - obligatory reinsurance, cedent, cesium.

JEL Codes: G22, G23, J65

Blockchain Applications in Business Processes Exemplified for Procurement

Günter Hofbauer¹

*Professor of Ingolstadt Technical
High School /Germany
guenter.hofbauer@thi.de*

The purpose of this article is to introduce the application of the blockchain technology to a specific business process in procurement and to provide an updated concept. The blockchain technology is a very promising technology and facilitates a variety of applications for digitalization in business processes. Many appliances are already in use and benefits in terms of effectiveness and efficiency can be stated. The transfer to procurement will be made on a conceptual basis.

The scientific approach is analytical and theoretical, answering the research question about the applicability of the blockchain technology in business operations, exemplarily analyzed for the procurement management process. The application of this digital technology in the context of the procurement activities is described. In order to do this, a generally admitted procurement process is introduced as a basis for scientific discussion.

In summary, three major applications of the blockchain were identified and their impact on the procurement department is depicted. The major issues are smart contracts, tracking of the supply chain as well as crypto currency. Specific advantages and disadvantages are pointed out. Finally the findings will be transferred to the procurement process.

Keywords: *Blockchain, procurement, processes, smart contracts, supply chain, crypto currency*

JEL Codes: *E42, E51, F31*

1. Initial situation

The blockchain idea is meanwhile very common and yet realized in various applications. In 2009 Satoshi Nakamoto launched the crypto currency Bitcoin, and people discovered the possibility to gain money out of it. Since that time the interest in the blockchain technology behind the Bitcoin increased steadily. First the interest and investments concentrated on crypto currency, but in the last few years it shifted to the

¹ With the support of: Lukas Valckeneire and Anita Sangl, both Technische Hochschule Ingolstadt/Germany

general application possibilities of the blockchain technology in different business areas. Experts estimate, that the market capitalization of the blockchain technology will increase from USD 604.5 million in 2016 to USD 7.59 billion by 2024. This means on average an annual increase of 37.2% over the period of eight years (Grand View Research 2018).

One of the possible areas, in which the blockchain technology could play a major part, is procurement. And yet the Supply Chain Management (SCM) is an important part of the procurement management. On the other side, also the sales process (Hofbauer/Hellwig 2016) as the counterpart of the procurement process (Hofbauer 2017) will benefit from applications of this technology.

The research question of this article is about how industrial procurement could benefit from applying the blockchain technology. Related to that question is the impact on competitiveness. New technologies support competitive advantage. There could be a need of companies to adapt the blockchain technology to stay competitive. These questions of research will be led to a favorable answer. In the first step the procurement process will be introduced in general. In the second step three possible blockchain applications, which are the most appropriate ones for the procurement process, will be verified. The affected process phases of the procurement process will be depicted in the summary.

The scientific aim of this article is to contribute to the digitalization of business processes in general and to provide a contemporary application to the procurement process in particular.

2. The Buying Cycle as a basic business process

The Buying Cycle as a typical business process is chosen for analysis. The Buying Cycle (Hofbauer 2017) was introduced to mirror all relevant steps in procurement management. The well specified procurement process is a comprehensive elaboration of all relevant steps of execution, which are combined with defined input and output relations. The procurement process according to the Buying Cycle is arranged in four different groups of tasks: Planning, Selection, Transaction and Monitoring

Among those groups of tasks, there are eleven subtasks which are considered as a workflow:

- Organization
- Identification of requirements
- Market analysis
- Qualification of suppliers
- Quotation processing
- Primary treatment
- Negotiation
- Management of orders
- Utilization

- Supplier Development
- Controlling of procurement

The process cycle with the aligned 11 process phases is shown in figure 1 (Hofbauer 2017, p.25).



Figure 1. The Buying Cycle (Hofbauer 2017, p. 25)

საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების კვალდაკვალ, ნელი ტემპით, მაგრამ მაინც, საქართველოშიც არსებითად იცვლება რესურსების ხარჯვისადმი დამოკიდებულება, წინა პლანზე გამოდის ეკონომიურობის პრინციპი და ცდილობენ მის დაცვას. ეს, გარკვეულწილად ჩვენს საჯარო სამსახურსაც დაეხმოს, თუმცა, რეორგანიზაციის არაერთი მცდელობის მიუხედავად, სასურველი შედეგებისათვის ჯერ კიდევ არ მიგვიღწევია. საქართველოს საჯარო სამსახურის მთავარ პრობლემად დასაქმებულთა დიდი რაოდენობა და დაბალი პროდუქტიულობაა. შესაბამისი მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოს საჯარო სამსახურის უმაღლეს რგოლებში დასაქმებულთა საგრძობი შემცირების მიუხედავად მათი რაოდენობა კვლავაც დიდია, სოლიდურია ასიგნებების მოცულობაც (იხ. ცხრილი).

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 2006-2019 წწ. (ათასი ლარი)

კოდი	მხარჯავი დანესებულებების დასახელება	2006 წ., ფაქტობრივი	2019 წ., გეგმა	2019 წ. 2006 წ. მიმართ (%)
01.00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	28 818,9	64 736,0	224,6
	მომუშავეთა რიცხოვნობა (კაცი)	1482	1 126	76,0
	შრომის ანაზღაურება	16 387,8	31 224,0	190,5
01.01	საქართველოს პარლამენტი	22 854,1	54 696,0	239,3
	მომუშავეთა რიცხოვნობა (კაცი)	935	670	71,7
	შრომის ანაზღაურება	11 884,0	25 298,0	212,9
02.00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	19 468,2	6 000,0	30,8
	მომუშავეთა რიცხოვნობა (კაცი)	137	60	43,8
	შრომის ანაზღაურება	2 861,0	2 300,0	80,4
04.00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	9 217,1	16 800,0	182,3
	მომუშავეთა რიცხოვნობა (კაცი)	340	227	66,8
	შრომის ანაზღაურება	3 854,4	7 430,0	192,8

შედგენილია საქართველოს 2007, 2008 და 2019 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების მონაცემების მიხედვით.

ცხრილიდან ჩანს, რომ 2006-2019 წლებში მომუშავეთა რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დაფინანსების, მათ შორის – შრომის ანაზღაურების ოდენობა. ჩვენი საჯარო სამსახურის უმაღლეს რგოლებში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება დადებითად უნდა შეფასდეს და ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო ინტენსიურად გაგრძელდეს. საჯარო სამსახურში სასურველ შედეგებს უნდა მივაღწიოთ მოხელეთა არა რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი ზრდით. როგორც ჩანს, ბოლო 13 წელიწადში, ჩვენი საჯარო სამსახურის უმაღლეს რგოლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ანაზღაურება (საბაზო

ხელფასი, დანამატი, პრემია), რაც, ჩვენი აზრით, ცალსახად უარყოფითად არ უნდა შეფასდეს, მაგრამ საეჭვოა ის, საჯარო მოხელეთა პროდუქტიულობის ზრდას უკავშირდებოდეს. ამას, ირიბად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური გავითარების დაბალი ტემპი, მოსახლეობის დიდი ნაწილის უაღრესად დაბალი ცხოვრების დონე, ფეთქებადსაშიშ ზღვარს მიღწეული ლარის კურსის დევალვაციისა და ინფლაციის მაჩვენებლები ადასტურებს.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ საჯარო სამსახურის შენახვა ქვეყნისათვის მძიმე ფინანსურ „ტვირთს“ არ უნდა წარმოადგენდეს, რაც შესაძლებელია მიღწეულ იქნეს საჯარო მოხელეთა პროფესიული დონის სისტემატური ამაღლების, მათი ანგარიშვალდებულებისა და მოტივაციის ზრდის კვალობაზე. სამწუხაროდ, საქართველოში, საჯარო სამსახურის განვითარებაში არსებული რიგი წარმატების მიუხედავად, ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფისა და შესაბამისად ცალკეული სამსახურის დაკომპლექტების საკითხი, დღესაც მეტად აქტუალურია. ამას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით შემუშავებული საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შედგენის აუცილებლობაც ადასტურებს.

აღნიშნული გეგმა, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2019 წლის 10 ივნისს, №274 დადგენილებით დაამტკიცა, ამ მიმართულების რეფორმის რიგით მესამე სამოქმედო გეგმაა (მანამდე ასეთივე გეგმები არსებობდა 2015-2016 და 2017-2018 წლებისათვის), რომელიც 70-ზე მეტ ღონისძიებას ითვალისწინებს და მიზნად ისახავს რეფორმირებას 6 ძირითადი მიმართულებით, მათ შორის საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებითაც.

საქართველოში, 2019-2020 წლებში, საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით, „საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ნაწილში განსაზღვრულია შემდეგი ამოცანების გადანყვება: 1) საჯარო სამსახურის ფარგლების განსაზღვრა; 2) ინსტიტუციური მოწყობის ოპტიმალური გადანყვეტის შეთავაზება; 3) არსებული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა დამსახურებაზე დაფუძნებული და თანასწორი მოპყრობის პრინციპების მოთხოვნებთან; 4) საჯარო სამსახურში წამყვან მენეჯერულ პოზიციებზე პოლიტიკური ზეგავლენის გაანალიზება და აღნიშნულის პრევენციის მიზნით ერთიანი გადანყვეტის შეთავაზება; 5) საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესება, რომელიც უზრუნველყოფს ამ სამსახურში პროფესიონალი კადრების შენარჩუნებას, მოზიდვასა და მოტივირებას. საეჭვო არ არის, რომ დასახული ამოცანების ნაწილი აუცილებლად შესრულდება. მაგალითად, დაზუსტდება საჯარო სამსახურის არეალი, გაიზრდება შრომის ანაზღაურების დონე, მოწესრიგდება შესაბამისი კანონმდებლობა, ფუნქციურად და ფინანსურად გაძლიერდება საჯარო სამსახურის ბიურო და ა.შ. მაგრამ ბოლომდე გასაგები არაა რა იგულისხმება „ინსტიტუციური მოწყობის ოპტიმალური გადანყვეტის შეთავაზებაში“, ან როგორი შედეგები ექნება მას. სამწუხაროდ, აღნიშნულ გეგმაში ერთობ

ზოგადაა აღნიშნული, კონკრეტულად კი – ადამიანური რესურსების ნაწილში გამოკვეთილი არაა ზემოაღნიშნული რეფორმის საჯაროდ შედეგები. მაგალითად, თუ როგორ შეიცვლება არსებული მდგომარეობა საჯარო სამსახურში, კერძოდ კი – ადამიანური რესურსების მართვის სფეროში. გაურკვეველია, მთავრობა აპირებს თუ არა მისი ადმინისტრაციის ორგანიზაციული სტრუქტურის არსებით ცვლილებას, დეპარტამენტების გაერთიანება-შემცირებას, მათ საქმიანობაში არსებული დუბლირებებისა და პარალელიზმის აღმოფხვრას და ამ საფუძველზე ადმინისტრაციაში დასაქმებულთა რიცხვის მნიშვნელოვნად შემცირებას. ჩვენი აზრით, ამ მიმართულებით საჭიროა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. კერძოდ კი – მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზაციული სტრუქტურის რადიკალური ცვლილებისა და არსებული მრავალრიცხოვანი პერსონალის საქმიანი თვისებების სათანადოდ შესწავლის, წამყვანი ბირთვის გამოკვეთის, დანარჩენის კი მაღალი კვალიფიკაციისა და დიდი გამოცდილების მქონე მცირე რაოდენობის ექსპერტებით ჩანაცვლების გარეშე, მთავარ მიზანს – ადმინისტრაციის ეფექტიანობის მკვეთად ამაღლებასა და ხარჯების არსებით შემცირებას ვერ მივალწევთ.

რეორგანიზაციის დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ მთავრობის ადმინისტრაცია შექმნილია საქართველოს მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვა მასალების მომზადების, აგრეთვე საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ხელშეწყობის მიზნით და, აქედან გამომდინარე, უნდა დაზუსტდეს მისი ნებისმიერი სახის სტრუქტურული ერთეულის (დეპარტამენტი, განყოფილება და ა.შ.) მისია, პერსონალის რიცხვი და მათი თანამდებობრივი ინსტრუქციები.

გარდა ამისა, არანაკლებ საინტერესოა, საჯარო სამსახურში როგორი ნაბიჯები გადაიდგმება ადამიანური რესურსების მართვის ცენტრალიზაციის, ან დეცენტრალიზაციის მიმართულებით, რეფორმა როგორ აისახება სამინისტროებსა და უწყებებზე, ასევე სახელმწიფო მართვის ქვედა რგოლებზე, მათ შორის მუნიციპალიტეტებში ადამიანური რესურსების მართვის სისტემაზე და ა.შ.

ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმიდან და გზამკვლევიდან ასევე ჩანს, რომ მთავრობის ადმინისტრაციის რეფორმირების სხვადასხვა მიმართულების განხორციელებაზე პასუხისმგებელია თვითონ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საჯარო სამსახურის ბიურო (ადამიანური რესურსების მართვის ნაწილში), საქართველოს იუსტიციის, ფინანსთა, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროები. ამ პროცესებში მთავრობის ადმინისტრაციის, საჯარო სამსახურის ბიუროს და დასახელებული სამინისტროების ხელმძღვანელი მუშაკების მონაწილეობა, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ იქნება. ნებისმიერი სამსახურის თვითგანვითარების შესაძლებლობას არ გამოვრიცხავთ, მაგრამ საეჭვოა, თუნდაც საჯარო სამსახურის ბიურომ (სსიპ-მა), მისთვის საქართველოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კა-

ნონით მინიჭებული საკმაოდ ფართო უფლებამოსილების მიუხედავად, სრულად შეძლოს მთავრობის ადმინისტრაციის (ან საქართველოს პარლამენტის) ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფუნქციების არსებითი ხასიათის ცვლილება და შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციების შეთავაზება (თუმცა, შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, არც იმას გამოვრიცხავთ, რომ საჯარო სამსახურის ბიურომ წარმატებით გაართვას თავი, ამ მხრივ, მასზე დაკისრებულ ამოცანებს.

ვფიქრობთ, რომ ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფისა და საჯარო მოსამსახურეთა შემცირების საკითხი საქართველოს პარლამენტისთვისაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ცნობილია, რომ პარლამენტი სპეციფიკური საჯარო სამსახურია, სადაც პარლამენტარების რიცხვზე, მათ ინიციატივებზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული, მაგალითად, თუ რამდენი კომიტეტი და ფრაქცია შეიქმნება, რამდენი კანონპროექტი, თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხი იქნება განხილული, რამდენად დიდი ან მცირე იქნება პარლამენტის აპარატი და ა.შ. მრავალრიცხოვანი პარლამენტი და აქტიური პარლამენტარები მათ მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესასრულებლად საკმაოდ დიდ აპარატს საჭიროებს, რომლის გარეშე შეუძლებელია დასახული მიზნების მიღწევა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს პარლამენტს, მთავრობის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში, უპრობლემოდ შეუძლია დაამტკიცოს საქართველოს პარლამენტის, როგორც ერთ-ერთი მხარჯავი დანესებულების მიერ მოთხოვნილი, თუნდაც გაზრდილი და არც მთლად დასაბუთებული ბიუჯეტი. აღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ პარლამენტი ასე იქცევა, ან მომავალში მოიქცევა, თუმცა, არც ამისი გამორიცხვა შეიძლება. ჩვენი აზრით, ამჟამად, საქართველოს პარლამენტში ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფისა და ადამიანური რესურსების შემცირების შესაძლებლობა არსებობს და ის გამოყენებულ უნდა იქნეს. იმასაც აღვნიშნავთ, რომ საკითხი მხოლოდ პარლამენტის აპარატს არ ეხება. ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, პარლამენტის წევრების რიცხვის შემცირებაც (მაგალითად, 100-მდე) შეიძლება, რაც, საკმაოდ დიდ ხარჯებს ავტომატურად შეამცირებს. კომპეტენტური ექსპერტებისგან შემდგარი ჯგუფი, ვფიქრობთ, შეძლებს საქართველოს პარლამენტის ახალი და უფრო მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებას, შიგა სტრუქტურული ერთეულების მიზნებისა და ამოცანების, დასაქმებულთა თანამდებობრივი ინსტრუქციების შესწავლის საფუძველზე ადამიანური რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავებას. სავარაუდოა, რომ ასეთი რეზერვები არსებობს როგორც პარლამენტის დეპარტამენტებში, ასევე კომიტეტებსა და ფრაქციებში. მაგალითად, ჩვენი აზრით, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, ფინანსური სახსრების ეკონომიური ხარჯვის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს იქ არსებული ბიბლიოთეკის გაუქმება. მას შემდეგ, რაც ყოფილი რესპუბლიკური ბიბლიოთეკა საპარლამენტო ბიბლიოთეკად გადაკეთდა, უშუ-

ალოდ პარლამენტის შენობაში არსებული ბიბლიოთეკის შენარჩუნება გაუმართლებელიც იყო.

ჩვენი აზრით, შესაძლებელია გადაიხედოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის არსებული სახით შენარჩუნების საკითხი, რომელიც დაუსაბუთებელი რეორგანიზაციების (2008 წელს და შემდეგაც) გამო გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ის 1997 წელს, პარლამენტის თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიას ინიციატივით და აშშ-ს კონგრესის საბიუჯეტო ოფისის გამოცდილების საფუძველზე შეიქმნა.¹ დებულებით განისაზღვრა მისი მთავარი მიზანი – პარლამენტის ხელმძღვანელობის, კომიტეტებისა და ფრაქციების საფინანსო, საბიუჯეტო და სხვა ეკონომიკური ხასიათის ანალიტიკური ინფორმაციით უზრუნველყოფა. საბიუჯეტო ოფისს დაევალა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, აგრეთვე საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და შესრულების, ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების, საგადასახადო ბალანსის, ფულად-საკრედიტო, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის, სახელმწიფო ვალის, უცხოური სახელმწიფო კრედიტებისა და სესხების გამოყენების და ა.შ. მდგომარეობის შესწავლა – შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

ზემოაღნიშნულთან ერთად, საბიუჯეტო ოფისის მთავარ მიმართულებად განისაზღვრა მწვავე საფინანსო-საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე სრულფასოვანი კვლევების ჩატარება. სწორედ ეს მიმართულება გამოარჩევდა მას საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატის საქმიანობისაგან. ამიტომ ოფისმა ჩამოყალიბებისთანავე დაიწყო სპეციალური კვლევების ჩატარება. მათგან საყურადღებოა ისეთი სრულფასოვანი კვლევები, როგორცაა: „სავალუტო კრიზისი – ლარის დევალვაციის მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები“ (1999 წ.), „ეკონომიკური ვითარება აფხაზეთში, სეპარატისტული რეჟიმის ფინანსური და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები“ (1999 წ.), „რა უნდა ვიცოდეთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ (1998, 1999, 2000 წწ.), „მოსხენება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს განვითარების შესახებ“ (2000 წ.), „საგარეო ვალეები და საქართველო“ (2000 წ.), „თურქეთის რესპუბლიკის საფინანსო კრიზისი და მისი მოსალოდნელი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე“ (2001 წ.), „საგადასახადო შეღავათების შეზღუდვის შესახებ“

¹ საყურადღებოა, რომ ოფისის ორგანიზაციული სტრუქტურისა და საკვლევი თემატიკის ფორმირების პროცესში, ასევე მისი საქმიანობის პირველი და მეორე წლის განმავლობაში, როგორც მრჩეველი, უშუალოდ მონაწილეობდა ამერიკელი სპეციალისტი დევიდ მარტინი, რომელიც ქმედით მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას უწევდა ოფისის ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს. გარდა ამისა, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა საბიუჯეტო ოფისის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (საოფისე ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ.).

(2001 წ.), „სამართალდარღვევები პრივატიზების სფეროში და მისი გამომწვევი ფაქტორები“ (2002 წ.), „თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ“ (2003 წ.) და მრავალი სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, დაუსაბუთებელი რეორგანიზაციების შედეგად პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიზნები და ამოცანები მკვეთრად შეიკვეცა და ამჟამად ოფისი მხოლოდ ფისკალური პოლიტიკის საკითხების შესწავლითაა დაკავებული. ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო მან უარი თქვა სპეციალური თემების დამუშავებაზე, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია. აქედან გამომდინარე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის საქმიანობაში არსებითი განსხვავება თითქმის აღარ არსებობს. ძალიან სამწუხაროა, რომ დღეს საქართველოს პარლამენტში ლარის დეველვაციის მიზეზებს ფუნდამენტურად არცერთი სტრუქტურული ერთეული არ სწავლობს. კატეგორიულად მიუღებელია საქართველოს პარლამენტი, ამ და სხვა საკითხებზე, მხოლოდ ეროვნული ბანკისა და საქართველოს მთავრობისაგან მიღებული ინფორმაციებით სარგებლობდეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბიუჯეტო ოფისი, სწორედ ასეთი, მეტად აქტუალური პრობლემების კვლევების ჩატარებისათვის შეიქმნა და არა საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის კიდევ ერთხელ დასაფიქსირებლად.

ვფიქრობთ, საკამათოა საბიუჯეტო ოფისის დაქვემდებარების საკითხიც. ის ოფისის შექმნის შემდგომ დღის წესრიგში რამდენჯერმე დადგა, მოისინჯა რამდენიმე ვარიანტი. იმის გათვალისწინებით, რომ საბიუჯეტო ოფისის საქმიანობის მაღალპროფესიულ დონეზე შეფასება, კვლევის მიმართულებების სწორად განსაზღვრა მხოლოდ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს შეეძლო. გადანყდა, რომ საბიუჯეტო ოფისს საქმიანობა აღნიშნული კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობით განეხორციელებინა. ასე იყო წლების განმავლობაში, რაც, ჩვენი აზრით, მართებული იყო. ამჟამად პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით შექმნილი სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, რაც, მართალია, ფორმალურად ზრდის ოფისის დამოუკიდებლობის ხარისხს, მაგრამ რეალურად საგრძნობლად ამცირებს მის საქმიანობაზე პროფესიული ზედამხედველობის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან და საჯარო სამსახურის ოპტიმიზაციის ამოცანებიდან გამომდინარე, არსებული სახით საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შენარჩუნება მიზანშეწონილი არ უნდა იყოს. თუ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი უარს იტყვის საფინანსო-საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო და სხვა სახის ეკონომიკური მიმართულების აქტუალური პრობლემების შესახებ სპეციალური თემების დამუშავებაზე (მაგალითად, როგორიცაა: ლარის კურსი, ინფლაცია, სახელმწიფო ვალი და ა.შ.) და მხოლოდ ფისკალური პოლიტიკის საკითხებით შემოიფარგლება, მაშინ, ჩვენი აზრით, მისი საფინან-

სო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატთან გაერთიანების საკითხი უნდა დადგეს. მითუმეტეს, რომ აღნიშნულ კომიტეტს, ოფისთან შედარებით, ფისკალური საკითხების კვლევის ბევრად უფრო მდიდარი გამოცდილება აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ 13 წელიწადში საქართველოს პარლამენტში დასაქმებულთა რიცხვი 935-დან 670-მდე შემცირდა, მისი აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფისა და დასაქმებულთა თანამდებობრივი ინსტრუქციების საფუძვლიანი ანალიზის შედეგად პერსონალის რიცხვის ოპტიმიზაცია კვლავაც აუცილებელია.

ქვეყნის საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობა ბევრად იქნება დამოკიდებული აღნიშნული პროცესის მართვის საშუალო და ქვედა რგოლებში სწორად წარმართვაზეც. ფუნქციების შესაძლო დუბლირებისა და პარალელიზმის აღმოფხვრის მიზნით სისტემურადაა შესასწავლი აჭარისა და აფხაზეთის მთავრობების ადმინისტრაციების, მუნიციპალიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების აპარატების სტრუქტურული ერთეულების ორგანიზაციული სტრუქტურები და დასაქმებულთა თანამდებობრივი ინსტრუქციები. ამ მიმართულებით საკმაოდ მძიმე სამუშაო იქნება ჩასატარებელი ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, შინაგან საქმეთა და სხვა სამინისტროებში, საკრებულოებში, მერიებსა და გამგეობებში.

საჯარო სამსახურის საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფისა და მათი ეფექტიანი გამოყენების საქმეში განსაკუთრებული, მაკოორდინირებელი და საზედამხედველო როლი უნდა შეასრულოს საჯარო სამსახურის ბიურომ. პირველ რიგში, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ბიურომ შეძლოს შეასრულოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები. კერძოდ, მან აქტიურად უნდა ითანამშრომლოს საჯარო დაწესებულებებთან ადამიანური რესურსების მართვის წლიური გეგმის შემუშავების პროცესში, საჯარო მოხელეთა თანამდებობების ერთიანი კლასიფიკაციისა და ანაზღაურების სისტემის შესაქმნელად, შეისწავლოს საჯარო სამსახურში არსებული კვალიფიკაციისა და პროფესიული მომზადების დონე, შეიმუშაოს მოხელეთა პროფესიული განვითარების ერთიანი სტანდარტები, ზედამხედველობა გაუწიოს მათ შესრულებას და ა.შ.

სამწუხაროდ, ქვეყანაში არცთუ მცირეა საჯარო დაწესებულებების რიცხვი, სადაც ერთიდაიგივე თანამდებობრივ პოზიციაზე განსხვავებული თანამდებობრივი სარგოებია დაწესებული, რაც არასწორია. სხვადასხვა გზით თუ ხერხებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების მოზიდვის მეტი შესაძლებლობა არ უნდა გახდეს სპეციალისტების განსხვავებულად (უფრო მეტად) ნახალისების საფუძველი.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საჯარო სამსახურის კადრებით ზედმეტად გაჯერების აღმოსაფხვრელად, საჯარო სამსახურის ბიურომ უფრო აქტიურად უნდა ითანამშრომლოს საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელობასა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურებთან, დაეხმაროს მათ ორგანიზაციული სტრუქტურისა და თანამ-

დებობრივი ინსტრუქციების სრულყოფა-მოწესრიგებაში. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით საგრძნობი წარმატების უზრუნველყოფის ე.წ. „ლომის წილი“ თვით ამ დაწესებულებების ხელმძღვანელებსა და ადამიანური რესურსების სამსახურებზე მოდის. მათ უკეთ უკეთ იციან რა და როდის უნდა გაკეთდეს.

დასკვნა: რეკომენდაციები და ღონისძიებები

1. ადამიანური რესურსები ქვეყნის მოსახლეობის აქტიური ნაწილია, რომელიც დასაქმებულია, ან შეიძლება დასაქმდეს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების თვისებრივი მხარე, ის ცოდნა, გამოცდილება, პიროვნული თვისებები, უნარები, მიზნები, ამოცანები, ინტერესები, მისწრაფებები და ა.შ., რომელსაც ისინი ფლობენ და იყენებენ, ან მომავალში გამოიყენებენ. ჩვენი აზრით, ადამიანური რესურსების მართვა ნებისმიერი ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი მმართველობითი საქმიანობაა, რომლის მიზანია მისი მაღალკვალიფიციური პერსონალით უზრუნველყოფა, მართვის ფუნქციების, მეთოდებისა და მიდგომების გამოყენების, პირადი და ორგანიზაციული მიზნების ჰარმონიული შეხამების საფუძველზე ორგანიზაციის მისიისა და მიზნების სრულად და ეფექტიანად რეალიზება;

2. საჯარო სამსახურში დასაქმებულების ნაყოფიერ საქმიანობაზე დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფო მართვის ყველა რგოლის (უმალღესი, საშუალო, დაბალი) გამართული საქმიანობა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპი და დონე. ამიტომ საჯარო სამსახურში მოზიდულ უნდა იქნეს ჯეროვანი თეორიული ცოდნისა და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილების მქონე ადამიანები, რომელთაც ექნებათ ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმიანობისადმი მაღალი მოტივაცია და ინტერესი;

3. საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი - „საჯარო ინტერესების უზენაესობის“ პრინციპი გულისხმობს, რომ საზოგადოებისათვის მაქსიმალურად მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზებისას სახელმწიფო სახსრების ხარჯვა პროდუქტიულად უნდა ხდებოდეს. ამასვე გვასწავლის აშშ-ს გამოცდილება, რომელიც გულისხმობს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ხელისუფლების პროდუქტიულობის ამაღლებას მართვის პროცესების გამარტივების, ანგარიშვალდებულების გაზრდისა და უფლებამოსილებათა დეცენტრალიზაციის საფუძველზე;

4. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში საჯარო სამსახური, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა, კადრებით ყოველთვის ზედმეტად იყო გაჯერებული. ეს არცაა გასაკვირი, რადგან საქართველოც იმ საბჭოეთის ნაწილი იყო, სადაც დასაქმება, მოსახლეობის სოციალური დაცვის მთავარ გარანტიად განიხილებოდა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საჯარო სამსახურის მიზნებიდან და „საჯარო ინტერესების უზენაესობის“ პრინციპიდან გამომდინარე, საჯარო სექტორში დასაქმებულთა შემცირების ტენდენცია

პოზიტიურად უნდა შეფასდეს, მაგრამ ჯერჯერობით სასურველი შედეგი მიღწეული არ არის და ეს ეხება საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ყველა რგოლს;

5. საქრთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ საჯარო სამსახურის შენახვა ქვეყნისათვის მძიმე ფინანსურ „ტვირთს“ არ უნდა წარმოადგენდეს. სამსახუროდ, საქართველოში, საჯარო სამსახურის განვითარებაში არსებული რიგი წარმატების მიუხედავად, ეს, არსებითი ხასიათის პრობლემაა. ამიტომ მისასაღმებელია, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით შემუშავებულ იქნა და ხორციელდება საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა;

6. საეჭვო არ არის, რომ ზემოაღნიშნული გეგმის ადამიანური რესურსების სფეროში გათვალისწინებული ამოცანების ნაწილი აუცილებლად შესრულდება. მაგალითად, დაზუსტდება საჯარო სამსახურის არეალი, გაიზრდება შრომის ანაზღაურების დონე, მონესრიგდება შესაბამისი კანონმდებლობა, ფუნქციურად და ფინანსურად გაძლიერდება საქართველოს საჯარო სამსახურის ბიურო და ა.შ. მაგრამ, სამსახუროდ, აღნიშნული გეგმის ადამიანური რესურსების ნაწილში გამოკვეთილი არაა ზემოაღნიშნული რეფორმის სავარაუდო შედეგები, თუ როგორ შეიცვლება არსებული მდგომარეობა საჯარო სამსახურში, კერძოდ კი – ადამიანური რესურსების მართვის სფეროში;

7. ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმიდან და გზამკვლევიდან ჩანს, რომ მთავრობის ადმინისტრაციის რეფორმირების სხვადასხვა მიმართულების განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საჯარო სამსახურის ბიურო (ადამიანური რესურსების მართვის ნაწილში), საქართველოს იუსტიციის, ფინანსთა, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროები. ამ პროცესებში მთავრობის ადმინისტრაციის, საჯარო სამსახურის ბიუროს და დასახელებული სამინისტროების ხელმძღვანელი მუშაკების მონაწილეობა, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ – არასაკმარისი. ნებისმიერი სამსახურის თვითგანვითარების შესაძლებლობას არ გამოვრიცხავთ, თუმცა, საეჭვოა საჯარო სამსახურის ბიურომ (სსიპ-მა), მისთვის საქართველოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით მინიჭებული საკმაოდ ფართო უფლებამოსილების მიუხედავად, შეძლოს მთავრობის ადმინისტრაციის (ან საქართველოს პარლამენტის) რეორგანიზაციის სრულად განხორციელება. ამ მიზნით, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა ეს საკითხები გამოცდილ ექსპერტთა ჯგუფს შეესწავლა და შედეგები განეხილა საქართველოს პარლამენტს;

8. ამჟამად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში 227 სპეციალისტი საქმიანობს, შესაბამისად, დიდია მათი შრომის ანაზღაურების (ხელფასი, დანამატი, პრემია) საოფისე და ა.შ. ხარჯები, ამიტომ, აუცილებელია ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფუნქციების არსებითი ხასიათის ცვლილება და შესაბამისი თანამდებობრივი

ინსტრუქციების შეთავაზება. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზაციული სტრუქტურის და იქ დასაქმებულთა ფუნქციების ზედაპირული ანალიზიდანაც კი ჩანს (სავარაუდოდ, რეორგანიზაციის გამო, მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზაციული სტრუქტურა ამჟამად მთავრობის ვებგვერდიდან მოხსნილია), რომ შესაძლებელია სამსახურებისა და დასაქმებულთა ფუნქციების შეერთება-გამსხვილება, შერწყმა. ჩვენი აზრით, მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზაციული სტრუქტურის რადიკალური ცვლილებისა და არსებული მრავალრიცხოვანი პერსონალის საქმიანი თვისებების სათანადოდ შესწავლის, წამყვანი ბირთვის გამოკვეთის, დანარჩენის კი მაღალი კვალიფიკაციისა და დიდი გამოცდილების მქონე მცირე რაოდენობის ექსპერტებით ჩანაცვლების გარეშე, მთავარ მიზანს – ადმინისტრაციის ეფექტიანობის მკვეთრად ამაღლებასა და ხარჯების არსებით შემცირებას – ვერ მივაღწევთ;

9. ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფისა და საჯარო მოსამსახურეთა შემცირების საკითხი საქართველოს პარლამენტისთვისაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ამჟამად, საქართველოს პარლამენტში, სადაც 670 სპეციალისტია დასაქმებული, ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფისა და ადამიანური რესურსების შემცირების შესაძლებლობა არსებობს და ის გამოყენებულ უნდა იქნეს. კომპეტენტური ექსპერტებისგან შემდგარი ჯგუფი, ვფიქრობთ, შეძლებს საქართველოს პარლამენტის ახალი და უფრო მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებას, შიგა სტრუქტურული ერთეულების მიზნებისა და ამოცანების, დასაქმებულთა თანამდებობრივი ინსტრუქციების შესწავლის საფუძველზე ადამიანური რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავებას.

ჩვენი აზრით, შესაძლებელია გადაიხედოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის (რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა) არსებული სახით შენარჩუნების საკითხი, რომელიც დაუსაბუთებელი რეორგანიზაციების (2008 წელს და შემდეგაც) გამო გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდა. ჩამოყალიბებისას, საბიუჯეტო ოფისის მთავარ მიმართულებად განისაზღვრა მწვავე საფინანსო-საბიუჯეტო, ფულადსაკრედიტო, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე სრულფასოვანი კვლევების ჩატარება. პირველივე წლებში ოფისმა რამდენიმე სპეციალური თემა დაამუშავა (მაგალითად, „სავალუტო კრიზისი – ლარის დეველვაციის მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები“ (1999წ.), მოხსენება „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს განვითარების შესახებ“ (2000 წ.) და ა.შ.). ამჟამად, სხვადასხვა მიზეზით, ამგვარი თემები აღარ მუშავდება, რაც, ჩვენი აზრით, დაუშვებელია, რადგან, სწორედ ეს მიმართულება გამოარჩევდა მას საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატის საქმიანობისაგან.

საჯარო სამსახურის ოპტიმიზაციის ამოცანებიდან გამომდინარე, არსებული სახით საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შენარჩუნება მიზანშეწონილი არ უნდა იყოს და უნდა დადგეს მისი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატთან გაერთიანების საკითხი. მითუმეტეს, რომ აღნიშნულ კომიტეტს, ოფისთან შედარებით, ფისკალური საკითხების კვლევის ბევრად უფრო მდიდარი გამოცდილება აქვს;

10. ქვეყნის საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობა ბევრად იქნება დამოკიდებული აღნიშნული პროცესის მართვის საშუალო და ქვედა რგოლებში სწორად წარმართვაზე. ფუნქციების შესაძლო დუბლირებისა და პარალელიზმის აღმოფხვრის მიზნით, სისტემურადაა შესასწავლი აჭარისა და აფხაზეთის მთავრობების ადმინისტრაციების, მუნიციპალიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების აპარატების ორგანიზაციული სტრუქტურები და დასაქმებულთა თანამდებობრივი ინსტრუქციები. ამ მიმართულებით საკმაოდ მძიმე სამუშაო იქნება ჩასატარებელი ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, შინაგან საქმეთა და სხვა სამინისტროებში, საკრებულოებში, მერიებსა და გამგეობებში.

საქართველოს საჯარო სამსახურში ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფისა და ადამიანური რესურსების ოპტიმიზაციის პროცესი, რა თქმა უნდა, უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლის, შემცირებების გამო ადამიანები გამოთქვამენ პროტესტს, მოიმატებს სასამართლო დავებიც, მაგრამ თუ ეს საქმიანობა ობიექტურად და სამართლიანად წარიმართება, საზოგადოება მას გაგებით მოეკიდება. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ქვეყანას სჭირდება მცირე და ეფექტური საჯარო სამსახური, რომლის შენახვა ქვეყნის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად არ დაანება.

ლიტერატურა:

- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, თბ., 2015, 27 ოქტომბერი, №4346-ის.
- საქართველოს კანონი საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ, თბ., 2004, 11 თებერვალი, №3277-ის.
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულება, საქართველოს მთავრობის დადგენილება № 340, 2018 წლის 26 ივნისი.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულება, საქართველოს მთავრობის დადგენილება №473, 2018 წლის 14 სექტემბერი.
- საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო, I ნაწილი, თბ., 2013.
- საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო, II, III ნაწილი, თბ., 2014.
- რობერტ ბ. დენჰარტი, ჯენეტ ვ. დენჰარტი (2012) საჯარო მართვა, მოქმედების კურსი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკის მიმოხილვა საჯარო სამსახურში: ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო, თურქეთი, გერმანია, საქართველო, საჯარო სამსახურის ბიურო, თბ., 2013.
- ნ. პაიჭაძე (2018, №2) ადამიანური რესურსების მართვის მსოფლიო პრაქტიკა და ქართული სინამდვილე, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“ .
- მ. ტულუში, (1997, № 42) საბიუჯეტო ოფისი-სიახლე საპარლამენტო ცხოვრებაში, ჟურნ. „პარლამენტის უწყებანი“.

References:

- Saqartvelos kanoni sajaro samsaxuris shesaxeb [Law of Georgia “On Public Service,”] Tbilisi, October 27, 2015, # 4346-I. (in Georgian).
- Saqartvelos kanoni saqartvelos mtavrobis struqturis, uflabamosilebisa da saqmianobis cesebis shesaxeb [Law of Georgia “On Structure, Powers and Rules of Activities of the Government of Georgia], Tbilisi, February 11, 2004, # 3277-II. (in Georgian).
- Saqartvelos mtavrobis administraciis debuleba, saqartvelos mtavrobis dadgenileba [Regulation of the Administration of the Government of Georgia, Resolution of the Government of Georgia # 340], June 26, 2018. (in Georgian).
- Saqartvelos okupirebuli teritoriebidan devnilta, shromis, janmrtelebisa da socialuri dacvis saministros debuleba, saqartvelos mtavrobis dadgenileba [Regulation of the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labor, Health and Social Affairs of Georgia], Resolution # 473, September 14, 2018. (in Georgian).
- Sajaro dacesebulebebshi adamianuri resursebis martvis saxelmzgvanelo [Textbook of Human Resources Management in Public Institutions, Part I] Tb., 2013. (in Georgian).
- Textbook of Human Resources Management in Public Institutions, Part II, III, Tb, 2014;
- Robert B. Denhardt, Janet W. Denhardt (2012) Public Management, Action Course. Ilia State University.
- Adamianuri resursebis martvis praqtikis mimoxilva sajaro samsaxurshi: amerikis sheertebuli shtatebi, gaertianebuli samepo, turqeti, germania, saqartvelo. Sajaro samsaxuris biuro [Overview of Human Resources Management Practices in Public Service: United States, United Kingdom, Turkey, Germany, Georgia] Public Service Bureau, Tb., 2013. (in Georgian).
- N. Paichadze (2018, № 2). Adamianuri resursebis martvis msoplio praqtika da qartuli sinamdvile, jurn. “ekonomika da biznesi” [World Practice of Human Resources Management and Georgian Reality], Jour. “Economics and Business”. (in Georgian).
- M. Tugushi, (1997, № 42) sabiujeto m ofisi – siaxle saparlamento cxovrebashi [Budget Office - Innovation in Parliamentary Life], Journ. “Parliamentary Bulletin”.

Some Issues of Human Resource Management in Public Service of Georgia

Miron Tugushi

Associate Professor of

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

miron.tugushi@tsu.ge

For the provision of effective management of Human Resources in Public Service it is necessary to involve the specialists who will have deep theoretical knowledge and rich experience with high motivation and interest in these highly relevant activities.

On any level of Public Service, the principles of “prevailing public interest” should be respected most of all, which implies that the goals set before the public service must be achieved by the least cost of any resources. Maintaining public service should not be a great financial “burden” for the government budget.

It should be noted that the leadership of the Georgian government administration with the participation of foreign experts has developed and implemented the plan of actions for the reform of public governance for 2019-2020, but, unfortunately, the probably results of the above reform are not specifically defined in this plan, it is not shown how the current state of public service will be changed, particularly, in the field of human resource management.

At present, in the Georgian government administration there are employed 227 specialists. Accordingly, the costs of their job compensation (salary, additions, bonuses), office and other expenses makes a large sum upon the whole. Therefore, it is necessary to change the essential character of the organizational structure and functions and to provide relevant job instructions. The issue of improving the organizational structure and reducing the number of civil servants is not less important for the Parliament of Georgia as well. Currently, the Parliament of Georgia, which employs 670 specialists, has the potential possibility to improve organizational structure and optimize human resources and it should be used anyway.

During the establishment of the Budget Office of the Parliament of Georgia (which was created with the financial support of the United States Agency for International Development (USAID)), it was focused mainly on conducting the special studies on acute financial-budgetary, monetary-credit and socio-economic problems. At present, for various reasons, implementation of such topics are no longer elaborated, which, to our opinion, is unacceptable, because it was this very direction that distinguished it from the activities of the Office Finance and Budget Committee.

Due to the optimization tasks of the Public service, the maintenance of the budget office of the Parliament of Georgia in its current form should not be expedient and the question of joining its Finance and Budget Committee staff should be raised. Moreover, this committee has a greater experience in researching fiscal matters than the office.

The effectiveness of human resource management in public service of the country would be mostly depend on how well the middle and lower links (rows) of the process are being managed.

For the purpose to eliminate duplication of functions and not to allow parallelism, the organizational structures of the administrations, municipalities, ministries and departments of the Adjarian and Abkhazian governments and the staff’s instructions of the employees are to be systematically studied. There will be a lot of hard work to be performed in this direction in the Ministries of Finance, Economy and Sustainable Development, the Ministry of Internal Affairs and other ministries, councils, mayors and boards as well.

Therefore, in order to achieve the main goal provided by the above-mentioned plan in the whole system of the public service, it is necessary to make radical changes in the

organizational structure, to study properly the business properties of the multiple staff, to separate the leading core and to replace the rest with highly qualified and small-number experts. The group with the composition of competent experts could solve these tasks and may establish new more flexible organizational structures. On the basis of the goals and objectives of internal structural units and the study of employee position instructions it could be possible to develop recommendations for more effective use of human resources.

Keywords: Human resource management, public service, guidelines for human resource management in public institutions, human resource management models in the public sector, bureau of public service, law “about public service”

JEL Codes: M10, M12, O15

ქართველი სტუდენტების ციფრული კომპეტენცია

ამირან ბერძენიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
amiran.berdenishvili@tsu.ge

ნინო დურგლიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
nino_du@tsu.ge

ილონა გოგია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ilona.gogia761@sps.tsu.edu.ge

ნაშრომში განხილულია თანამედროვე ცოდნის საზოგადოებაში ადამიანის არსებობისა და ეფექტიანი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარი – კერძოდ, ციფრული კომპეტენცია, რაც ციფრული ტექნოლოგიების გამოსაყენებლად აუცილებელი ცოდნის, უნარების და დამოკიდებულების ერთობლიობაა. ტექნოლოგიების მეშვეობით ადამიანს უნდა შეეძლოს შემდეგი ოპერაციების შესრულება: პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია, ინფორმაციის მოძიება, კონტენტის შექმნა და გავრცელება. მსოფლიო ეკონომიკა, პოლიტიკა, ჯანდაცვა და სოციალური განვითარებაც კი მჭიდროდ არის დაკავშირებული ციფრულ ტექნოლოგიებსა და მის სათანადო გამოყენებასთან. ქართველ საზოგადოებაში ციფრული ტექნოლოგიები ძალიან სწრაფად იქცა მოქალაქეების ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად. მისი გამოყენებისთვის აუცილებელი უნარების შესწავლა თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში აქტუალური კვლევის საკითხია. ჩვენი მიზანია სწორედ ქართველ საზოგადოებაში სტუდენტების ციფრული კომპეტენციების შესწავლა.

საკვანძო სიტყვები: ციფრული კომპეტენცია, ციფრული წიგნიერება, ინფორმაციული საზოგადოება, სტუდენტები, ციფრული ტექნოლოგიები, ციფრული თაობა.

შესავალი

ინფორმაციულ-კომუნიკაციური რევოლუციის შედეგად რევოლუციამდე და მის შემდეგ დაბადებულ თაობებს შორის ერთგვარი უფსკრული გაჩნდა. კომუნიკაციის ენა, რომლითაც დღეს ახალი ეპოქის ახალგაზრდა და „წიგნიერი“

წარმომადგენელი ოპერირებს, ფრიად რთულია და თავისთავში ერთმანეთზე აქტიურად ურთიერთზემოქმედ ქვესისტემათა სიმრავლეს მოიცავს. ცხადია, რომ რაც უფრო გვიან იწყებს ადამიანი ახალი ენის შესწავლას, მისი დაუფლება მით უფრო უძნელდება. ყველაზე მონყვლადი სოციალური ჯგუფი ციფრული წიგნიერების დაუფლებაში 55 წლის და უფროსი ასაკის ადამიანები არიან. მათ ახალი ენისა და ტექნოლოგიების ათვისება არა მხოლოდ უძნელდებათ, არამედ ახალი ფასეულობების, ცხოვრების ახალი ხასიათის (ნესის) და ახალი კულტურის ათვისებაც უჭირთ (Castells, M. 2008).

ის, ვინც კომპიუტერული კომუნიკაციის ენას გაცნობიერებულად ზრდასრულ ასაკში დაეუფლა, „Digitally Literate“, ე.ი. ციფრული მიმართებით წიგნიერად ითვლება. ის კი, ვინც კომუნიკაციის ენა ბავშვობაში, ინტუიციურად აითვისა, „Digitally Savvy“, ე.ი. ციფრული ენის თავისუფლად მფლობელად იწოდება. დღეს მეცნიერები უკვე მესამე კატეგორიას გამოყოფენ - ესენი ის ბავშვებია, რომლებიც 2000-იანი წლების შუაში - Web 2.0-ის ერთდროულად გაჩნდნენ, და ციფრული მონყობილობები პირველ სათამაშოებთან ერთად აიღეს ხელში. ამ ბავშვებისთვის ციფრული ენა მშობლიური ხდება და მათ „Digitally native“-ს, ე.ი. ციფრული წიგნიერებით თანშობილ-დაბადებულ ადამიანებს უწოდებენ (Dijk j. 154).

ეს თაობა ჯერ ახალგაზრდაა და არაერთგვაროვანი, მაგრამ მანძილი მათსა და ჩვენს, ანუ იმ ადამიანებს შორის, რომლებიც მათ რამდენიმე წლის შემდეგ უნივერსიტეტებში შეხვდებიან ან უკვე სკოლებში ხვდებიან, არაჩვეულებრივად დიდია. საქმე ის კი არაა, რომ ჩვენ ციფრულ ტერმინებში კარგად ვერ ვაზროვნებთ, არამედ ის, რომ ციფრული წიგნიერება იმ სოციო-კულტურულ გარემოს განსაზღვრავს, რომელშიც ეს ბავშვები ცხოვრობენ და მათ შორის ჩვენც ვცხოვრობთ.

ევროკავშირის 2006 წლის რეკომენდაცია ციფრულ კომპეტენციას შემდეგნაირად განმარტავს: ციფრული კომპეტენცია მოიცავს სამსახურის, გართობისა და კომუნიკაციის მიზნით ინფორმაციის და ტექნოლოგიის კრიტიკულ და თავდაჯერებულ გამოყენებას, ასევე, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისათვის საჭირო ყველაზე ბაზისურ უნარებს, როგორცაა: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, შენახვა, წარმოება, პრეზენტაცია და გაცვლა. ასევე კომუნიკაცია და მონაწილეობა სოციალურ ქსელში (ევროკავშირის მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების კომპეტენციები, European Parliament and Council, 2006).

ევროსაბჭომ, 2010 წელს, სწავლების რვა ძირითადი კომპეტენცია შექმნა და მათ შორის ერთ-ერთი ციფრული კომპეტენციაა, რაც ცოდნის, უნარების და დამოკიდებულების ერთობლიობაა. ცოდნა - კომპიუტერული აპლიკაციების ფუნქციური შესაძლებლობების გამოყენებას, ინტერნეტსა და სოციალურ მედიაში კომუნიკაციასთან დაკავშირებული რისკების გაცნობიერებას, ინტერნეტისა და ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული ეთიკური და სამართლებრივი ნორმების ცოდნას ნიშნავს. უნარები კი - ინფორმაციის

მართვის უნარს გულისხმობს. ადამიანს, ვირტუალურისა და რეალურის ერთმანეთისგან განსხვავება, ასევე ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების კრიტიკულად და კრეატიულად გამოყენება უნდა შეეძლოს. დამოკიდებულებების ცნება ინფორმაციის მიმართ მოქალაქეთა მიერ კრიტიკულ და რეფლექსურ დამოკიდებულებას, ქსელით დაინტერესებას და ინტერნეტკომუნიკაციაში აქტიურ ჩართულობას გულისხმობს (Dijk j. 122).

საზოგადოებაში ICT-ის გამოყენება დღითიდღე უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება, რაც საზოგადოების გაციფრულების მაღალი ხარისხით არის გამოწვეული, ანუ ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკის დიდი ნაწილი ციფრულ კომპონენტს შეიცავს.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია სტუდენტების ციფრული კომპეტენციების, კერძოდ, იმ ცოდნისა და დამოკიდებულებების შესწავლა, რომლითაც ისინი ციფრული ტექნოლოგიებთან ურთიერთობის დროს ოპერირებენ.

რაოდენობრივი კვლევის მიზნის მისაღწევად დასახული იქნა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- ახალგაზრდების ციფრული კომპეტენციებში დონეების განსაზღვრა;
- ინტერნეტის და სოციალური ქსელების გამოყენების სიხშირე და მოტივაცია;
- მათი დამოკიდებულება ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების მიმართ;
- ყველაზე ხშირად გამოყენებადი კომპიუტერული პროგრამები და აპლიკაციები.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდებიდან ინტერვიუს მეთოდი გამოვიყენეთ, რის მეშვეობითაც შევისწავლეთ სტუდენტების დამოკიდებულებები. კვლევის საგანი მოცემული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების ციფრული წიგნიერება, მათი დამოკიდებულებები და ციფრული უნარებია.

კვლევის ობიექტი – სტუდენტები.

მოსალოდნელი შედეგები: სტუდენტების ციფრული წიგნიერების დონე დაბალია და ისინი ინტერნეტს ძირითადად გართობისა და სოციალური ქსელებით სარგებლობის მიზნით იყენებენ.

კვლევის ინსტრუმენტია კითხვარი, რომელიც დახურული, ნახევრად დახურული და ღია ტიპის კითხვებს მოიცავს.

შერჩევის მეთოდოლოგია – გენერალური ერთობლიობა: უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტუდენტები – 609 რესპონდენტი.

შერჩევის ბაზა: ერთიანი ეროვნული გამოცდების აბიტურიენტთა ცნობარი.

უნივერსიტეტების შერჩევა მიზნობრივი მეთოდით განხორციელდა და შემდეგი უმაღლესი სასწავლებლები შეირჩა:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
3. თავისუფალი უნივერსიტეტი;
4. კავკასიის უნივერსიტეტი;
5. საქართველოს საზოგადოებრივი საქმეთა ინსტიტუტი (GIPA);
6. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
7. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;
8. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
9. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი(გაუ);
10. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტის შიგნით რესპონდენტთა შესარჩევად გამოყენებული იქნა სტრატეგიკაციული შერჩევის მეთოდი. რესპონდენტები პროპორციულად არის გადანაწილებული უნივერსიტეტებისა და უნივერსიტეტში სპეციალობების მიხედვით. თუ სტრატაში პროპორციული განაწილებისას შერჩევის რაოდენობა ორზე ნაკლები აღმოჩნდა, შერჩეული იქნა ორი რესპონდენტი, შესაბამისად, დარღვეული პროპორციების აღდგენისთვის გამოყენებულ იქნა ნორმირებული ნონები.

მონაცემთა დამუშავება და ანალიზი

საველე სამუშაოების შემდეგ მოხდა კითხვარების კოდირება და ლოგიკურ – სისტემური ანალიზი განხორციელდა. კითხვარების SPSS-ში შეყვანის შემდეგ, მათი გადასვლის შეცდომების, შეყვანის შეცდომების და გამოტოვებული მონაცემებისაგან წმენდა განხორციელდა.

დაბოლოს, კვლევის მონაცემები უნივარიაციული და ბივარიაციული ანალიზის მეთოდებით დამუშავდა.


კვლევის მიმართულებები და შედეგები

ინტერნეტის გამოყენების სიხშირე

ინტერნეტის გამოყენების სიხშირის იდენტიფიცირება ტექნიკის საშუალებათა კონკრეტული სახეობების გათვალისწინებით განხორციელდა. სტატისტიკური ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ სმარტფონით ინტერნეტს მთელი დღის მანძილზე სტუდენტების 45.4%-ი იყენებს, დღეში 4-5 საათის მანძილზე – 27.3%-ი, დღეში ერთი საათი ან ნაკლები დროის განმავლობაში – 18.7%, კვირაში რამდენიმეჯერ სმარტფონით (მობილურით ინტერნეტს) 1.2% სარგებლობს, სმარტფონით ინტერნეტს სტუდენტთა თითქმის 3.6% არასოდეს იყენებს (იხ.გრაფიკი 1).

სმარტფონის მეშვეობით ინტერნეტის გამოყენების სიხშირე

გრაფიკი 1



ინტერნეტის მობილურით გამოყენება გენდერის ჭრილითაც საინტერესო სურათს იძლევა: ვინც სმარტფონით ინტერნეტით მთელი დღის მანძილზე სარგებლობდა, მდებდრობითი სქესის სტუდენტების 62%-ია, ხოლო მამრობითი სქესის – 38%. დღეში 4-5 საათის განმავლობაში ინტერნეტს მდებდრობითი სქესის 55.2% იყენებს, მაშინ როცა მამრობითი სქესის სტუდენტების მხოლოდ 44.8%, დღეში 2-3 საათის განმავლობაში მდებდრობითი სქესის 42.5% იყენებს, ხოლო მამრობითი სქესის – 57.5%. დღეში ერთი საათის, ან ნაკლები დროის მანძილზე ინტერნეტს სმარტფონით მდებდრობითი სქესის გამოკითხული სტუდენტების 31.8% იყენებს, მამრობითი სქესის კი – 68.2%. კვირაში რამდენიმეჯერ იყენებს მდებდრობითი სქესის 14.3%, ხოლო მამრობითი სქესის სტუდენტების 85.7%, კვირაში ერთხელ, ან უფრო იშვიათად – მხოლოდ გოგონები იყენებენ. სმარტფონით ინტერნეტს თითქმის არასოდეს იყენებს მდებდრობითი სქესის 22.7%, ხოლო მამრობითი სქესის სტუდენტების – 77.3%.


ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული აქტივობა

ციფრული წიგნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული აქტივობაა, რაც ციფრული კომპეტენციის დონის განსაზღვრაში გვეხმარება.

კითხვაზე, თუ რომელ აქტივობას ახორციელებთ ინტერნეტის მეშვეობით, რესპონდენტს მისთვის სასურველი ყველა აქტივობის დაფიქსირების საშუალება ჰქონდა. 92.4% კულტურულ-საგანმანათლებლო მასალისა და ინფორმაციის მოძიება-მუსიკა, ფილმები, ვიდეო და ა.შ., 82.2% ახალი ამბების მოძიება და გაცნობა, მათ შორის სოციალურ ქსელში. 64.4% – კომუნიკაცია ონლაინ აპლიკაციების გამოყენებით, 44.4% ახალი მეგობრების მოძიება სოციალურ ქსელში, 51.5% ინტერნეტის მეშვეობით ყველა ტიპის მასალის ლეგალურისა და არალეგალურის გადმოტვირთვა (ფილმები, ვიდეო, ფოტო, მუსიკა,

ელ.წიგნები, პროგრამები და ა.შ.), 35.1% – დისკუსიაში მონაწილეობა და სხვადასხვა საკითხზე კომენტარის გაკეთება, 84.4% – სწავლასთან დაკავშირებული მასალის მოძიება, 61.9% – საგანმანათლებლო კურსებითა და ვებგვერდებით სარგებლობა, 17.7% – საიტის, პროგრამებისა და აპლიკაციების შექმნა, 33.3% - შემოსავლის გზების ძიება, 18% – ვირტუალურ სამყაროში თამაშების და კომუნიკაცია, 40.7% - ონლაინ-შოპინგით (Online Shopping) სარგებლობა, 63.1% – ციფრული კონტენტის (ვიდეო, ფოტო, აუდიო, ბლოგის) შექმნას და განთავსებას ასახელებს (იხ.გრაფიკი 2).

ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული აქტივობის სიხშირე
გრაფიკი 2



ინტერნეტის სასწავლო მიზნით გამოყენებაზე სტუდენტების 95%-მა დადებითი პასუხი გასცა, ინტერნეტს სწავლისა და განათლების მიზნით მდებრობითი სქესის სტუდენტების 55.6%, ხოლო მამრობითი სქესის 44.4% იყენებს. იმ რესპონდენტებს შორის, ვინც არ იყენებს ინტერნეტს სწავლის მიზნით, 13.3% მდებრობითი სქესის, ხოლო 86.7% მამრობითი სქესის წარმომადგენელია. სასწავლო მიზნით ინტერნეტის გამოყენებაში შემდეგი აქტივობა მოიაზრება: სასწავლო მასალის ინტერნეტით მიღება და/ან გაგზავნა 75.6%-მა დაასახელა, შემეცნებითი ვიდეომასალის ყურება 67.8%-მა დააფიქსირა. პირდაპირი ვიდეო ტრანსლაციები ლექციებიდან ან პროფესორებთან 22.1%-მა დაასახელა, წყაროებს ინტერნეტის მეშვეობით გამოკითხულთა 71.6% მოიძიებს.


კომპიუტერისა და ინტერნეტის ეფექტიანი გამოყენების თვითშეფასება

ციფრული წიგნიერების ერთ-ერთი ინდიკატორი ცოდნა და დამოკიდებულებებია. სტუდენტებს ვთხოვეთ ცოდნის დონეს თვითშეფასება კომპიუტერისა და ინტერნეტის ეფექტიანი გამოყენების თავალსაზრისით, რითაც შემდეგი სურათი დაფიქსირდა: რესპონდენტები თავიანთი ცოდნის დონეს 5 – ქულიან სკალაზე აფასებდნენ, სადაც 5 მაქსიმალური ქულა იყო, ხოლო 1- მინიმალური. გამოკითხულთა 37.7% ოთხი ქულით აფასებს, 36.1% – კი 3 ქულით, 29% თავის ცოდნას 5 ქულით აფასებს, გამოკითხულთა 4.5% 2 ქულით აფასებს, ხოლო 2.3% გაუჭირდა თავისი ცოდნის დონის შეფასება.

ცოდნის დონის შეფასება გენდერის ჭრილით საინტერესო სურათს იძლევა, კერძოდ, მამრობითი სქესის სტუდენტების 57.8%, ხოლო მდედრობითი სქესის გამოკითხული სტუდენტების 42.6% თავის ცოდნას კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოყენების თვალსაზრისით, მაქსიმალურ 5 ქულაზე აფასებს. თავიანთ ცოდნას 4 ქულაზე მამრობითი - სქესის 45.5% და მდედრობითი სქესის სტუდენტების 54.8% აფასებს. 3 ქულაზე კი მამრობითი სქესის წარმომადგენლების 44.4% და მდედრობითი სქესის 55.5% აფასებს. იმ რესპონდენტებს შორის, ვინც თავის ცოდნას 2 ქულაზე აფასებს, 74.1% მდედრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო 25.9% კი მამრობითი სქესის. მდედრობითი სქესის სტუდენტების 42.6% და მამრობითი სქესის რესპონდენტების 57.4%-ს გაუჭირდა საკუთარი ცოდნის შეფასება (იხ. გრაფიკი 3).

ინტერნეტისა და კომპიუტერის ეფექტიანი გამოყენების თვითშეფასების პროცენტული განაწილება

გრაფიკი 3



ამ მონაცემებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მამრობითი სქესის წარმომადგენლები ინტერნეტის მიმართ მათი ცოდნის შეფასებაში უფრო თავდაჯერებულები არიან.

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოკითხული ათი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს შორის მათი ცოდნის დონეს მაქსიმალური ქულით, საქართველოს საზოგადოებრივი საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტების 37.5% და თავისუფალ უნივერსიტეტში გამოკითხული რესპონდენტების 36.8% აფასებს, ყველაზე დაბალ შეფასებას, ანუ ერთ ქულას რაც შეეხება, აქ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები 1.3%-ით ლიდერობენ.

უცხო ენის ცოდნის დონის შეფასებას შემდეგი მონაცემები იძლევა: ინგლისური ენის მცოდნეთა შორის 18.5% აფასებს თავის ცოდნას ინტერნეტის გამოყენების თვალსაზრისით მაქსიმალური 5 ქულით, 37.3% კი 4 ქულით, 37.1% 3 ქულით აფასებს, 44.4% ორი ქულით, ხოლო 2.4%-ს გაუჭირდა შეფასება.

რუსული ენის მცოდნე სტუდენტებს შორის 26.9% თავის ცოდნას, ინტერნეტის გამოყენების მიხედვით, 5 ქულით აფასებს, 50% – 4 ქულით, 19.2% - 3 ქულით, ხოლო 3.8% – 2 ქულით.

ევროკავშირი არამხოლოდ ქმნის და ამკვიდრებს განსაზღვრულ წესებს და მმართველობის სისტემას მის ფარგლებს შიგნით, არამედ ეს წესები და ინსტიტუტები საკუთარ საზღვრებს გარეთაც გააქვს (Börzel T. &, 2011). კვლევები, რომლებიც არანევერ ქვეყნებში, და მათ შორის, სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებში, ქვეყნისშიგა რეფორმებზე ევროკავშირის გავლენის შედეგებს ახანალიზებს, არც ისე ბევრია, მაგრამ არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, ეს გავლენა განისაზღვრება, ერთი მხრივ, ევროკავშირისგან მომდინარე, ზეეროვნულ დონეზე მოქმედი ძალებით, რაც ქვეყნისშიგა ტრანსფორმაციებში ევროკავშირის ჩართულობის მექანიზმებს მოიცავს, ხოლო მეორე მხრივ ყალიბდება სამეზობლო რეგიონის ამა თუ იმ ქვეყანაში ეროვნულ დონეზე მოქმედი ფაქტორებით, რომლებიც განსაზღვრავს ამ მექანიზმების მოქმედების საბოლოო შედეგს.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის განვერიანებულ და კანდიდატ ქვეყნებზე, ასევე, სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებზე, ევროკავშირის გავლენის საკითხები შესწავლილია გაფართოების, საზღვრებს გარეთ მმართველობის გატანის და ევროპეიზაციის კონტექსტში (Grabbe 2001, 2002); (Schimmelfennig and Sedelmeier 2004, 2006); (Börzel and Risse, 2004); (Lavenex 2004); (Lavenex and Schimmelfennig, 2006); (Timuş, 2007); (Gawrich et al, 2009); (Börzel, 2000), (Börzel, 2011).

ევროკავშირის გარე მმართველობის (external governance) კონტექსტში ვაჭრობასთან დაკავშირებული ინსტიტუტების ექსპორტი განუყოფლადა დაკავშირებული მიმღებ გარემოში მათ ინსტიტუციონალიზაციასთან. თავის მხრივ, ინსტიტუციონალიზაცია გულისხმობს ევროკავშირის კანონმდებლობის სამამულო ინსტიტუციებში ტრანსპოზიციას, სამამულო ინსტიტუციების ევროკავშირის წესების შესაბამისად გარდაქმნას, ან/და სამამულო პოლიტიკის ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად შეცვლას (Shimmelfennig & Sedelmeier, 2004). ამ პროცესის ეფექტურობა დამოკიდებულია ევროკავშირის მიერ განხორციელებულ მხარდაჭერაზე (ფინანსური, ტექნიკური, პოლიტიკური), გამოყენებულ სტიმულებზე (დადებითი და უარყოფითი შეპირობება), მოთხოვნების ჩამოყალიბებისა და მიწოდების მექანიზმებზე.

Lavenex (2004), Sedelmeier (2006; 2007) კვლევები აჩვენებს, რომ ევროკავშირის გარე მმართველობა სხვადასხვა ხარისხით სამეზობლო პოლიტიკის ყველა ქვეყანაზე ვრცელდება, თუმცა ამ ქვეყნებში ინსტიტუტების ექსპორტს შერჩევითი და გარკვეულწილად შეზღუდული ხასიათი აქვს. შეზღუდულობა გულისხმობს, რომ საბოლოოდ მას არ მოსდევს ინსტიტუტების იმპორტიორი ქვეყნის სრულფასოვანი წევრობა ევროკავშირში, არამედ წევრობის ალტერნატივას წარმოადგენს (Gawrich et al, 2009). მიუხედავად ამისა, საქართველოსთვის საქონლითა და წარმოების ფაქტორებით ვაჭრობის საშუალებით ევროპულ ბაზარზე გაზრდილი წვდომა და მასთან საბოლოო ინტეგრირება შეპირობების (conditionality) ძლიერი მექანიზმი და, შესაბამისად, შიდა რეფორმების გატარების სტიმულია.

სავაჭრო პოლიტიკის რეფორმის მამოძრავებელ ძირითად ძალებად კრიზისებს, ინტერესთა ჯგუფების ურთიერთქმედებას, იდეებსა და ინსტიტუტებს მიიჩნევენ. საქართველოს სავაჭრო პოლიტიკაზე ევროკავშირის გავლენის კონტექსტით ეს უკანასკნელი ორი ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. იდეების გავლენით ჩამოყალიბებული ზოგადი კლიმატი შესაძლოა, პოლიტიკის წარმატებული გატარების წინაპირობა იყოს. იდეური ერთიანობა ევროკავშირთან ხაზგასმულია საქართველოს არაერთ სტრატეგიულ დოკუმენტში. როგორც ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაშია აღნიშნული, საქართველოს ევროპული მისწრაფებები ეროვნული ღირებულებების ევროპულ ღირებულებებთან ერთიანობას ემყარება. შესაბამისი იდეების, სიმბოლოებისა და ინსტიტუტების გავრცელებით ეს ყოველდღიურ ცხოვრებაშია გამოხატული, რაც ევროპასთან საზღვრის, როგორც ბარიერის ფუნქციის დაძლევის ემსახურება (Jamagidze, 2016).

ევროკავშირი და საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის მიზნები

სავაჭრო პოლიტიკაში ასახვას ჰპოვებს თავისუფალი ბაზრისა და ლიბერალური დემოკრატიის ზოგადი პრინციპების და მათ საფუძველზე ჩამოყალიბებულ ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების მხარდაჭერა. საქარ-

თველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ძირითადი მიზნები, ვმო-ში წარდგენილი ოფიციალური სავაჭრო პოლიტიკის მიმოხილვის მიხედვით, არის: მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაცია, სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, მათ შორის საექსპორტ-საიმპორტო პროცედურების, სატარიფო და არასატარიფო რეგულირების გამარტივება; სავაჭრო კავშირების დივერსფიკაცია და პოლიტიკის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა (World Trade Organization, 2015).

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა ვაჭრობის ლიბერალიზაციის ზოგად პრინციპებს პასუხობს. ევროკავშირი დაინტერესებულია, რომ ეკონომიკურმა ინტეგრაციამ ფართო სახე მიიღოს. ამიტომ იგი საქართველოსთან თანამშრომლობის სანყისი ეტაპიდანვე ხელს უწყობდა ვაჭრობის ლიბერალიზაციას და რეგულირების გამარტივების მიზანს. საქართველო-ევროკავშირის შორის თანამშრომლობის ოფიციალური დოკუმენტებით ვმო-ს ჩარჩოთი განსაზღვრული ნორმების აღიარება და დაცულობის ხელშეწყობა ამ მიზნის მხარდაჭერის გამოხატულებაა. ვმო-ს მთელი რიგი მუხლები (მაგალითად, ეროვნული რეჟიმის) და მისი განმარტებითი ჩანაწერები წარმოადგენს ღრმა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

სავაჭრო პოლიტიკის რეფორმა მიმდინარეობდა მრავალმხრივი და პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებებით აღებული ვალდებულებების მიხედვით. როგორც ვმო-ს წევრმა, საქართველომ მნიშვნელოვნად დაბალ დონემდე შეამცირა ტარიფები და სხვა სავაჭრო შეზღუდვები. სამრეწველო საქონლის სატარიფო კატეგორიების 96.4% და სასოფლოსამეურნეო საქონლის სატარიფო კატეგორიების 41.8% თავისუფალია საბაჟო გადასახადისგან (ჰარმონიზებული სისტემის 6 ნიშნა დონეზე). ამდენად, საქართველოს საგარეო სავაჭრო რეჟიმი რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია.

ისეთი მნიშვნელოვანი რეფორმები, როგორებიცაა სავაჭრო ბარიერების შემცირება ექსპორტ-იმპორტის კვოტირების გაუქმებით (შენარჩუნდა მხოლოდ მეტად შეზღუდული ნომენკლატურის სპეციფიკურ საქონელზე ექსპორტის ან იმპორტის აკრძალვა), ლიცენზირების, საგარეო სავაჭრო კონტრაქტების რეგისტრაციის მოთხოვნის გაუქმება, აქციზური საქონლის ჩამონათვალისა და სააქციზო განაკვეთების შემცირება, საიმპორტო ტარიფების განაკვეთების შემცირება, ექსპორტზე საბაჟო გადასახადის გაუქმება და საკანონმდებლო ცვლილებები სამეწარმეო საქმიანობისა და ექსპორტ-იმპორტის ლიცენზირების, საგადასახადო სისტემის, სტანდარტიზაცია-სერტიფიკაციის, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ნორმების, სუბსიდიების, ინტელექტუალური საკუთრების ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტებისა და სხვა სფეროებში, ვმო-ს ჩარჩოს შესაბამისად გატარდა. მათი განხორციელების ხელშეწყობის და სხვა დამატებითი რეფორმების გატარების ვალდებულება აისახა ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაშიც (PCA), რომელიც ძალაში 1999 წელს შევიდა და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა. მისი III

ნაწილით, რომელიც საქონლით ვაჭრობას მოიცავს, გათვალისწინებული იყო მხარეების მიერ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ურთიერთმინიჭება, კვოტების გაუქმება, ინტელექტუალური (სამრეწველო და კომერციული) საკუთრების უფლებების დაცვის გაძლიერება და პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმის ამოქმედება. განსაზღვრული იყო, ასევე, რომ მხარეები გამოიყენებდნენ ვმო-ს წესებს საქონლის თავისუფალი ტრანზიტის, დემპინგისა და საექსპორტი სუბსიდიების არსებობის შემთხვევებში.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებითვე იყო გათვალისწინებული ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის ვაჭრობაში პრეფერენციების მინიჭება. 1999 წლიდან საქართველო გახდა პრეფერენციების განზოგადებული სისტემით (GSP) მოსარგებლე. პრეფერენციული სავაჭრო სქემით, საქართველოს შეეძლო ევროკავშირში გაეტანა 3,300 დასახელების პროდუქტი უბაჟოდ, ხოლო 6,900 დასახელების პროდუქტი – გარკვეული შეღავათებით. 2005 წლიდან ევროკავშირმა პრეფერენციების სქემა გააფართოვა (GSP+) და საქართველოს ნულოვანი ტარიფით 7200 დასახელების საქონლის ექსპორტის შესაძლებლობა მიანიჭა. მიუხედავად იმისა, რომ პრეფერენციების განზოგადებული სისტემამ ექსპორტის დევერსიფიკაციაზე გავლენა ვერ მოახდინა (CIESR, 2011). ის წარმოადგენდა ინსტრუმენტს, რომ საქართველოს გაეძლიერებინა საკუთარი პოზიცია ევროკავშირის ბაზარზე და მასთან ვაჭრობით მიეღო რეალური ეკონომიკური სარგებელი. აღსანიშნავია, რომ GSP და GSP+ არ შეეხებოდა მხოლოდ სავაჭრო ბარიერებს. ამ რეჟიმით სარგებლობისთვის საქართველოს ვალდებულეა იყო ადამიანის უფლებების, შრომის ძირითადი სტანდარტების, გარემოს დაცვის და „კარგი მმართველობის“ სფეროებში 27 ძირითადი საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება და ეფექტიანი განხორციელება. ეს მიუთითებს, რომ GSP და GSP+ სავაჭრო პოლიტიკას „კარგი მმართველობის“ დამკვიდრებისთვის ინსტიტუტების ექსპორტის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს და საბოლოოდ, სავაჭრო პრეფერენციების ამოქმედების საშუალებით, ევროკავშირის გავლენას ავრცელებს არა მხოლოდ საქართველოს სავაჭრო პოლიტიკაზე ვინრო გაგებით (ტარიფების მოხსნა, ბაზარზე შეღწევის გაიოლება), არამედ ევროკავშირის ბაზრებზე წვდომის სანაცვლოდ, მოიცავს ყველა იმ ინსტიტუციურ რეფორმას, რომლებმაც მმართველობის სტრუქტურები უნდა გარდაქმნას სამეზობლო რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამკვიდრების მიზნის შესაბამისად.

ამგვარად, პროგრესული ნორმატიული და საკანონმდებლო დაახლოება ევროკავშირის სავაჭრო ნორმებთან სულად პასუხობდა ვმო-ს მრავალმხრივი სავაჭრო სისტემით გათვალისწინებული **მეტი გამჭვირვალობის, პროგნოზირებადობის** და პროგრესული **ლიბერალიზაციის** მიზნებს. სექტორული მიმართულებით (საგარეო ვაჭრობა) საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა ავლენს შესაბამისობას ევროკავშირის მაკროდპოლიტიკის მიზნებთან, რაც რეფორმების ეფექტურობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ევროკავშირის გავლენა სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტებზე

სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტებზე გავლენის თვალსაზრისით DCFTA ყველაზე მნიშვნელოვანი შეთანხმებაა, რადგან მასში ინკორპორირებულია როგორც ეტაპობრივად უკვე მიღწეული პროგრესი სავაჭრო პოლიტიკის ჰარმონიზაციაში, ასევე, განსაზღვრულია სამომავლო ვალდებულებები რეფორმებისთვის. საქართველოს სავაჭრო პოლიტიკაზე ევროპული ინტეგრაციის გავლენის წყაროები ევროკავშირის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ინსტრუმენტებია, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA), ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP), ასოცირების შეთანხმება (AA) არა მარტო საქართველოს-ევროკავშირის მიერ ურთიერთმიმართებით გამოყენებულ სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტებს ადგენს, არამედ ვაჭრობასთან დაკავშირებულ ფართო ინსტიტუციურ რეფორმებს განსაზღვრავს.

DCFTA ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) სავაჭრო პოლიტიკასთან დაკავშირებული მთავარი კომპონენტია და მის მომზადებას, გაფორმებას და ამოქმედებას სიღრმისეული რეფორმები უძღვოდა წინ, კერძოდ: სატარიფო რეფორმა, საბაჟო სამსახურის რეფორმა და კორუფციის აღმოფხვრის ღონისძიებები, ბიზნესის ლიცენზირების სისტემის რეფორმა და ცვლილებები ფინანსური სექტორის რეგულირებაში. საქართველოს 2007 წელს მიღებული საბაჟო კოდექსი შესაბამისობაში იყო ევროკავშირის საბაჟო კოდექსთან ევროპული საბჭოს დეკრეტის No. 2913/92 და ევროკავშირის საბაჟო კოდექსის ამოქმედების დებულებებთან (დეკრეტი No. 2454/93), ასევე, დღეს DCFTA-ით გათვალისწინებულია ცვლილებები საქართველოს საბაჟო სისტემაში ევროკავშირში მოქმედი სისტემის მსგავსი **საბაჟო პროცედურების** დანერგვას და საქართველოსა და ევროკავშირის ბიზნესისთვის ერთნაირი საბაჟო რეგულირების გარემოს შექმნას გულისხმობს.

DCFTA-ის გაფორმებას უძღვოდა წინ სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგულირებისა და მეტროლოგიის სტრატეგიის შეიმუშავება, ასევე, საკანონმდებლო რეფორმებისა და ტექნიკური რეგულაციების დანერგვის პროგრამა. ევროკავშირმა გამოყო ოთხი პრიორიტეტული სფერო: სანიტარიული და ფიტოსანიტარიული წესები, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები, ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების უფლებები და კონკურენციის პოლიტიკა (Eurasia Partnership Foundation. 2014) ყველა მათგანისათვის საქართველომ, ევროკავშირის რეკომენდაციების შესაბამისად, შეიმუშავა სამოქმედო სტრატეგიები და განახორციელა საკანონმდებლო ცვლილებები. გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა **ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების (TBT)** სფეროში, სადაც საქართველოს პირდაპირ გადმოაქვს ევროკავშირის შესაბამისობის შეფასების ინსტიტუტები და კანონმდებლობაში ნერგავს ევროკავშირის დირექტივებით გათვალისწინებულ ძირითად დებულებებს პროდუქტების უსაფრთხოებისა და უვარგისი პროდუქტებისთვის გათ-

ვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2015). ევროკავშირთან დაახლოების კვალდაკვალ დაიწყო მუშაობა ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და ეტაპობრივად საქართველოს ექნება სრული წვდომა საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებზე.

საქართველო ახორციელებს ევროკავშირის დირექტივების ტრანსპოზიციას ეროვნული **ტექნიკური რეგულირების** სისტემაში. განისაზღვრა რვანლიანი პერიოდი ევროკავშირის 21 სექტორული დირექტივის დანერგვისათვის. მასთან ერთად, უნდა მოხდეს ე.წ. „ჰორიზონტალური დირექტივების“ მიღება, რომლებიც უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის მუშაობას არეგულირებს (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2015).

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ არასატარიფო ბარიერების სფეროში დანერგოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და ევროკავშირიდან მნიშვნელოვანი განსხვავებები თავიდან აიცილოს. ეს მიიღწევა ორი გზით: 1) ტექნიკური სტანდარტებისა და რეგულაციების ჰარმონიზაცია; 2) მათი ურთიერთალიარება. ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი იყო „პროდუქტის უსაფრთხოებისა და საქონლის თავისუფალი მოძრაობის შესახებ“ კოდექსის მიღება (2012), რომელიც აღიარებს ევროკავშირისა და OECD ქვეყნების ტექნიკური რეგულაციების ეკვივალენტურობას და ამ ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტირებული საქონელი აღარ საჭიროებს ტესტირებას და სერტიფიკაციას (European Commission, 2017). ევროკავშირთან დაახლოების სამთავრობო პროგრამის პრიორიტეტების შესაბამისად 2014 წელს საქართველოს სტანდარტად მიღებულ იქნა 1000-ზე მეტი, ხოლო 2015 წელს 1721 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი (EU Georgia Business Council, 2014). ამავდროულად, DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად, საქართველოს სტანდარტების რეესტრიდან ამოღებულ იქნა სტანდარტები, რომელთა ნაწილი ევროპული სტანდარტებს ეწინააღმდეგებოდა (EU Georgia Business Council, 2014).

მიუხედავად იმისა, რომ DCFTA-ით რეალიზებულია ოთხიდან სამი თავისუფლება (საქონელი, მომსახურება, კაპიტალი), მოხსნილია საბაჟო გადასახადები როგორც სამრეწველო, ასევე, სასოფლოსამეურნეო საქონელზე, შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობიდან სამი სახის გამონაკლისის უშვებს: ა) თავისუფალი ვაჭრობა ტარიფთან შერწყმული კვოტების პირობებში (tariff rate quotas); ბ) პროდუქტები, რომლებზეც ad valorem ტარიფები მოხსნილია, მაგრამ ექვემდებარება ბაზარზე შეღწევის ფიქსირებული ფასის გადახდას; გ) პროდუქტები, რომლებიც ექვემდებარება გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს (anti-circumvention mechanism). სრულფასოვანი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე არასატარიფო რეგულირების ინსტრუმენტების ჰარმონიზაციითაა შესაძლებელი, მაგრამ ტარიფებთან შედარებით, მათი ცვლილება ნელა მიმდინარეობს, შესაბამისად, სავაჭრო პოლიტიკის რეფორმა ჯერ კიდევ დაუსრულებელი პროცესია.


მომსახურებით ვაჭრობის 4 სექტორში საქართველოს ვალდებულებაა ნაბიჯ-ნაბიჯ (4-დან 8 წლამდე პერიოდის განმავლობაში) დაუახლოოს ეროვნული კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას. ეს სექტორებია: 1) საფოსტო და საკურიერო მომსახურება, 2) ტელეკომუნიკაციები, 3) ფინანსური მომსახურება და 4) საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტი. უფრო მოკლე ვადები განისაზღვრა ევროკავშირის 2 დირექტივასთან საკანონმდებლო დაახლოებისთვის – ფულის გათეთრება (2 წელი) და სატელეკომუნიკაციო მომსახურება (3 წელი) (European Commission, 2017, 14).

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მიმდინარეობისას, საქართველოში შედარებით გახანგრძლივდა რეფორმების პრაქტიკაში დანერგვა კონკურენციის პოლიტიკის, ინტელექტუალური საკუთრების უფლებებისა და სურსათის უვნებლობის სფეროებში. ეს ის ცალკეული სექტორული მიმართულებებია, სადაც სწრაფი ჰარმონიზაცია ადგილობრივი ეკონომიკური აგენტებს, შესაძლოა, კონკურენტულ უპირატესობას აკარგინებდეს და ზრდიდეს რეფორმის მიმართ წინააღმდეგობას. მხარდაჭერის ერთიანი ჩარჩოს (2017-2020) ფარგლებში საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების შესაბამისად არის დაკონკრეტებული ძირითადი სფეროები, რომელში თანამშრომლობითაც გამიზნულია ეკონომიკური კეთილდღეობის 20 კონკრეტული შედეგის მიღწევა 2020 წლისთვის. მათ შორის ვაჭრობის დივერსიფიკაცია და გაფართოება ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია. 2016 წლის შემდეგ საქართველოს ვაჭრობა ევროკავშირთან 6%-ით არის გაზრდილი, რაც ასოცირების ხელშეწყობის მქონე მოლდოვასა და უკრაინის ანალოგიურ მაჩვენებელზე ბევრად დაბალია, ამიტომ ახალი სავაჭრო შესაძლებლობების ათვისება უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ვაჭრობის გაიოლების ინდექსი (Enabling Trade Index) გვიჩვენებს კონკრეტულ ეკონომიკში ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის მდგომარეობას საქონლის საერთაშორისო ნაკადების თავისუფალი გადაადგილებისთვის [World Economic Forum, 2016a]. ეს ინდექსი აერთიანებს ცალკეულ მაჩვენებელს, რომლებიც შვიდ ჯგუფს ქმნის. 2010-2016 წლებში საქართველოს პოზიცია თანდათანობით უმჯობესდებოდა, შესაბამისად, 4,59-დან 4,80-მდე. ინდექსში შემავალი მაჩვენებლების ერთ-ერთი ჯგუფია ვაჭრობის ფუნქციონირების გარემო, რომელიც აფასებს ვაჭრობისთვის მნიშვნელოვან ძირითად ინსტიტუციურ ინდიკატორებს: საკუთრების უფლებები, საჯარო ინსტიტუტების ხარისხი და მიუკერძოებლობა, კონტრაქტების შესრულება, ფინანსებზე წვდომა, უცხოური კაპიტალისა და სამუშაო ძალის მიმართ ღიაობა და პირადი უსაფრთხოება (კრიმინალისა და ტერორიზმის გავრცელების მაჩვენებლები). ვაჭრობის ფუნქციონირების გარემოს მიხედვით, 2014-2016 წლებში საქართველოს პროგრესი ნაჩვენებია, როგორც 50-ე პოზიციიდან 33-ე პოზიციამდე დაწინაურება (4,46 ქულა 2014 წ. და 4.84 ქულა 2016 წ.). საქართველო წარმოდგენილია იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც ვაჭრობის გაიოლების მხრივ განსაკუთრებით სწრაფი გაუმჯობესება აქვთ და ის თანდათანობით ათანაბრებს განსხვავებას ევროპის ქვეყნებთან.

ამ მაჩვენებლებთან ერთად, ევროკავშირთან ინსტიტუციური დაახლოების ხარისხის შეფასებისთვის ვიყენებთ სასაქონლო ბაზრების ეფექტიანობის ინდიკატორებს: ადგილობრივი კონკურენციის ხარისხი, საბაზრო ძალაუფლება, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა, სასოფლოსამეურნეო პოლიტიკის განხორციელების ხარჯები, სავაჭრო ბარიერების გავრცელება, პირდაპირი ინვესტიციების სიდიდის ბიზნესზე გავლენა, მომხმარებლის ორიენტაცია და მყიდველის კულტურა (World Economic Forum, 2016b). ამის მიხედვით გამოთვლილია ინსტიტუციური დაშორება საქართველოსა და ევროკავშირის ცალკეულ ქვეყანას შორის, რისთვისაც გამოყენებულია Kogut & Singh მოდიფიცირებული ინდექსი ინსტიტუციური ცვლადების გათვალისწინებით¹ (Kogut & Singh, 1988).

ინსტიტუციური დაშორება საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის საქონლის ბაზრების ეფექტიანობის მაჩვენებლების მიხედვით, 2006-2016

ნახაზი 1



წყარო: ავტორის გაანგარიშებები მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემების მიხედვით, 2006-2016.


როგორც დიაგრამაზეა ნაჩვენები, 2016 წლისთვის ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობასთან საქართველოს ინსტიტუციური დაშორება შემცირებულია 2006 წლის მდგომარეობასთან შედარებით. რასაკვირველია, გასათვალისწინებელია, რომ თვითონ ევროკავშირის ქვეყნებს შორის ინსტიტუციური გარემოს განსხვავებები არსებობს, მაგრამ დინამიკაში საქართველოსა და მათ

¹ სადაც ID_j არის ინსტიტუციური დაშორება საქართველოსა და ევროკავშირის შესაბამის ქვეყანას შორის; I_{ij} სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობის შესაბამისი მაჩვენებელი საქართველოსთვის, I_{ik} - სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობის შესაბამისი მაჩვენებელი პარტნიორი ქვეყნისთვის, VI - დისპერსია.

შორის ინსტიტუციური დაშორების კლება მიგვანიშნებს თანმიმდევრულ და-ახლოებაზე. 2007-2017 წლების განმავლობაში საქართველო საშუალოდ ყოველწლიურად 1.37%-ით აუმჯობესებდა სასაქონლო ბაზრების ეფექტიანობის მაჩვენებელს. აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ხორვატიას ჰქონდა ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საშუალოდ -0.12% (World Economic Forum, 2018), შესაბამისად, ამ ქვეყანასთან დაშორება გაზრდილია. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, სადაც ინსტიტუციური მანძილი შედარებით გაზრდილია, მათთან საქართველო კარგადაა ინტეგრირებული სავაჭრო ნაკადების თვალსაზრისით. მაგალითად, 2017 წელს ბულგარეთი და რუმინეთი, შესაბამისად, საქართველოს ექსპორტში 7.5%-ს და 3,8%-ს იკავებდნენ, ხოლო იტალია – 2.8%-ს. 2016 წლიდან საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში თანმიმდევრულად იზრდება, ხოლო 2009 წლის დონესთან შედარებით ის 3-ჯერ არის გაზრდილი.

ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის დინამიკა (ათასი აშშ დოლარი)

ნახაზი 2



წყარო: International Trade Centre www.trademap.org

საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრის (ITC) მონაცემებით, 2018 წელს საქართველოს უდიდესი საექსპორტო პარტნიორების ხუთეული ევროკავშირში ამგვარი იყო: ბულგარეთი (258 870 ათასი აშშ დოლარი), ესპანეთი (61 822 ათასი აშშ დოლარი), რუმინეთი (57 829 ათასი აშშ დოლარი), გერმანია (51 418 ათასი აშშ დოლარი) და ნიდერლანდები (46 327 ათასი აშშ დოლარი). ყველაზე მცირე ექსპორტი შვედეთთან, ფინეთთან და პორტუგალიასთან დაფიქსირდა. 2017 წელს კი პირველ ხუთ პოზიციას ბულგარეთი, რუმინეთი, იტალია, ესპანეთი და გერმანია იკავებდნენ.

ღრმა სავაჭრო ინტეგრაციის ფარგლებში ინსტიტუციური ჰარმონიზაციის უპირატესობებით შეუძლიათ ისარგებლონ საერთაშორისო სანარმოო ქსელებში აქტიურად ჩართულმა ფირმებმა. საქართველოს სჭირდება დამატებითი ღონისძიებები ევროკავშირის ქვეყნებთან ორმხრივ დონეზე ეკონომიკური კავშირების ინტენსიფიკაციისა და ექსპორტის ეფექტიანობის ზრდისთვის. ის უნდა განვითარდეს არამხოლოდ საქონლით ვაჭრობის, არამედ მომსახურებით

ვაჭრობის, ინტელექტუალური საკუთრებისა და ინვესტიციების მიმართულებით.

სავაჭრო პოლიტიკის გამტარებლების როლი

სავაჭრო პოლიტიკის გაანალიზება მისი მიზნების, ინსტრუმენტებისა და გამტარებლების როლის გათვალისწინებას საჭიროებს (Gvelessiani & Gogorishvili, 2012). საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის ევროკავშირთან ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად ჩართული არიან როგორც აღმასრულებელი, ასევე, საკანონმდებლო და სასამართლო შტოები. გარდა ამისა, არასამთავრობო აგენტები, როგორცაა ბიზნესასოციაციები და გაერთიანებები, ასევე, კვლევითი ორგანიზაციები სხვადასხვა ფორმით მონაწილეობენ DCFTA-ის სამოქმედო გეგმის შესრულებაში. ყველა სამინისტროში ფუნქციონირებს ევროკავშირთან დაახლოებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები. 2015 წლის იანვრიდან სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა ევროინტეგრაციის დეპარტამენტი, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის მარეგულირებელი ნორმების ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების კოორდინაციას სამინისტროს დეპარტამენტებსა და დაქვემდებარებულ უწყებებს შორის, ასევე, მონაწილეობს ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის მიზნით სამთავრობო ღონისძიებებში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სურსათის ეროვნული სააგენტო სარგებლობენ ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის (CIB) მხარდაჭერით სამი ძირითადი მიმართულებით: სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და ფიტოსანიტარია. იგი მიზნად ისახავს პარტნიორი ქვეყნების ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერებას. 2011-2013 წლებისთვის CIB-ით საქართველოსთვის გათვალისწინებული ბიუჯეტი 30.86 მილიონ ევროს შეადგენდა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2015).

შემოსავლების სამსახური და სურსათის ეროვნული სააგენტო ერთობლივად მუშაობენ ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის ღონისძიებების მონესრიგებისთვის. ჯანდაცვის სამინისტროში მოქმედმა ჯგუფმა, შემოსავლების სამსახურის და სურსათის ეროვნული სააგენტოს მონაწილეობით, შეიმუშავა სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესები და ნორმები.

ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის ინსტიტუტებს წარმოადგენენ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM), საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი და ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, რომელიც ბაზარზე ზედამხედველობას ახორციელებს სამშენებლო და სამრეწველო სექტორებში. ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, შეიმუშავებულ იქნა ტექნიკური დახმარების პროგრამის განხორციელების გეგმა (ToR) ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის ხარვეზებისა და

საჭიროებების შესაფასებლად და გასაუმჯობესებლად. პროგრამის განსახორციელებლად ევროკავშირის მიერ გამოყოფილია 250 000 ევრო.

საქართველოს პარლამენტი ახორციელებს ევროკავშირთან ჰარმონიზაციის პროცესის საკანონმდებლო, საინფორმაციო და ტექნიკურ მხარდაჭერას, ასევე, ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს.

სავაჭრო პოლიტიკის გამტარებლების როლი არამხოლოდ რეფორმის წარმართვაში, არამედ იმ რისკების მართვაში მონაწილეობაა, რასაც ინსტიტუტების იმპორტი უკავშირდება. ტიპური პრობლემები შეიძლება იყოს ინსტიტუტების სწრაფად გადმოტანის მცდელობისა დაშვებული შეცდომები, ადგილობრივი ინტერესთა ჯგუფების წინააღმდეგობის გამო რეფორმის გაჭიანურება ან შეწყვეტა.

დასკვნა

საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების სფეროში გატარებული რეფორმები ევროკავშირის საზღვრებს გარეთ კარგი მმართველობის მოდელის გატანის პროცესის ნაწილია. ის ინსტიტუტების იმპორტის გზით ხორციელდება და კვლავაც გრძელდება. ზოგიერთ შემთხვევაში ის გულისხმობს საერთაშორისო დონეზე დადგენილი ნორმების ურთიერთვაჭრობაში აღიარებას – ვმო-ის მთელი რიგი მუხლები წარმოადგენს ღრმა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს. კიდევ ერთი სტრატეგიაა ურთიერთმსგავსი ინსტიტუტებისა და პროცედურების დანერგვა (მაგალითად, როგორც საბაჟო რეგულირების სფეროში განხორციელდა), ზოგჯერ ხდება ნორმებისა და მოთხოვნების პირდაპირი გადმოტანა (ტექნიკური ბარიერების სფეროში), ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება თანდათანობით ჰარმონიზაციას (მომსახურებით ვაჭრობა).

საქართველოს ვაჭრობის გაიოლების ინდექსი თანმიმდევრულად უმჯობესდება, ხოლო საქონლის ბაზრების ეფექტიანობის ინდექსის საფუძველზე გაანგარიშებული ინსტიტუციური დაშორების კლება გვიჩვენებს, რომ საქართველოსა და ევროკავშირის ვაჭრობის მარეგულირებელი გარემოს დაახლოება მოხდა, რაც მოქმედი ეკონომიკური აგენტებისთვის ნაკლებ ტრანზაქციურ ხარჯებს ნიშნავს; მიუხედავად ამისა, ინსტიტუციური სიახლოვე, როგორც ჩანს, არასაკმარისი პირობაა ვაჭრობის კიდევ უფრო გაფართოებისა და დივერსიფიკაციისთვის. შესაბამისად, მომავალი წლების სამოქმედო გეგმის დღის წესრიგში რჩება საექსპორტო სტრუქტურის დივერსიფიკაცია და ევროკავშირის ბაზარზე ახალი საექსპორტო შესაძლებლობების ათვისება.

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის ევროკავშირთან ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად მუშაობენ როგორც აღმასრულებელი, ასევე, საკანონმდებლო და სასამართლო შტოები. სავაჭრო პოლიტიკის გამტარებლების როლი არამხოლოდ სამოქმედო გეგმის შესაბამისად რეფორმის წარმართვაში, არა-

მედ იმ რისკების მართვაში მონაწილეობაა, რასაც ინსტიტუტების იმპორტი უკავშირდება. ტიპური პრობლემები შეიძლება ინსტიტუტების სწრაფად გადმოტანის მცდელობისას დაშვებულ შეცდომებს ან ადგილობრივი ინტერესთა ჯგუფების წინააღმდეგობის გამო რეფორმის გაჭიანურებას უკავშირდებოდეს.

ლიტერატურა:

- გველესიანი რ., გოგორიშვილი, ი. (2012). ეკონომიკური პოლიტიკა. სახელმძღვანელო, თსუ გამომცემლობა.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2014). ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის 2014 წლის ანგარიში.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2015). ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის 2015 წლის ანგარიში.
- Börzel, T. A., Risse Th. (2004). One Size Fits All! EU Policies for the Promotion of Human Rights, Democracy and Rule of Law. Paper read at Workshop on Democracy Promotion, at Stanford University.
- Börzel, T., van Hüllen, V. (2011). Good Governance and Bad Neighbors? The Limits of the Transformative Power of Europe. KFG Working Paper Series, No. 35, December 2011, Kolleg-Forschergruppe (KFG) “The Transformative Power of Europe“, Freie Universität Berlin.
- Börzel, Tanja A. and Risse, Thomas. (2000). When Europe Hits Home: Europeanization and Domestic Change European Integration online Papers (EIoP) Vol. 4 N°15; <http://eiop.or.at/eiop/texte/2000-015a.htm>
- Eastern Partnership and Socio-Economic Policy of Georgia. (2011). CIESR, CEPR, OSGF https://www.osgf.ge/files/publications/EaP_CIESR-En_1.pdf
- Eurasia Partnership Foundation. (2014). Alternative Assessment Report Implementation of the ENP Action Plan and EaP Bilateral and multilateral roadmaps of 2013: Trade and trade-related issues (Report Summary).
- European Commission. (2017). Georgia Association Implementation Report, Brussels.
- EU-Georgia Business Council. (2014). Technical Barriers to Trade. http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/dcfta_eugbc/tbt_publication_en.pdf
- Gawrich, A., Melnykovska, I., Schweickert, R. Neighbourhood Europeanization through ENP: The Case of Ukraine. Journal of common Market Studies, Volume 48, Number 5, pp. 1209-1235.
- Grabbe H. (2002). Europeanisation Goes East: Power and Uncertainty in the EU Accession Process. Paper for the ECPR Joint Sessions of Workshops, Turin, 22-27 March.
- Grabbe H. (2001). How does Europeanization affect CEE governance? Conditionality, Diffusion and Diversity. Journal of European Public Policy, Vol. 8, Issue 6.
- Jamagidze L. (2016). Borders and Economic Integration Preferences: The Case of Georgia. Ecoforum Journal, Vol. 5, pp. 19-28.

- Kogut, B. H., Singh. (1988). The Effect of National Culture on the Choice of Entry Mode. *Journal of International Business Studies*, 19, 81-93.
- Lavenex, S. (2004). EU External Governance in ‘Wider Europe’. *Journal of European Public Policy* 11 (4):680-700.
- Lavenex, S., Schimmelfennig F. (2006). Relations with the Wider Europe. *Journal of Common Market Studies* 44 (1):137-154.
- Martin, L., & Kim, S. (2015). Deep Integration and Regional Trade Agreements. In *The Oxford Handbook of the Political Economy of International Trade*. : Oxford University Press.
- Neighbourhood at the crossroads – taking stock of a year of challenges. http://europa.eu/rapid/press-release_ip-14-315_en.htm
- Papachashvili N., Jamagidze L. (2014). Import of Institutions and Economic Value Transformation: The Interactions among Economic Agents in Georgia. Maastricht School of Management Working Paper,
- <http://web2.msm.nl/repec/msm/wpaper/msm-wp2014-30.pdf>
- Rodrik, D. (2000). Trade Policy Reform as Institutional Reform. IDB Publications (Working Papers).
- Rodrik, D. (2002). Trade Policy Reform as Institutional Reform. In P. a. Hoekman, Development, Trade, and the WTO: A Handbook. Washington DC: World Bank.
- Schimmelfennig F., Sedelmeier U. (2004) Governance by conditionality: EU rule transfer to the candidate countries of Central and Eastern Europe, *Journal of European Public Policy*, 11:4, 661-679.
- Schimmelfennig F., Sedelmeier U. (2006). Candidate Countries and Conditionality. In *Europeanization: New Research Agendas*, edited by P. Graziano and M. P. Vink. Basingstoke [England]; New York: Palgrave Macmillan.
- Schimmelfennig, F. (2015). Europeanization beyond Europe. *Living Reviews in European Governance*, Vol. 10, (2015), N1.
- Sedelmeier, U. (2006). Europeanisation in New Member and Candidate States. *Living Reviews in European Governance*, 1 (3). ISSN 1813-856X.
- Sedelmeier, U. (2007). The European Neighborhood Policy: A Comment on Theory and Policy. In: Weber, Katja and Smith, Michael E. and Baun, Michael, (eds.) *Governing Europe’s Neighbourhood: Partners or Periphery? Europe in Change*. Manchester University Press, Manchester, UK. 195-208. ISBN 9780719076015.
- Timuş, N., (2007). The Influence of European Integration Process outside EU Borders, Central European University, Budapest GARNET Working Paper: No 27/07
- World Economic Forum. (2016a). Enabling Trade Report.
- World Economic Forum. (2016b). Global Competitiveness Report.
- World Trade Organization. (2015). Trade Policy Review. Retrieved from https://www.wto.org/english/tratop_e/tp_r_e/g328_e.pdf

References:

- Börzel T. A., Risse Th. (2004). One Size Fits All! EU Policies for the Promotion of Human Rights, Democracy and Rule of Law. Paper read at Workshop on Democracy Promotion, at Stanford University.

- Börzel, T., Van Hüllen, V. (2011). Good Governance and Bad Neighbors? The Limits of the Transformative Power of Europe. KFG Working Paper Series, No. 35, December 2011, Kolleg-Forschergruppe (KFG) “The Transformative Power of Europe“. Freie Universität Berlin.
- Börzel Tanja A. Risse Th. (2000). When Europe Hits Home: Europeanization and Domestic Change European Integration online Papers (EIoP) Vol. 4 N°15; <http://eiop.or.at/eiop/texte/2000-015a.htm>
- Eastern Partnership and Socio-Economic Policy of Georgia. (2011). CIESR, CEPR, OSGF https://www.osgf.ge/files/publications/EaP_CIESR-En_1.pdf
- Eurasia Partnership Foundation. (2014). Alternative Assessment Report Implementation of the ENP Action Plan and EaP Bilateral and multilateral roadmaps of 2013: Trade and trade-related issues (Report Summary).
- European Commission (2017). Georgia Association Implementation Report, Brussels.
- EU-Georgia Business council. (2014). Technical Barriers to Trade. http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/dcfta_eugbc/tbt_publication_en.pdf
- Gawrich A., Melnykovsk, I., Schweickert R. Neighbourhood Europeanization through ENP: The Case of Ukraine. Journal of common Market Studies, Volume 48, Number 5, pp. 1209-1235.
- Grabbe H. (2002). Europeanisation Goes East: Power and Uncertainty in the EU Accession Process. Paper for the ECPR Joint Sessions of Workshops, Turin, 22-27 March.
- Grabbe H. (2001). How does Europeanization affect CEE governance? Conditionality, Diffusion and Diversity. Journal of European Public Policy, Vol. 8, Issue 6.
- Gvelessiani, R., Gogorishvili I. (2012). “Ekonomikuri politika.” TSU gamomcemloba. [Economic Policy]. Textbook. Tbilisi State University Publishing (in Georgian).
- Jamagidze L. (2016). Borders and Economic Integration Preferences: The Case of Georgia. Ecoforum Journal, Vol. 5, pp. 19-28.
- Kogut B. H., Singh. (1988). The Effect of National Culture on the Choice of Entry Mode. Journal of International Business Studies, 19, 81-93.
- Lavenex S. (2004). EU External Governance in ‘Wider Europe’ Journal of European Public Policy 11 (4) p.680-700.
- Lavenex S., Schimmelfennig F. (2006). Relations with the Wider Europe. Journal of Common Market Studies 44 (1):137-154.
- Martin L., & Kim, S. (2015). Deep Integration and Regional Trade Agreements. In The Oxford Handbook of the Political Economy of International Trade. Oxford University Press.
- Neighbourhood at the crossroads – taking stock of a year of challenges. http://europa.eu/rapid/press-release_ip-14-315en.htm
- Papachashvili N., Jamagidze L. (2014). Import of Institutions and Economic Value Transformation: The Interactions among Economic Agents in Georgia. Maastricht School of Management Working Paper, <http://web2.msm.nl/repec/msm/wpaper/msm-wp2014-30.pdf>
- Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2014). Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA) Action Plan 2014-2017 Implementation Report for 2014.
- Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. (2015). Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA) Action Plan 2014-2017 Implementation Report for 2015.
- Rodrik D. (2000). Trade Policy Reform as Institutional Reform. IDB Publications (Working Papers).

- Rodrik D. (2002). Trade Policy Reform as Institutional Reform. In P. a. Hoekman, Development, Trade, and the WTO: A Handbook. Washington DC: World Bank.
- Schimmelfennig F., Sedelmeier U. (2004) Governance by conditionality: EU rule transfer to the candidate countries of Central and Eastern Europe, *Journal of European Public Policy*, 11:4, 661-679.
- Schimmelfennig F., Sedelmeier U. (2006). Candidate Countries and Conditionality. In *Europeanization: New Research Agendas*, edited by P. Graziano and M. P. Vink. Basingstoke [England]; New York: Palgrave Macmillan.
- Schimmelfennig F. (2015). Europeanization beyond Europe. *Living Reviews in European Governance*, Vol. 10, (2015), No. 1
- Sedelmeier U. (2006). Europeanisation in New Member and Candidate States. *Living Reviews in European Governance*, 1 (3). ISSN 1813-856X.
- Sedelmeier U. (2007). The European Neighborhood Policy: A Comment on Theory and Policy. In: Weber, Katja and Smith, Michael E. and Baun, Michael, (eds.) *Governing Europe's Neighborhood: Partners or Periphery? Europe in Change*. Manchester University Press, Manchester, UK, 195-208. ISBN 9780719076015.
- Timuş N., (2007). The Influence of European Integration Process outside EU Borders. Central European University, Budapest GARNET Working Paper: No 27/07.
- World Economic Forum. (2016a). Enabling Trade Report.
- World Economic Forum. (2016b). Global Competitiveness Report.
- World Trade Organization. (2015, November). Trade Policy Review. Retrieved from [Https://www.wto.org/english/tratop_e/tpr_e/g328e.pdf](https://www.wto.org/english/tratop_e/tpr_e/g328e.pdf)

Institution Importation in Georgia-EU Trade Relations

Lela Jamagidze

Assistant Professor of

lv. Javakhsivili Tbilisi State University

lela.jamagidze@tsu.ge

The goal of the present paper is to discuss import of trade related institutions from EU into Georgia. The role of EU as an exporter of its policies and norms out of its external borders and, hence, an important source of changes in the trade environment of Georgia is discussed in Europeanization and EU's external governance context (studied by Schimmelfennig & Sedelmeier (2006), Lavenex (2004), Borzel (2011), etc). The focus is on trade policy reforms and the instruments applied to facilitate Georgia's institutional harmonization with EU.

The reforms are analyzed since the start of bi-lateral cooperation, from PCAs to the conclusion of the Association Agreement. Exported trade-related institutions are based on general EU principles of democracy, peace and stability and aim at greater market

integration with Georgia. EU as an external stimulator of changes on the one hand and costly and difficult steps undertaken by Georgia on the other, determine the progress in reforms. The influence of EU can be twofold: harmonization as a reduction of information asymmetries that opens more trade opportunities and reforms as reasons behind greater investment needs and hence, additional costs for business agents.

To assess the progress in trade-related institutional reforms we refer to the indicators of Trade Enabling Index by World Economic Forum which measures the extent to which economies have in place institutions, policies, infrastructures and services facilitating the free flow of goods over borders and to their destination. As a composite indicator, the ETI consists of an aggregation of individual indicators measuring various trade-enabling factors organized into seven pillars.

Additionally to evaluate the degree of approximation we discuss institutions related to trade in goods. We take goods market efficiency institutions from World Economic Forum and calculate institutional distances between Georgia and EU countries. Georgia's ETI score has been gradually improved. In addition to it, distance calculated according to goods market efficiency indicators has fallen between Georgia and the majority of EU countries between 2006 and 2016.

Evidently, trade policy reforms in Georgia has been part of broader institutional reforms and the EU has had effect on the instruments and agents of trade policy. As a result differences in the regulatory environment of trade between EU and Georgia have been reduced and trade policy instruments harmonized. Implementation of trade policy reforms is still going on through institution importation. It sometimes involves mutual recognition and adoption of international norms (such as incorporation of WTO articles into DCFTA). Other strategies are adoption of similar norms (as it has taken place in customs procedure reforms), direct transfer of rules and requirements and/or step by step harmonization (as it has taken place in services trade).

The role of trade policy making agencies should be not only involvement in fulfilment of DCFTA obligations, but also management of the possible risks that arise during institution importation. They involve mistakes made in a attempt to implement changes in a short period of time and dragging on reforms as a result of interest group activities.

Keywords: Import of institutions, trade policy, institutional approximation, Georgia, EU

JEL Codes: F10, F13, F42

ხ ს ო ზ ნ ა ნ ა თ ე ლ ი THE BRIGHT MEMORY



პროფესორი ნოდარ ხადური

ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობების საუკეთესო პერიოდში – 49 ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, პროფესორი ნოდარ ხადური.

ნოდარ ხადური დაიბადა 1970 წლის 29 აგვისტოს, ქალაქ თბილისში. 1996 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი; 1999 წელს – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურა.

2002 წელს – აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ხელმძღვანელობით, დაიცვა სამეცნიერო ხარისხი თემაზე – „მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში (საქართველოს მაგალითზე)“.

პროფესორი ნოდარ ხადური წლების განმავლობაში ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. 1999 წლიდან კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელია; 2004-2005 წწ. იყო ამავე უნივერსიტეტის ეკონომიკის

ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, 2006 წელს აირჩეულ იქნა თსუ-ის პროფესორად და მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელად. ამავდროულად ეკონომიკის საბაკალავრო, სამაგისტრო და ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელიც იყო. ამ ფრიად საპასუხისმგებლო და საპატიო მისიას იგი ასრულებდა სიცოცხლის ბოლომდე და მთელი ამ ხნის განმავლობაში სტუდენტებისა და კოლეგების უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ძალზე მრავალმხრივია პროფესორ ნოდარ ხადურის მოღვაწეობა სახელმწიფო თუ სამეურნეო სტრუქტურებში: 1996-1997 წწ. იყო საქართველოს ეკონომიკის მინისტრის თანაშემწე; 1997-1998 წწ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მრჩეველი, აპარატის უფროსი, შიდა ქართლის სამხარეო-საფინანსო ადმინისტრაციის უფროსი; 1999-2000 წწ. საქართველოს ეკონომიკის მინისტრის აპარატის უფროსი; 2003-2004 წწ. საქართველოს პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის აპარატის უფროსი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე და საპარლამენტო მდივანი; 2004-2008 წლებში ნოდარ ხადური იყო გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ეროვნული კონსულტანტი.

2011 წლიდან პროფესორი ნოდარ ხადური პარტია – „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრია, ხოლო 2013 წლიდან აირჩიეს „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს წევრად; 2012 წელს იგი არჩეული იქნა საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრად. 2012-2016 წლებში ნოდარ ხადური იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრი; 2016 წლიდან გარდაცვალებამდე კი – საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე.

პროფესორი ნოდარ ხადური 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც საქართველოში, ასევე აშშ-ში, უნგრეთში, ბულგარეთში, შვედეთში, რუსეთის ფედერაციასა და აზერბაიჯანში. მისი ხელმძღვანელობით და რედაქტორობით თსუ-ის მაკროეკონომიკის კათედრის მიერ მომზადდა, ითარგმნა და გამოიცა მრავალი ნაშრომი.

პროფ. ნოდარ ხადური იყო მუდამ სიახლეთა მაძიებელი, სიმართლისა და საქვეყნო საქმეებისათვის უკომპრომისო და აქტიური მებრძოლი, თანამშრომელთა და კოლეგების მიმართ მეტად გულისხმიერი, ლიდერის ყველა თვისებით დაჯილდოებული პიროვნება.

პროფესორ ნოდარ ხადურის გარდაცვალება მძიმე დანაკლისია როგორც მთელი ქართველი საზოგადოების, ასევე მეცნიერ თუ პრაქტიკოს ეკონომისტთა მრავალრიცხოვანი არმიისათვის, მისი აღზრდილი სტუდენტებისათვის, კოლეგებისა და ახლობლებისათვის. გვჯერა, რომ მის მიერ ნამოწყებული ქვეყნისათვის სასიკეთო ბევრი საქმე განხორციელდება, ხოლო მისი სახელი დაიწყება არ მიეცემა და მისი დიდი საქმეები შემდგომშიც გააგრძელებს სიცოცხლეს ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი**

დიდია ჩვენი მწუხარება ბატონი ნოდარის გარდაცვალების გამო, დიდია ხალხის გულისტკივილიც. წავიდა ჩვენგან გამორჩეული პიროვნება, მრავალი განსაცდელის მოთმინებით ამტანი, თავმდაბალი და სიკეთით სავსე ადამიანი.

აღვავლენთ ლოცვებს მისი უკვდავი სულისთვის, რათა უფალმა სავანესა მართალთასა დააწესოს იგი, ხოლო თქვენ მოგანიჭოთ ურყევი რწმენა მარადიული ცხოვრებისა და შინაგანი სიმტკიცე.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

ილია მეორე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი

14 სექტემბერი, 2019 წელი

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
www.press.tsu.edu.ge